დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2023 წლის 20 - 26 ნოემბერი

N 50 1514

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# რას ჰაიტარაკუნებენ უცხოელი გიდები

## „სომეხი გიდი ხალხს არწმუნებდა, სოფიკო ჭიაურელი სომეხი იყოო!“

„არაბებმა, თურქებმა და ირანელებმა ხმლით ვერ დაგვიპყრეს, მაგრამ თავიანთი ექსკურსია-მძღოლებითა და ტურისტული ოპერატორებით გვიპყრობენ!“

12-13





## „რუსი ექსკურსიამძღოლები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ჰყავდა ერთი გონებაშეზღუდული მეფე ერეკლე, რომელიც რუსეთმა შეიფარა და საქართველო გადაარჩინა!“

# ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიის ბანკი დახურა!






3



4

რაც ივანიშვილის წინააღმდეგ მობლატავე შვეიცარიულ ბანკს დაემართა, მაგალითი უნდა იყოს „თიბისი ბანკის“ მობლატავე უსტაბაშებისათვის!

## „პარლამენტი შეშლილი ქალების პოლიტიკური ზოოპარკია!“




1

## „ამერიკის მიერ გაბედნიერებული ერი მე ჯერ არ მინახავს!“

6





„სააკაშვილს საკუთარმა ოჯახმა მილიონ დოლარად უყიდა თეთრი ბილეთი!“

## დანიგანი დეგნანის ფაზაში შევიდა!

5





# ძმარაზმი

2

# ეს მხოლოდ პოლიტიკური ძმარაზმი არ არის, ეს უკვე ადამიანური, მორალური და ზნეობრივი ძმარაზმია, რომელშიც სალომე ზურაბიშვილი და მისი ძმა ცხოვრობენ!

***„მარაზმი“ სამედიცინო ხასიათის ტერმინია, რომელიც აღნიშნავს*** *ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური უნარების სრულ დაქვეითებას მოხუცებულობის ან ქრონიკული დაავადებების შედეგად,* ***თუმცა, მას გადატანითი მნიშვნელობით უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე პირდაპირი გაგებით. კერძოდ, ხალხურ მეტყველებაში სიტყვა „მარაზმი“*** *უგვანი, უზნეო, ამორალური და წრეგადასული* ***საქციელის ან მოცემულობის სინონიმად იხმარება.***

დღეს საქართველოს პრეზიდენტად წოდებული **სალომე ზურაბიშვილის** კარზე ნამდვილი **პოლიტიკური მარაზმია** გამეფებული, ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ ამ **პოლიტიკური მარაზმის** ერთ-ერთი მთავარი მონაწილე **სალომე ზურაბიშვილის ძმა ოთარ ზურაბიშვილი** გახლავთ, საპრეზიდენტო რეზიდენციად გადაკეთებულ ორბელიანების ისტორიულ სასახლეში შექმნილ ვითარებას თავისუფლად შეგვიძლია, **ძმარაზმი** ვუწოდოთ.

რაბიშვილისათვის მეორე ტურში მაინც დაეჭირა მხარი!

სწორედ **„ნამდვილი რუსი ოლიგარქი“ ივანიშვილის** თხოვნისა და მოწოდების შემდეგ დაირაზმა ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობა, რომელიც მეორე ტურში საარჩევნო უბნებს მიაწყდა და სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნები მოაგებინა!

ახლა კი რა გამოდის, **„ნამდვილმა რუსმა ოლიგარქმა“ ივანიშვილმა** წელებზე ფეხი იმის გამო დაიდგა, რომ საქართველოს **ნამდვილი პროდასავლელი პრეზიდენტი** ჰყოლოდა?

კი მაგრამ, **„ნამდვილმა რუსმა ოლიგარქმა“** ივანიშვილმა **ანტირუსი სალომე ზურაბიშვილი** რუსეთის დავალებით გახადა საქართველოს პრეზიდენტი?

როგორ, ივანიშვილი ახლა — 2023 წელს გახდა **„ნამდვილი რუსი ოლიგარქი“** და 2018 წელს, როცა სალომე ზურაბიშვილის გასაპრეზიდენტებლად ყველაფერს აკეთებდა, **„რუსი ოლიგარქი“** არ იყო?

მოიცადეთ, იქნებ **„ნამდვილი რუსი ოლიგარქი“ ივანიშვილის** უდიდესი ძალისხმევით გაპრეზიდენტებული **სალომე ზურაბიშვილი** რუსეთის მარიონეტია, რომელიც პროდასავლელის იმიჯით ინიღბება?

მოკლედ, **ან სალომე ზურაბიშვილის გამპრეზიდენტებელი ბიძინა ივანიშვილი არ არის რუსი ოლიგარქი, ან რუსი ოლიგარქი ივანიშვილის მიერ გაპრეზიდენტებული ზურაბიშვილი არ არის პროდასავლელი!**

**სალომე ზურაბიშვილის ძმის** განცხადებაში სხვა ლოგიკის პოვნა, უბრალოდ, შეუძლებელია!

თუმცა, როგორ შეიძლება, **ძმარაზმში** ლოგიკა ეძებო!

იმ პოლიტიკურ **ძმარაზმში,** რომელიც პრეზიდენტ ზურაბიშვილის კარზე ტრიალებს, ლოგიკისა და კანონზომიერების ადგილი სადღაა?



# ძმარაზმი

**სალომე ზურაბიშვილის ძმა ოთარ ზურაბიშვილი,** რომელიც სააკაშვილის თავგადაკლული მხარდამჭერი იყო მაშინაც კი, როცა მისი და ნაცრეჟიმს უპირისპირდებოდა, აცხადებს, რომ **„ბიძინა ივანიშვილი ნამდვილი რუსი ოლიგარქია“.**

აი, ბატონებო, ეს არის სწორედ ნამდვილი **ძმარაზმი!**

**ბიძინა ივანიშვილი ნამდვილი რუსი ოლიგარქიაო!** — აცხადებს იმ **სალომე ზურაბიშვილის ძმა,** რომელიც საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილი უჭერდა მხარს.

ჰო, **„ნამდვილმა რუსმა ოლიგარქმა“ ივანიშვილმა** თავისი პიროვნული და მატერიალური რესურსი, ავტორიტეტი და გავლენა გამოიყენა იმისათვის, რომ საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო ქალი, რომელიც დამოუკიდებლად 1-პროცენტიან საარჩევნო ბარიერსაც კი ვერასოდეს გადალახავდა!

**„ნამდვილმა რუსმა ოლიგარქმა“ ივანიშვილმა** ქართველ ხალხს ლამის მუხლებზე დაჩოქილმა სთხოვა, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში დამარცხებული სალომე ზუ-



განსაკუთრებულად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სალომე ზურაბიშვილის ძმამ ბიძინა ივანიშვილის **„ნამდვილი რუსი ოლიგარქობის“** შესახებ მართლა ოლიგარქის, ნამდვილი ოლიგარქის, კლასიკური ოლიგარქის — **დავით კეზერაშვილის ტელევიზია „ფორმულაში“ ისაუბრა.**

აბა როგორ, ივანიშვილის **„რუს ოლიგარქად“** შერაცხვისათვის სად უნდა ნახო იმაზე უკეთესი ადგილი, ვიდრე ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველი კეზერაშვილის ტელეჯიხურია?

კი, პროევროპელი პრეზიდენტის ძმა რომ ხარ, აუცილებლად იმ ტელევიზიის ეთერში უნდა დაჯდე, რომელსაც ოლიგარქი კეზერაშვილი ქართველი ჯარისკაცების სისხლზე ნაშოვნი და ევროპელი პენსიონერებისათვის მოპარული ფულით აფინანსებს და უნდა თქვა, რომ ივანიშვილი **„ნამდვილი რუსი ოლიგარქია“.**

**ძმარაზმიც ამას ჰქვია!**

წარმოდგენითაც კი ვერ წარმოიდგენ იმაზე დიდ **ძმარაზმს,** საქართველოს პრეზიდენტის ძმა ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი ოლიგარქი **კეზერაშვილის** ტელევიზიაში რომ ზის და ქართველ საზოგადოებას უცხადებს — ივანიშვილი **„ნამდვილი რუსი ოლიგარქიაო!“**

ეს მარტო პოლიტიკური **ძმარაზმი** არ არის!

ეს უკვე ადამიანური, მორალური და ზნეობრივი **ძმარაზმია,** რომელშიც სალომე ზურაბიშვილი და მისი ძმა ცხოვრობენ!

როცა ნამდვილი ოლიგარქის — კეზერაშვილის ტელევიზიაში გამოსვლისას სალომე ზუ-

**ქართველ ხალხს შესანიშნავად შეუძლია იმის გარჩევა, ვინ უფრო სასარგებლოა საქართველოსათვის — „რუსი ოლიგარქი“ ბიძინა ივანიშვილი თუ „ევროპელი პოლიტიკოსი“ სალომე ზურაბიშვილი თავისი მიშარასტი ძმითურთ!**

## კვირგვინოსნები

### ირაკლი კობახიძე
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



არამხოლოდ უმრავლესობას ვიღებთ პარლამენტში, არამედ **შეგვიძლია 100 მანდატზე გვქონდეს პრეტენზია.** ოპოზიციამ ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალოს: **არ დაებლოკათ კანდიდატის სტატუსის მინიჭება და დავწევდით საარჩევნო ბარიერს.**

„ინტერპრესნიუსი“

### კახა კალაძე
*თბილისის მერი*



თუ **5-პროცენტიან ბარიერს** ვერ ლახავ, რა პრეტენზია გაქვს პოლიტიკოსობაზე? **არანაირი კოალიციური მმართველობა,** 2024 წლის არჩევნებით **„ქართული ოცნება“ კონსტიტუციური უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში,** ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ.

„პირველი არხი“

### ილია დარჩიაშვილი
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



15 დეკემბერს **კანდიდატის სტატუსი ოფიციალურად უნდა გაფორმდეს** — აქტიურად ვმუშაობთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების დედაქალაქებში, რათა **გარანტირებულად გვქონდეს პარტნიორების ხმა.**

„აიპრესი“

### გურამ მაჭარაშვილი
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ოპოზიციაში აცხადებენ — **წავლეკავთ ხელისუფლებასო,** პარალელურად ამბობენ — დეიდებო, ბიძიებო, დაგვეხმარეთ, **საარჩევნო ბარიერი ხუთი პროცენტიდან ორ პროცენტამდე ჩამოწიეთო.** პრაქტიკულად, ოპოზიციას **პოლიტიკური პანაშვიდები** დაეწყო, კანდიდატის სტატუსის გამო ოპოზიცია **იუმორისტულ ვითარებაში აღმოჩნდა,** ჯერ სად არიან.

„იმედინიუსი“



რაბიშვილის ძმას ჰკითხეს — თქვენი და თუ გეთანხმებათ იმაში, რომ ივანიშვილი რუსი ოლიგარქიაო, **ოთარ ზურაბიშვილმა** უპასუხა — **მე მხოლოდ ჩემს აზრს ვამბობ!** თუმცა, მეორე დღესვე ფრანგულ გაზეთ „Le monde"-ში გამოქვეყნდა სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუ, რომელშიც იგი აცხადებს:

***„დღეს ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილის გარდა სხვა ოლიგარქი არ არის. ის არის ოლიგარქი, რომელმაც ქონება რუსეთში მოიპოვა და რომლის მენტალიტეტზეც გავლენას ახდენს წარსულის ის გამოცდილება".***

როგორც ხედავთ, **და-ძმა ზურაბიშვილი** ერთდროულად და ერთ ხმაში ალაპარაკდა ივანიშვილის **„რუს ოლიგარქობაზე"...** თითქოს, ვიღაცამ ნიშანი მისცა! თითქოს, საიდანღაც ხელი აუქნიეს — მიდით, დაიწყეთო!

არც **სალომე ზურაბიშვილის ძმის** უცაბედ გააქტიურებასა და პოლიტიკური განცხადებების ფრქვევას ასდის შემთხვევითობის სუნი, მით უფრო, რომ ოთარ ზურაბიშვილმა ინტერვიუში თქვა — ქართულ პოლიტიკაში ჩართვას არ გამოვრიცხავო!

მიაქციეთ ყურადღება, რომ **და-ძმა ზურაბიშვილმა** ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ პოლიტიკური ცეცხლი სწორედ მას შემდეგ გახსნა, რაც ევროკომისიამ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა! ამით სალომე ზურაბიშვილსა და კოლექტიური ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს, რომლებიც ევროპაში საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის დასაბლოკად დაძრწოდნენ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ანუ ხელში შემოემსხვრათ გეგმა, რომელიც სტატუსის არმოცემის ფონზე ე.წ. ქართული მაიდნის მოწყობასა და რევოლუციის გზით ხელისუფლების დამხობას გულისხმობდა.

გარდა ამისა, **საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ნაცპროპაგანდის მთავარ გზავნილს საქართველოს ხელისუფლების ანტიდასავლურობისა და პრორუსულობის შესახებ.**

ჰოდა, როგორც ჩანს, ახლა აამუშავეს გეგმა „ბ", რომლის მიხედვითაც ბიძინა ივანიშვილის „რუს ოლიგარქად" გამოცხადების პროპაგანდისტულ კამპანიას სათავეში პრეზიდენტი ზურაბიშვილი და მისი ძმა უნდა ჩაუდგნენ, რადგან **ხაბეიშვილების, დეკანოიძეების, სამადაშვილების, ხაზარაძეების, ხოშტარიების, გირჩიჯაფარიძეებისა** და მათი მსგავსი პოლიტიკური ჯამბაზების სიტყვა ბოლომდე გაწყალებული და გაუფასურებულია!

თუმცა, ისინი, ვინც ევროპასა თუ ამერიკაში ფიქრობენ, რომ სალომე ზურაბიშვილისა და მისი ძმის სიტყვას ქართველი ხალხის თვალში უფრო მეტი ძალა და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კოლექტიური ნაცების ბუტუტურს, ქართველ ხალხს საერთოდ არ იცნობენ!

ქართველ ხალხს ასეთი **ძმარაზმით** ვერ გააცურებენ და ვერ გააბითურებენ!

ქართველი ხალხი საკმარისზე მეტად გამოცდილი და გამობრძმედილია იმისათვის, რომ საქართველოში **პოლიტიკური ძმარაზმი** აღარ დაუშვას!

ქართველ ხალხს იმის უნარიც გააჩნია, კარგად გაარჩიოს, ვინ უფრო სასარგებლოა საქართველოსათვის — **„რუსი ოლიგარქი" ბიძინა ივანიშვილი** თუ **„ევროპელი პოლიტიკოსი" სალომე ზურაბიშვილი** თავისი მიშარასტი ძმითურთ!

**პოლიტიკურ ძმარაზმსაც,** რომელსაც პრეზიდენტ ზურაბიშვილის კარზე დაუსადგურებია, ქართველი ხალხი დაუსვამს წერტილს!



## ბოლოთქმა

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ფრანგული გამოცემისათვის მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილი **„საქართველოს ერთადერთ ოლიგარქად"** მოიხსენია, ექსპერტად წოდებულმა **გია ხუხაშვილმა** განაცხადა — **როგორც იქნა, სალომე ბიძინას კომპლექსისაგან გათავისუფლდა და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვაო!**

თავს უფლებას მივცემთ, **მის მაღალექსპერტობას, ბატონ ხუხაშვილს** განცხადების შესწორება გავუბედოთ და ვუთხრათ, რომ **სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილის კომპლექსისაგან კი არა, სინდისისა და მორალის უკანასკნელი ნარჩენისაგან გათავისუფლდა!**

ასე რომ, ამიერიდან **გია ხუხაშვილსა** და **სალომე ზურაბიშვილს,** როგორც ორ თავისუფალ სუბიექტს, თავისუფლად შეუძლიათ, ერთმანეთი მშვიდობაში მოიხმარონ!

***ჯაბა ხუბუა***




# ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიის ბანკი დახურა!

***სხვადასხვა დროს „ასავალ-დასავალის" პუბლიკაციებში არაერთხელ მოგვიხმია ფრაზა ლეგენდარული თენგიზ ჩანტლაძის ერთ-ერთი სკეტჩიდან: „იმდენი „იბლატავეს", სანამ „სროკი" არ „დაიადეს!"***

ჰოდა, ახლაც ეს ფრაზა მოგვაგონდა: **„იმდენი „იბლატავეს", სანამ „სროკი" არ „დაიადეს!"** მოგვაგონდა, რადგან **შვეიცარიულმა ბანკმა „კრედიტ სუისმა" იმდენი „იბლატავა", სანამ არ გაკოტრდა და დამოუკიდებელი არსებობა არ შეწყვიტა!**

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, **შვეიცარიულმა ბანკმა „კრედიტ სუისმა"** ბიძინა ივანიშვილის წინაშე **იმდენი „იბლატავა", სანამ კოლაფსი არ განიცადა და „შვეიცარიის გაერთიანებული ბანკის" (UBS) მფლობელობაში არ აღმოჩნდა.**

არადა, სანამ ბიძინა ივანიშვილს **„გაუბლატავდებოდა", „კრედიტ სუისი"** არამხოლოდ შვეიცარიის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი, გავლენიანი და სანდო ბანკი იყო.

***გაგრძელება მე-4 გვერდზე***



## რაც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მობლატავე შვეიცარიულ ბანკს დაემართა, მაგალითი უნდა იყოს „თიბისი ბანკის" მობლატავე უსტაბაშებისათვის!



## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**ივანიშვილი ოლიგარქია,** რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა — **ის მათ რიგებშია, ვინც ვერ წარმოიდგენს, რომ რუსეთი დამარცხდება,** ამიტომაც ცდილობს, წინასწარ მოერგოს რუსეთის გამარჯვებას.

მოლაპარაკებებით **უნდა მოხდეს რუსეთის იძულება,** გახდეს სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების ოკუპაციაზე, **საჭიროა, რუსეთი თავის საზღვრებში დაბრუნდეს.**

„ინტერპრესნიუსი"

**გიორგი მამაცაშვილი**
*საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე*



ერთადერთი ოლიგარქი **ბიძინა ივანიშვილიაო** — ბრძანა **სალომე ზურაბიშვილმა.** შემეცოდა სალომე — უმადურობასთან შერწყმული სიბრმავე ძალიან ცუდია, მითუმეტეს, როდესაც **ნაციონალურ-მოღალატეობრივი სამჭედლოს პოლიტიკურ კუბოზე უკანასკნელი ლურსმნის დამჭედებელსა და ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური დონის ქველმოქმედზე ლაპარაკობ.** სამწუხაროდ, **სალომე ზურაბიშვილმა „სამოკავშირეო ხელშეკრულება" გააფორმა ხაბეიშვილის ცირკთან. ჰოდა, სანახაობა ახლა გველის, თუ გველის!**

**ოთარ ზურაბიშვილი**
*სალომე ზურაბიშვილის ძმა*



**რთულია, ქვეყანაში ყოფილი პრეზიდენტი იყოს ციხეში** — ვიცი, რომ **ჩემი და გამოსავალს ეძებდა.**

„პალიტრანიუსი"

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**პრეზიდენტის ძმა** ახალი ფენომენია ჩვენს პოლიტიკაში — **კარგად გაიგოს, ძმამაც და დამაც, როგორც კი სააკაშვილის შეწყალება მოხდება, ისინი იქნებიან ძალადობის თანაზიარნი,** არ ვურჩევ, ჩვენ მერე ხალხს ვერ გავაჩერებთ.

„ინტერპრესნიუსი"

# ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიის ბანკი დახურა!

დასაწყისი მე-3 გვერდზე

**„კრედიტ სუისის“** მზის ჩასვენება მას შემდეგ დაიწყო, რაც **ბიძინა ივანიშვილმა** აღმოაჩინა, რომ ბანკის თანამშრომელი **პატრიკ ლესკადრონი** მისი კონფიდენციალური ანგარიშიდან ფულს წლების განმავლობაში იპარავდა, მაგრამ **ბანკმა, შვეიცარიული მარეგულირებელი კომპანიის მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, საკუთარი თანამშრომლის თაღლითობისა და კლიენტის ძარცვის აღსაკვეთად არაფერი იღონა.**

თაღლით ბანკირ **ლესკადრონს,** რომელმაც აღიარა, რომ ივანიშვილის ხელმოწერას წლების განმავლობაში აყალბებდა და მისი სახელით სხვადასხვა სახის გარიგებას აფორმებდა, **ჟენევის სასამართლომ 2018 წელს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იგი ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით ციხიდან 10 თვეში გაათავისუფლეს, 2020 წელს კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**

სასამართლო დავა, რომელიც ბიძინა ივანიშვილსა და შვეიცარიულ ბანკს შორის **ბერმუდის კუნძულების სასამართლოში** ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო, დღესაც არ დასრულებულა, ამასობაში კი **„კრედიტ სუისი“** გაკოტრდა და, როგორც დამოუკიდებელი ბანკი, დაიხურა.

კერძოდ, 2023 წლის 19 მარტს **„კრედიტ სუისი“** 3 მილიარდ შვეიცარიულ ფრანკად შეისყიდა **„შვეიცარიის გაერთიანებულმა ბანკმა“,** რაც იმას ნიშნავს, რომ **„კრედიტ სუისი“** აწ უკვე **„შვეიცარიის გაერთიანებული ბანკის“** შვილობილია და არა — დამოუკიდებელი ბანკი.

**ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ „გაბლატავებული“ შვეიცარიული ბანკის რეპუტაციის ნგრევა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო, რაც „კრედიტ სუისი“ ფინანსური ინსტიტუციის ჩარჩოებს გასცდა და ბინძურ პოლიტიკურ თამაშებში გადაეშვა.** ეს მოხდა გასულ წელს, როცა ბანკმა უარი განაცხადა, **ბერმუდის სასამართლოს** განაჩენი აღესრულებინა და ივანიშვილის სასარგებლოდ **607 მილიონი დოლარი** გადაეხადა. სრულიად წარმოუდგენელი და აბსურდული გახლდათ ის მიზეზი, რომლითაც „კრედიტ სუისმა“ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება იუარა — **ბატონ ივანიშვილს კომპენსაციას არ გადავუხდით, რადგან 308 ევროპარლამენტარმა ევროსაბჭოს მიმართა, მისთვის სანქციების დაწესება განიხილოსო!**

ე.ი. **შვეიცარიულმა ბანკმა** პოლიტიკური ბანი მისცა ნაცბანდის მოკავშირე ევროპარლამენტარებს — **კუბილიუსებს, ფოტიგებსა და ფონ კრამონებს,** რომლებმაც ივანიშვილი „რუს ოლიგარქად“ შერაცხეს და მისთვის სანქციების დაწესება მოითხოვეს!

ასე გადაიქცა **„კრედიტ სუისი“** პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად იმ ძალების ხელში, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ ივანიშვილის დაშანტაჟებასა და შევიწროებას, რათა მას რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნისა და საქართველოს უკრაინიზაციის გადაწყვეტილება მიეღო!

**საეჭვო პოლიტიკურ თამაშებში „კრედიტ სუისის“ ჩაბმას, წესით, მსოფლიოს ყველა კუთხეში ყველა სერიოზული ბიზნესმენი უნდა დაეფიქრებინა, რამდენად უსაფრთხო იქნებოდა მათთვის ფულის განთავსება ბანკში, რომელმაც მილიარდერი მეცენატი ივანიშვილი ჯერ გაძარცვა, ხოლო შემდეგ სრულიად უბადრუკი პოლიტიკური მოტივების მოშველიებით უარი განაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასა და დაზარალებული კლიენტისათვის კომპენსაციის გადახდაზე?**

**ჭუჭყიან პოლიტიკურ ინტრიგებში შვეიცარიული ბანკის ჩართვა და ივანიშვილის პრეცედენტი იმაზე მეტყველებდა, რომ „კრედიტ სუისში“ უკვალოდ გაქრობის საფრთხე ემუქრებოდა ყველა იმ მილიონერისა თუ მილიარდერის ფულს, ვისაც ევროპისა და ამერიკის პოლიტიკურ ელიტებში „თავისიანად“ არ ჩათვლიდნენ!**

ჰოდა, შედეგმაც არ დააყოვნა — **„კრედიტ სუისმა“** ავტორიტეტი და სანდოობა დაკარგა, გაკოტრდა და **სხვა ბანკის ლუკმად იქცა!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ბიძინა ივანიშვილის** წინაშე **„გაბლატავებული“ და „გაკოტრებული“ „კრედიტ სუისი“ სხვა შვეიცარიულმა ბანკმა „დაიადა“ და დაიქვემდებარა!**

12 წლის წინათ დაწყებული სასამართლო დავა კი გრძელდება და **ბერმუდის სასამართლოს** შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა **„კრედიტ სუისს“ სინგაპურის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოშიც მოუგო!**

უფრო ზუსტად, **სინგაპურის სასამართლომ** რამდენიმე დღის წინათ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც **შვეიცარიული ბანკი** დაავალდებულა, სასამართლოს დეპოზიტზე ბიძინა ივანიშვილის სასარგებლოდ **750 მილიონი დოლარი** განათავსოს. თუ ბანკი ამას მიმდინარე წლის 23 ნოემბრამდე არ გააკეთებს, მის მიმართ დაუყოვნებლივი აღსრულების პროცედურა დაიწყება, ივანიშვილისათვის გადასახდელი **750 მილიონი დოლარი** კი სასამართლოს დეპოზიტზე მანამდე იქნება განთავსებული, სანამ საბოლოო განაჩენი არ გამოცხადდება!

რაც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ „მობლატავე“ და პოლიტიკურ თამაშებში ჩაბმულ **შვეიცარიულ ბანკს** დაემართა, მაგალითი უნდა იყოს **„თიბისი ბანკის“ გაპოლიტიკოსებული უსტაბაშებისათვის,** რომლებიც ასევე ივანიშვილს **„ებლატავებიან“** და მის დასანქცირებაზე **„ჩალიჩობენ!“**

დიახ, **თაღლითმა შვეიცარიელმა ბანკირმა პატრიკ ლესკადრონმა** ბიძინა ივანიშვილის გაძარცვის შემდეგ **თავი მოიკლა,** ქართული სასამართლოს მიერ **ხანდაზმულ თაღლითად აღიარებული ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე** და მისი პარტია **„ლელო“** კი პოლიტიკურ თვითმკვლელობაზე აწერენ ხელს, როცა ვაშინგტონში კაბინეტ-კაბინეტ დაძრწიან და ამერიკელ დეიდებსა და ბიძიებს ეხვეწებიან — **ბიძინა ივანიშვილს სანქციები დაუწესეთო!**

**შვეიცარიულმა ბანკმა ივანიშვილის წინაშე იმდენი „იბლატავა“, სანამ არ გაკოტრდა და სხვა ბანკმა არ „დაიადა“,** ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე და მისი გრიგოლგეგელიები კი ივანიშვილის წინაშე **იმდენს „იბლატავებენ“, სანამ სამუდამო ბილეთს არ „დაიადებენ“ პოლიტიკური სანაგვისაკენ!**

დაე, იარონ მშვიდობით და დაუბრკოლებლად პოლიტიკური სანაგვისაკენ!

*ჯაბა ხუბუა*





პატრიკ ლესკადრონი

## თაღლითმა შვეიცარიელმა ბანკირმა პატრიკ ლესკადრონმა ბიძინა ივანიშვილის გაძარცვის შემდეგ თავი მოიკლა, ქართული სასამართლოს მიერ ხანდაზმულ თაღლითად აღიარებული ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე და მისი პარტია „ლელო“ კი პოლიტიკურ თვითმკვლელობაზე აწერენ ხელს!



მამუკა ხაზარაძე და გრიგოლ გეგელია აშშ-ში

**შვეიცარიულმა ბანკმა ივანიშვილის წინაშე იმდენი „იბლატავა“, სანამ არ გაკოტრდა და სხვა ბანკმა არ „დაიადა“, ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე და მისი გრიგოლგეგელიები კი ივანიშვილის წინაშე იმდენს „იბლატავებენ“, სანამ სამუდამო ბილეთს არ „დაიადებენ“ პოლიტიკური სანაგვისაკენ!**

## კვირგვინოსნები

**მამუკა ხაზარაძე**
*პარტია „ლელოს“ ლიდერი*



ნამდვილად არ მინდა, **ვინმე ვისურვო დასანქცირებული,** მაგრამ, როცა ლაპარაკია ჩვენი ქვეყნის ინტერესზე და ეროვნულ ინტერესზე, **იქ ყველა მეთოდი მისასალმებელია.**

„იმედინიუსი“

**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



**„ლელოს“ ამოცანა არ არის** ბარიერის გადალახვა, **„ლელოს“ ამოცანაა** „ქართული ოცნების“ შეცვლა 2024 წლის არჩევნების შედეგად, **გაცილებით დიდ ამოცანებს ვისახავთ, ვიდრე ხუთპროცენტიანი ბარიერი.**

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



როდესაც **მამუკა ხაზარაძე** ამერიკაში დადის და აცხადებს, რომ **სანქციები უნდა დაუწესდეთ საქართველოს მოქალაქეებს,** ეს ნიშნავს, რომ ამ პოზიტიურ გზაზე **ფეხი უნდათ, დაგიდონ და რამენაირად წაგაქციონ.**

„იმედინიუსი“

# დანიგანი დეგნანის ფაზაში შევიდა!

***მოსალოდნელზე უფრო მალე დაიმსხვრა იმედი იმის შესახებ, რომ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩი რობინ დანიგანი ცოტათი მაინც უკეთესი იქნებოდა, ვიდრე მისი წინამორბედი კელი დეგნანი.***

კაცმა რომ თქვას, ამას იმედიც არ ერქვა და უფრო ილუზიას ჰგავდა, რადგან **დანიგანი, დეგნანის მსგავსად, ბაიდენის ადმინისტრაციის** ემისარია, ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკა კი არათუ საქართველოს დარი პატარა ქვეყნებისადმი, არამედ თვით ევროკავშირის დიდი სახელმწიფოების მიმართაც ბატონყმური და ნეოკოლონიალისტურია.

ჰოდა, **რობინ დანიგანმაც** საქართველოში ჩამოსვლიდან მალევე გამოგვიჩინა ნეოკოლონიალისტური კბილი!

**კელი დეგნანის** შემცვლელს ორი თვეც არ დასჭირდა იმის დასადასტურებლად, რომ **ბაიდენის ადმინისტრაცია** საქართველოში ელჩებს კი არა, გენერალ-გუბერნატორებსა თუ მეფისნაცვლებს გზავნის, რომლებმაც ქართველებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები უნდა განუსაზღვრონ.

გასულ კვირას აშშ-ის **ელჩი დანიგანის** მიერ საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობის შესახებ გაკეთებული განცხადება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ **ბაიდენის ადმინისტრაცია საქართველოს უყურებს არა როგორც სუვერენულ პარტნიორს, არამედ როგორც თავის ვასალსა და კოლონიას, რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მიიღოს და თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისი ნაბიჯები გადადგას.**

კერძოდ, საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებაზე საუბრისას **ელჩმა დანიგანმა** განაცხადა:

> ***„სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებაში საქართველო ცალსახად აღიარებს ჩინეთის სუვერენიტეტს, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ მსგავს მიდგომას ჩინეთისაგან საქართველოს მიმართ. ამასთან, ჩინეთი არის ქვეყანა, რომელიც სულ უფრო უახლოვდება რუსეთს, რუსეთს კი ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი. მგონია, რომ ცოტათი არასასურველი ვითარებაა.“***

ჯერ ის ვთქვათ, რომ აშშ-ის ელჩი ურცხვად ცრუობს, როცა ამბობს — **ჩინეთის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებას ვერ ვხედავთო...** ჩინეთი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას რომ აღიარებს და პატივს სცემს, ეს ჩინეთის ლიდერებს, პრეზიდენტით დაწყებული, საგარეო საქმეთა მინისტრით გაგრძელებული და ელჩით დამთავრებული, არაერთხელ აქვთ გაცხადებული. გარდა ამისა, **საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების პირველივე პუნქტში შავით თეთრზე წერია, რომ ჩინეთი და საქართველო ადასტურებენ პატივისცემას ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.**

ამდენად, **ამერიკის ელჩ დანიგანის** განცხადება, თითქოს ჩინეთი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებს, ისეთივე **უბადრუკი „ფეიკი“, ანუ სიყალბეა,** როგორსაც ყოველდღიურად ვისმენთ კოლექტიური ნაცებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი **ნოდარმელაძირებული ტელეკანალიზაციებისაგან.**






რაც შეეხება ამერიკის ელჩის განცხადებას — **ჩინეთთან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა არასასურველია, რადგან ჩინეთი რუსეთთან მეგობრობსო — ეს დანიგანის** პოლიტიკურ-დიპლომატიურ უვიცობას ან პოლიტიკურ-დიპლომატიურ ცინიზმსა და უტიფრობას უნდა მივაწეროთ!

ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსათვის დიახაც სასურველი, სასარგებლო და ხელსაყრელია, რადგან საქართველოს ამით არამხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მიღების შანსი ეძლევა, არამედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობაც უჩნდება სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ჩინეთს რუსეთთან ახლო და მეგობრული ურთიერთობა აქვს!

**უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არაერთხელ დამტკიცდა და განსაკუთრებით დღევანდელ რეალობაში ცხადზე უცხადესი გახდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს არავითარი ძალა არ შესწევთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში პოზიტიური როლი ითამაშონ!**

დიახ, არც ვაშინგტონს და არც ბრიუსელს არ შეუძლიათ, მოსკოვი პოლიტიკური ზეწოლის გზით ან დიპლომატიური ტკბილმოუბრობით დაიყოლიონ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციაზე, რადგან **დიდი ხანია, მოსკოვს ვაშინგტონისა და ბრიუსელის მიმართ არც შიში აქვს და არც პატივისცემა!**

შესაბამისად, არც **აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი,** არც **საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი,** არც **გერმანიის კანცლერი შოლცი** და არც **დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სუნაკი** არ არიან ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი საქართველოს დეოკუპაციასთან დაკავშირებით ანგარიშს გაუწევს!

ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი, ვისი ხათრით, რიდითა და პატივისცემითაც შეიძლება, კრემლმა საქართველოსთან არსებულ სტატუს-კვოს გადახედოს და დეოკუპაციის საკითხი განიხილოს, **ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინია!**

**ჩინეთი გახლავთ ერთადერთი ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშე, რომელსაც დღეს ხელეწიფება, თბილისსა და მოსკოვს შორის მედიატორის როლი წარმატებით შეასრულოს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თემა მკვდარი წერტილიდან დაძრას!**

მაშ, ვისთვის არის „არასასურველი ვითარება“ საქართველოსა და ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა, რაც ამერიკის ელჩს ასე აშფოთებს?

**საქართველოსათვის არის არასასურველი?**

**არა, საქართველოსათვის სასურველი, საჭირო და სასარგებლოა!**

**ჩინეთისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა შეიძლება, არასასურველი იყოს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რომელსაც საქართველოში და, შესაბამისად, მთელ ამიერკავკასიაში ერთპიროვნული ჰეგემონიის შენარჩუნება სურს!**

ამიტომაც ამბობს ამერიკის **ელჩი დანიგანი** — საქართველო ჩინეთს არ უნდა დაუახლოვდესო!

**ელჩი დანიგანი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ გულისხმობს,** რომ ჩინეთისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა არასასურველი და არახელსაყრელია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის!

**ელჩი დანიგანი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მისი განცხადების ქვეტექსტია,** რომ საქართველომ თავისი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას, მათ შორის, ჩინეთთან ურთიერთობაშიც უნდა იმოქმედოს არა საკუთარი, არამედ ამერიკის ინტერესების შესაბამისად!

**რა მნიშვნელობა აქვს, რა სურს, რა სჭირდება და რა წაადგება საქართველოს? მთავარია, რა სურს, რას სჭირდება და რა წაადგება ამერიკის შეერთებულ შტატებს!** — სწორედ ამას ნიშნავს **ელჩ დანიგანის** განცხადება და სწორედ ასეთია ბაიდენის ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ!

დამოკიდებულება — **პატრონყმური!**

დამოკიდებულება — **ნეოკოლონიალისტური!**

უპატივცემულო და უღირსი დამოკიდებულება!

ამერიკის ელჩის ნათქვამი — **საქართველო ჩინეთს არ უნდა დაუახლოვდეს** — ორმაგად უფრო ცინიკურ ჟღერადობასა და შინაარსს იძენს იმ ფონზე, როცა **დანიგანის** ამ განცხადებიდან მეორე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** სან-ფრანცისკოში პომპეზური დახვედრა მოუწყო ჩინეთის პრეზიდენტ **სი ძინპინს.**

თუ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი აცხადებს, რომ საქართველომ ჩინეთთან არ უნდა იმეგობროს, რადგან ჩინეთი რუსეთის მეგობარია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჩინე-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

**კელი დეგნანის შემცვლელს ორი თვეც არ დასჭირდა იმის დასადასტურებლად, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია საქართველოში ელჩებს კი არა, გენერალ-გუბერნატორებსა თუ მეფისნაცვლებს გზავნის!**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ხაზარაძემ** თავისი ბიოგრაფია **რეაქციონერი „კომსომოლიდან“ შევარდნაძე-გოცირიძის დაფრთიანებული „ცეხავიკობით“ გააგრძელა და სააკაშვილის ჯიბის ბანკირად იქცა,** ხან პოლიტიკური დაკვეთებითა და ხანაც პირადი მიზნებით **გააკოტრა ბიზნესმენები და ციხის შიშით დაათმობინა კაპიტალი მეწარმეებს, ყვლიფა მოსახლეობა და სახლებიდან გამოყარა ნახევარი საქართველო...** რეგიონული მნიშვნელობის პროექტი **„ანაკლია“,** სადაც სახელმწიფომ ხელი შეუწყო და ყველანაირი პირობა დაუკმაყოფილა — **ჩააგდო.** ოპოზიციის ლიდერობა იტვირთა, პარტია შექმნა და „ბეიბისითერადაც“ ვერ ივარგა... მოკლედ, **რა „ლუზერიც“ იყო, ის დარჩა** და სასამართლოს ოფიციალური გადაწყვეტილება ზედგამოჭრილია მასზე — **ხანდაზმული თაღლითი!**

„იმედინიუსი“

**ედიშერ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



ნახეთ ეს **ხაზარაძე ხანდაზმული თაღლითი, მევახშე, წურბელა, კაჟაია ბულავას მემკვიდრე, ეროვნული მოძრაობის დამრბევი, ანაკლიის პორტის აშენების ჩამგდები, ასობით მოქალაქის საკუთარი ბინებიდან გამომგდები, მიჭას მიერ სხვისი ქონების მითვისებისათვის ბრწყინვალების ორდენით მკერდდამშვენებული, 1990-იანებში ხალხის ცრემლისა და ტანჯვის ხარჯზე გამდიდრებულ-გაბიზნესებული,** რა ჰონორით ლაპარაკობს! როგორ აღმა-დაღმა დაწანწალებს და **საქართველოს უერთგულესი, სიკეთის მკეთებელი ადამიანის დასანქცირებას, როგორ ითხოვს!** მეხუთეკოლონელი ფულის ტომარა, რომელიც **ყოველ ფეხის ნაბიჯზე გროშებად ყიდდა და ყიდის საქართველოს!** ვერ ჩერდება, არ აჩერებს გამჩენი!

„იმედინიუსი“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**მამუკა ხაზარაძის** განცხადებას სერიოზულად არ შეიძლება, მოვეკიდოთ, **ეს არის ადამიანი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობამ დაუდგინა, რომ თაღლითია.**

„აიპრესი“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

# ჩერნენკოს ფაზაში შესული ბაიდენი სან-ფრანცისკოშიც დაიკარგა!

თის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა:

***„ეს იყო ყველაზე პროდუქტიული და კონსტრუქციული საუბარი, რაც ოდესმე გვქონია. ვფიქრობ, მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ. ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი, ღია, მკაფიო სამხედრო კომუნიკაციები განახლდება. პრეზიდენტ სი ძინპინსა და ჩემს შორის გაიხსნება საკომუნიკაციო ხაზები. ახლა ორივე შევძლებთ, ხელში ტელეფონები ავიღოთ და პირდაპირ დავურეკოთ ერთმანეთს.“***

თავის მხრივ, ჩინეთის პრეზიდენტმა ძინპინმა ბაიდენთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა:

***„ჩინეთი მზად არის, იყოს შეერთებული შტატების პარტნიორი და მეგობარი. ჩვენი ფუნდამენტური პრინციპები არის ურთიერთპატივისცემა, მშვიდობიანი თანაცხოვრება და მომგებიანი თანამშრომლობა. ჩინეთი არასოდეს დებს ფსონს შეერთებული შტატების წაგებაზე, არასდროს ერევა შეერთებული შტატების საშინაო საქმეებში და არ აპირებს შეერთებული შტატების გამოწვევას ან შეცვლას. ჩინეთი მიესალმება თავდაჯერებულ, ღია, განვითარებულ და აყვავებულ შეერთებულ შტატებს. ანალოგიურად, შეერთებულმა შტატებმა არ უნდა დადოს ფსონი ჩინეთის წაგებაზე და თავი შეიკავოს ჩინეთის საქმეებში ჩარევისგან. ჩინეთი არავისთან აპირებს არც ცივ და არც ცხელ ომს.“***

აბა, ვნახოთ, რა ხდება: ჩინეთისა და ამერიკის პრეზიდენტები ერთმანეთს ხვდებიან, კონსტრუქციულ დიალოგს მართავენ და თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე საუბრობენ, ამ დროს კი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი გვიცხადებს, რომ საქართველომ ჩინეთთან არ უნდა ითანამშრომლოს, რადგან ჩინეთი რუსეთთან თანამშრომლობს!

მოქმედი ელჩის — **დანიბანის** ეს განცხადება გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ყოფილი ელჩის — **დეგნანის** ნაბრძანებს: **მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებში უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტი — „ფარას კანონი“ მოქმედებს, მაგრამ საქართველომ ეს „რუსული კანონი“ არ უნდა მიიღოს!**

**ე.ი. კელი დეგნანმა გვითხრა — ამერიკას შეუძლია, „რუსული კანონი“ მიიღოს, მაგრამ საქართველოს იგივე კანონის მიღება ეკრძალებაო, ხოლო რობინ დანიბანი გვეუბნება — ამერიკას შეუძლია, რუსეთის მეგობარ ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავებაზე იმუშაოს, მაგრამ იმავე ჩინეთთან პარტნიორობა საქართველოსათვის არ შეიძლებაო!**

აი, ასე გვაპამპულავებენ ბაიდენის ადმინისტრაციის ემისრები!

აი, ასე მოხდა **დანიბანის დეგნანიზაცია!**

აი, ასეთი გენერალ-გუბერნატორების მეშვეობით ცდილობს საქართველოს პოლიტიკურ კოლონიზაციას ამერიკის შეერთებული შტატები, **რომლის პრეზიდენტიც ხან ველოსიპედიდან ვარდება, ხან სცენაზე იშხლართება, ხან თეთრი სახლის ბაღში იკარგება და ხანაც სან-ფრანცისკოში ერევა გზა და კვალი.**

საქმე ის არის, რომ **ჯო ბაიდენს** სან-ფრანცისკოში, ჩინეთის პრეზიდენტის დახვედრის ცერემონიის დროს, მხარი აექცა და ვეღარ გაიგო, საით უნდა წასულიყო... **სოციალურ ქსელებში ვრცელდება ფოტო, რომელშიც ჩანს, რომ სი ძინპინი თან მომღიმარი და თან გაოცებული სახით შესცქერის მისკენ ზურგით შეტრიალებულ, ორიენტაციაარეულ ბაიდენს, რომელიც ჩინელი კოლეგის მაგივრად ჰაერისათვის აპირებს ხელის ჩამორთმევას.** ამ ფოტოს „ტვიტერში“ ბევრი მომხმარებელი აზიარებს და სხვადასხვანაირად ასათაურებს: **„America is doomed“** („ამერიკა განწირულია“), Xi's little puppet (სის პატარა თოჯინა) და ა.შ. მოკლედ, **ბაიდენი** სან-ფრანცისკოშიც დაიკარგა და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ **ჩერნენკოს ფაზაშია** შესული, ხოლო საქართველოში ბაიდენის ემისარი **რობინ დანიბანი კელი დეგნანის ფაზაში შევიდა!**



სოციალურ ქსელებში ვრცელდება ფოტო, რომელშიც ჩანს, რომ სი ძინპინი თან მომღიმარი და თან გაოცებული სახით შესცქერის მისკენ ზურგით შეტრიალებულ, ორიენტაციაარეულ ბაიდენს, რომელიც ჩინელი კოლეგის მაგივრად ჰაერისათვის აპირებს ხელის ჩამორთმევას...

**ეს არის პოლიტიკური ხრწნილების ფაზა, საიდანაც ბაიდენები და დეგნან-დანიბანები ვეღარ გამოვლენ, მაგრამ ამერიკამ აუცილებლად უნდა გამოაღწიოს! ამერიკას ამის შანსი გაისად, საპრეზიდენტო არჩევნებში მიეცემა!**

*გიორგი ძაძამია*

პოლიტიკური ექსპერტიზა





# მაია ნიკოლეიშვილი: ამერიკის მიერ გაბედნიერებული ერი მე ჯერ არ მინახავს!

*— დღეს თბილისი ბევრად უფრო უსაფრთხო და მოწესრიგებულია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქალაქი. პირველ რიგში, ის დავაფასოთ, რაც გვაქვს,* — ***ამბობს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და აქვე აღნიშნავს — თუ გონივრულ პოლიტიკურ ნაბიჯებს გადავდგამთ, ჩვენი კავკასიელობა ძალიან ბევრს გაუხდება სანატრელი:***

— სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა საზოგადოების იმ ნაწილის რეაქცია, რომელიც ხზოს აღტაცებით ულოცავდა ერთმანეთს ევროკომისიის რეკომენდაციას სტატუსის მინიჭების თაობაზე. ასეთივე სისულელე იქნებოდა თავში ხელების რტყმა უარყოფითი რეკომენდაციის შემთხვევაში — არიქა, ევროპა წაგვართვესო. **ევროკავშირი პირდაპირ, ღიად გეუბნება, მინიმუმ, 7 წლის მერე შეიძლება ვიფიქროთ გაფართოებაზეო, ანუ შენ დღეს ზეიმობ იმას, რომ 7 წლის შემდეგ შეიძლება ევროკავშირმა შენი საკითხი განიხილოს?!** ვიცით კი, რა მდგომარეობაში იქნება 7 წლის მერე თავად ევროკავშირი?! შეძლებს გაფართოებას, ექნება ამის სურვილი ან უნარი?

**არ ვფიქრობ, რომ სტატუსის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ლამის 30 წელია, თურქეთი კანდიდატი ქვეყანაა, მაგრამ რა, ევროკავშირის წევრი გახდა?** თავად ევროკავშირისთვის არის რთული სამხრეთ კავკასიასა და თურქეთში გაფართოება. გადახედეთ ბოლო წლებში ევროკავ-

## კვირგვინოსნები

**მერაბ შათირიშვილი**
*ექიმი*



ევროკავშირის წევრობის **კანდიდატია უკრაინაც,** მაგრამ ვხედავთ, იქ რა უბედურებაც დუღს. ასევე **კანდიდატობა აქვს მოლდოვასაც** და იქაც დაძაბულობაა. ამდენად, ეს რეკომენდაცია არ ნიშნავს, რომ ჩვენ გეოპოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე დამკაში გავედით. **პირიქით, მეტი სიფრთხილე, დაკვირვება გვმართებს.**

„საერთო გაზეთი“

**არჩილ გამზარდია**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციის უმრავლესობა, როგორც ხდება ხოლმე, **სერიოზულად დაგოიმებულია.** რომ იძახდით, **ხელისუფლებას რაც არ უნდოდა, ის მოხდაო,** პირიქით, პატივცემულებო, პირიქით — **„ქართულმა ოცნებამ“ ზუსტად ის მიიღო, რაც უნდოდა**. კანდიდატის სტატუსის მიღების შემთხვევაში, **„ქართული ოცნება“ კიდევ უფრო გაიმყარებს 2024 წლის არჩევნებში გამარჯვების შანსებს.**

„ალია“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



ნაციონალური მოძრაობის ყველაზე დიდი პრობლემა იყო **ნეგატიური რეიტინგი, ხალხი, რომელიც ამბობდა, რომ ამ პარტიას არასოდეს მისცემს ხმას** — ამ განწყობის ზრდა ხელს აძლევს „ოცნების“ პროპაგანდას.

„ინტერპრესნიუსი“

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** მხართეძოზეა წამოგორებული მაღალი დონის კლინიკაში — მაინტერესებს, **როდის დაექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტილებას, სადაც გაწერილია, რომ ადამიანმა სასჯელი უნდა მოიხადოს ციხეში და არა ლუქსის ტიპის მაგვარ ნომერში?**

„ინტერპრესნიუსი“

# „პარლამენტი შეშლილი ქალების პოლიტიკური ზოოპარკია!“









შირში გაწევრიანებული ქვეყნების და, მათ შორის, ბალტიისპირელთა ბედს, რომლებიც დიდი ზარ-ზეიმით და დაჩქარებული წესით იქნენ მიღებულნი.

**— ბალტიისპირეთის ქვეყნები უკმაყოფილონი არიან ევროკავშირში გაწევრიანებით?**

— მათი მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტი ევროპაშია წასული საცხოვრებლად, ანუ ეს ქვეყნები, პრაქტიკულად, დაიცალა. არცთუ დიდი ხნის წინათ მომიწია ვილნიუსში ჩასვლა და გაოცებული დავრჩი. საბჭოთა კავშირის პერიოდში ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ყველა სხვა რესპუბლიკისგან გამორჩეული იყო, დღეს ეს ყველაფერი, პრაქტიკულად, განულებულია. ერთი-ორი ქუჩაა ტურისტებისთვის კეთილმოწყობილი, დანარჩენ ადგილებში კი ნათურები ძლივს ანათებს, ფაქტობრივად, ჩაბნელებულია. ვილნიუსში ვალუტის გადასაცვლელად სადგურზე უნდა წახვიდე, სხვაგან, უბრალოდ, ვერ შეძლებ გადახურდავებას. სამაგიეროდ, ფასები ევროპულია.

ერთმა იქ დაბადებულმა და გაზრდილმა ლატვიელმა მითხრა: **თუ ადრე საბჭოთა კავშირის პერიფერია ვიყავით, ახლა — ევროპის პერიფერია ვართ, განსხვავება ის არის, რომ მაშინ ჩვენი მრეწველობა გვქონდა, ახლა წარმოება აღარ გაგვაჩნია, სამაგიეროდ, ყველგან ველობილიკებიაო.**

ფაქტია: ევროკავშირმა თავზე ნაცარი დაიყარა იმ ღირებულებათა გამო, რომლებსაც დღეს დეკლარირებს. ანტიადამიანობა, ლამის, რელიგიად აქცია. ამიტომაც პირდაპირ ვამბობ, რომ ევროკავშირის წევრობა დღეს საქართველოსთვის ძალიან დიდი ტვირთი იქნება, პირველ რიგში, ეკონომიკური კუთხით. ევროპული ფასები საქართველოს ძალიან დაარტყამს, თუმცა, საბედნიეროდ, ძალიანაც რომ გვინდოდეს, არავინ მიგვიღებს ევროკავშირის წევრად.

**— და მაინც, აქვს თუ არა თუნდაც ერთი დადებითი მხარე ამ ყბადაღებული სტატუსის მიღებას?**

— რაც მთავარია, ოპოზიციას ე.წ. მაიდნის გეგმა ჩაუვარდა. ევროკომისიის რეკომენდაციამ სტატუსის მონიჭების თაობაზე სულ დააკარგვინა წონასწორობა. სულით ავადმყოფი ადამიანებივით დარბიან აქეთ-იქით, სწორედ მათზეა ნათქვამი — გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო... ერთი ტურა აყვირდება და ყველა ყვება. **პარლამენტი შეშლილი ქალების პოლიტიკური ზოოპარკია!**

ერთი წლის წინათ მსოფლიოს ლამის ყველა გაზეთში იწერებოდა, თუ როგორ კლავდა დღევანდელი ხელისუფლება ქვეყნის მესამე პრეზიდენტს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი თავის ექიმებიან-ექსპერტებიანად ნაყიდი ყოფილა. ამის შემდეგ, საერთოდ, რაზე ვსაუბრობთ?

**— და მაინც, სააკაშვილის გათავისუფლება-არგათავისუფლების თემა კვლავ აქტუალურია... როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, მიხეილ სააკაშვილისგან კვლავ გამოიძერწოს პოლიტიკური ფიგურა, რომელზედაც ოპოზიცია თავის გეგმებს დააშენებს?**

— სააკაშვილს საკუთარმა ოჯახმა მილიონ დოლარად უყიდა თეთრი ბილეთი! თუკი რაიმე ავტორიტეტი ჰქონდა შერჩენილი, ისიც გაუცამტვერეს. სააკაშვილი დასავლეთისთვის უკვე გაჭრილი კარტია. პოლიტიკურად დასრულებულია! დღეს ამბობს, დემენცია არა მაქვსო. როდის იყო, გიჟი ამბობდა, გიჟი არა ვარო?! ახლა რამდენიც არ უნდა იწრიალოს, უკვე ბეჭედდარტყმულია, რომ თავის მატორზე ვერ არის!

სამწუხაროდ, ხელისუფლება არ მიდის გამწვავებაზე, რომ საკანში გადაიყვანოს. იციან ნაციონალების მავნებლური ბუნება და თავს არ იტკიებენ. რეალურად ის დიდი ხნის წინ უნდა გადაეყვანათ ციხეში. აღარ უნდა უგორებდნენ კოჭს.

**პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დღესაც ვაკეთებ ექსპერტიზებს და სააკაშვილზე ბევრად უფრო მძიმე პაციენტები სხედან საკნებში. ეს პოლიტიკური სიფრთხილე დისკრიმინაციულია მათ მიმართ.**

**— როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს მიხეილ სააკაშვილს?**

— **ზურაბიშვილი** არალეგიტიმური პრეზიდენტია, ხვალ რომ ქუჩაში ქვები ისროლოს, ისიც არ გამიკვირდება. პოლიტიკურად კი ქვებს რახანია, ისვრის. რომც შეიწყალოს, არც მისთვის და არც სააკაშვილისთვის აღარანაირი მნიშვნელობა არ ექნება.

მას შემდეგ, რაც ჩინეთის პირველ პირზე ილაპარაკა, საკუთარ განათლებულობასაც გადაუსვა ხაზი. სულ მაინტერესებს, **სალომე ზურაბიშვილმა** რომელი ინსტიტუტი დაამთავრა, ჩემი რომელიმე ახლობელი შემთხვევით რომ არ წავიდეს იქ სასწავლებლად.

რაც მთავარია, ჩვენი ავადსახსენებელი პრეზიდენტიც ნაციონალებივით არის აცდენილი რეალობას, დღემდე გაიძახის — უკრაინა გაიმარჯვებსო!

**— და მაინც, რამდენად სწორად აფასებს არსებულ რეალობას ხელისუფლება?**

— გახსოვთ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობიდან გადადგომის შემდეგ, როდესაც მან მთელი თავისი ქონება **ფონდ „ქართუს“** გადასცა, თქვენთან ინტერვიუში რა შეკითხვა დავსვი? ვამბობდი — **ეს ნაბიჯი შემთხვევით არ გადადგა, რაღაცას ნიშნავს, რომელსაც პასუხი მომავალში გაეცემა-მეთქი.** დღეს უკვე ცხადია, რატომაც მიიღო ბიძინა ივანიშვილმა ძალიან სერიოზული და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება.

**— რატომ?**

— ზეწოლების პასუხად დასავლეთიდან — მე არ მინდა ფული და არც თქვენს ყველა მოთხოვნას შევასრულებო! დიახ, მან ამით დასავლეთს პირდაპირ უთხრა — **ეს ფული ჩემი კი არა, საქართველოსია, თუ ასეთი მაგრები ხართ, მიდით და მას წაართვითო.** ასეთი ანალოგი დედამიწის ზურგზე არსად ყოფილა. მის ამ ნაბიჯს მოჰყვა მელიას დაჭერა, გახარიას გადადგომა, შარლ მიშელის ჰელოუინი. ბიძინა ივანიშვილზე რომ სერიოზული ზეწოლა და შანტაჟი იყო, ამას ბანკში გაყინული მისი ანგარიშები და დეგნანის სტუმრობაც ადასტურებს. მათი საუბრის შინაარსი ხომ ჩვენთვის უკვე ცნობილია — როგორ ითხოვდნენ მეორე ფრონტის გახსნას, კვალიფიციური მთავრობის შექმნას და ა.შ. **ამ ყველაფრის შემდეგ, ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილს ფულის წართმევით აშანტაჟებდნენ?! ეს ხომ ჩვეულებრივი ამერიკული ტაქტიკაა, მათი ზემოქმედების საშუალება!**

სწორედ ბიძინა ივანიშვილის ამ გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყო პროცესების მანიფესტაცია. გაიგეს, რომ საქართველო აღარ არის ვასალი და მის გაწირვას ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევს! ამ გადაწყვეტილების შედეგი იყო, რომ ხელისუფლებამ თამამად თქვა თავისი სათქმელი იქ, სადაც საჭირო იყო და არ დაუხარა მორჩილად თავი დასავლეთს. **ეს იყო ძალიან რთული, მაგრამ სწორად დაგეგმილი პოლიტიკური საჭადრაკო პარტია, მწყობრი, უზარმაზარი პოლიტიკა, რამაც აქამდე მშვიდობით მოგვიყვანა.** შემთხვევითი არ ყოფილა **ღარიბაშვილის** ვიზიტები ყაზახეთსა და ჩინეთში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ **ორბანი** დამოუკიდებლად აკეთებს განცხადებებს, ძალიან ცდება. მას ევროკავშირი აძლევს ლაპარაკის უფლებას. საბედნიეროდ, კიდევ არიან იქ გონიერი ადამიანები.

**— სტატუსის მონიჭება ჩვენსა და დასავლეთს შორის ურთიერთობაზე როგორ აისახება?**

— ამ სტატუსს პოლიტიკურად არანაირი წონა არა აქვს, მითუმეტეს დასავლეთისთვის. ჩვენზე კარგად იციან, რომ ეს ბრჭყვიალა სათამაშოა, რომლითაც შეიძლება, რაღაც პერიოდი ხალხი გაერთოს.

მოკლედ, ნიღბები დაყრილია და გაცხადდა ამერიკელთა ერთადერთი მიზანიც — არეულობის შეტანა ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ. ამერიკის მიერ გაბედნიერებული ერი მე ჯერ არ მინახავს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



მოხარული ვართ **მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების გამო,** ექიმების რეკომენდაციის შემდეგ **გადაყვანილი იქნება პენიტენციურ დაწესებულებაში.**

„პირველი არხი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



მივიღოთ პოლიტიკური გადაწყვეტილება და **დავაბრუნოთ სააკაშვილი იქ, სადაც უნდა იყოს, რუსთავის მე-12 დაწესებულებაში,** იქ არის მისი ადგილი. ამ სიმძიმის დამნაშავე საქართველოში ძალიან ცოტა გვყავს და **არც ჯანმრთელობას უჩივის,** რასაც კარგად ვხედავთ მისი ყოველდღიური საეთერო გამოსვლებიდან თუ მუქარებიდან.

„ინტერპრესნიუსი“

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



თავად **სალომე ზურაბიშვილს** საჯაროდ და ძალიან მკვეთრად აქვს ნათქვამი, რომ ის **არ აპირებს მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას.** სალომე ზურაბიშვილის ძმის განცხადება არაფერს ნიშნავს.

„რეზონანსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



არა მგონია, **ქალბატონი სალომესთვის დაბალრეიტინგიანი ოპოზიციური პარტიების დედოფლად ყოფნა** მიმზიდველი იყოს, მითუმეტეს, რომ **თავადაც დაბალი რეიტინგი აქვს** და საქართველოში ხმების მიღება უძნელდება.

„რეზონანსი“

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# პლეზიდანი მუზმუზელობს!

ამ **„ქადჟმა“**, ოდესღაც **ბიძინა ივანიშვილს** თვალებში რომ შესციცინებდა და მუხლების დასაკოცნად იწევდა, „ლე მონდთან“ საუბრისას იმავე **ბიძინა ივანიშვილს** ოლიგარქი უწოდა!

**წარმოგიდგენიათ? — დღეს საქართველოში ბიძინა ივანიშვილის გარდა ოლიგარქი არ არსებობსო.**

აქ უნდა მეთქვა — მტყუანს მია...სას **დეპუტატმა მაჭუტაძემ**-მეთქი, მაგრამ მერე ხელი ჩავიქნიე.

შემდეგ განაგრძო — **მაგან ფული რუსეთში დააგროვაო... მაგას რუსეთის დამარცხება ვერ წარმოუდგენია და ამიტომაც ურჩევნია რუსეთიო.**



☺

ხალხო, ბოლო დროს სულ მეფიქრება — **ნეტავ აეგრე რამ გაამწარა ეს დედაკაცი, რომ უკვე ჯამ-ჭურჭელსაც ამტვრევს?**

არა მგონია, ამისი კბენა, ღრენა, ლევა, წევა და მტვრევა მარტო აგენტურულობისა თუ მოსყიდულობის ბრალი იყოს, მე კიდევ მაქვს გონივრული ეჭვი ერთ რაღაცაზედ:

**2018 წელს, არჩევნების პერიოდში, მაგან „ქართუდან“ ისესხა რუსეთში დაგროვებული 1 მილიონი ლარი. როგორც ხდება ხოლმე, სესხის აღება იოლია, დაბრუნება კიდე ძნელი.**

ამოცანა გვეკითხება — **ხომ არ დააბრუნებინა „ქართუმ“ ის ერთი მილიონი და ამის გამო ხომ არ არის აჭრილი მადამ პლეზიდანი?**

ან იქნებ არ დაუბრუნებია და „ქართუ“ ეჩხუბება, მაიტა ფულიო?

**არ ვიცი, აი, არ ვიცი!**

**რატომღაც მგონია, რომე... ამისი არაადეკვატურობა და გიჟმაჟიანობა იმ 1 მილიონს უნდა უკავშირდებოდეს.**

არც იმას გამოვრიცხავ, ამანაც სთხოვა **ზუზაზ სანიკიძესავით** ბიძინა ივანიშვილს 1 მილიონი დოლარი, იმან სამი თითის კომბინაცია უჩვენა და ეგრევე გაიშალა კიკინები. რა, მაგის მეტი არავინ გაცეტებულა ფულის მიუცემლობის გამო?

☺

მოკლედ, **მადამ პლეზიდანის მუზმუზელობა** რომ პატრიოტული მოტივებით არ არის გამოწვეული, ამას ყველანი ვხედავთ და რაკი ვხედავთ, მიზეზიც უნდა ჰქონდეს!

# ნი კუტა, ნი გვარამია!




აკი დედამიწა ჩალით არ არი დახურულიო?! არი და მერე როგორი ჩალით? დამპალით, დაობებულით, საიდანაც ტლაპოიანი წვიმა წურწურით ჩამოდის!

**ეგრე რო არ იყოს, ჟურნალისტთა ე.წ. დაცვის კომიტეტი ნაპროკურორალ ჯალათ ნიკუშა გვარამიას ჟურნალისტად მოიხსენიებდა და პრესის თავისუფლების „საერთაშორისო“ ჯილდოს გადასცემდა?**

რა ჯილდო, რომელი ორდენი და ყღარუნ-ყღურუნები?

მაგას პანჩური უნდა მიანიჭონ დილა-საღამოს!

☺

**„ოსკარი“ მიიღოვო...** შემთხვევით, იმ ფილმისთვის ხომ არა, ბინძური სააკაშვილის ეპოქაში რომ გამოაცხო და საქართველოს სულში ჩააფურთხა?!

☺

**მოკლედ, არა შეჯდა მწყერი ხესა...**
**ნი კუტა, ნი გვარამია!**

# ყოველდღე ალაპარაკეთ!



**მადამ პლეზიდანის ძმას** ეკითხებიან — როგორ მიგიღეს საქართველოშიო?

ძალიან კარგად მიმიღეს, ყველა მეუბნება, შენღა გვაკლდიო... და მაინც, გამაიყვანენ ხოლმე ამ **ვინიტუ ინჩუჩუნას** ჭუტაანები და ალაპარაკებენ უამრავ სისულელეს, გეგონება, დიდი მჭევრმეტყველი გვყავდეს.

ბოლო აფრაკობა ის იყო, რომ თქვა — **პლეზიდანი გამოსავალს ეძებს, საააკაშვილი როგორ შეიწყალოს, ეს რთული თემა არისო!**

არადა, სალომე ბრძენს ვიღაცამ გაუმხილა — **შენი შეწყალება ფუჭი იქნება, როგორც კი დავთარს ხელს მოაწერ, მეორე, მესამე და მეოთხე განაჩენს გამოუტანენ და ისევ ციხეში ჩატოვებენო.**

იცის **ვინიტუ ინჩუჩუნას** დამ, ეს ოინი არ გაუვა, თორემ განა აქნობამდე არ შეიწყალებდა? თან სადღაც გულის კუნჭულშიც ეშინია, საპლეზიდანო სასახლიდან არ გამოაგდონ და საზღვრის იქით არ მიაიმასქნონ. ხო იცით, შიში მაინც ოხერია, პერიოდულად თვალებზეც ეტყობა, გამოპარულივით რო აცეცებს ხოლმე.

**ჭუტაანებო, ყოველდღე ალაპარაკეთ ოთარა, რაც მეტს იყბედებს ჩიქორთულად, მით უარესი ე.წ. ოპოზიციისთვის, რომელსაც გაგიჟებამდე და პოლიტიკურ პანთეონამდე ცოტაღა აკლია!**

# რომელი ორანჟერეადან არიან?




პირველი ფოტო **ბატონ რაულ ჩილაჩავას** გვერდიდან წამოვიღე, სადაც კარგად ჩანს, რა დღეშია საქართველოში ქართული ენა!

მეორე ფოტოზე ხედავთ დოკუმენტს, სადაც კარგად ჩანს, როგორ იცავს საქართველოში ქართულ ენას **სახელმწიფო ენის დეპარტამენტი!**

ამ დეპარტამენტმა, რომელიც საქართველოში უნდა იცავდეს ქართულ ენას, გამოაქვეყნა **„2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის ფარგლებში შეფასებული პროექტების რანჟირებული სია“.**

ამოცანა გვეკითხება: **რანაირად უნდა დაიცვას სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა სახელმწიფო ენა, როცა თავადვე ღვლარჭნის, აჩიქორთულებს და ანაგვიანებს ამავე ენას?**

☺

**რანჟირებული** სიაო... კიდევ კარგი, **ორანჟირებული** არ დაწერეს. ამ შემთხვევაში მთავარი ის გახლავთ, როგორ იცავს დეპარტამენტი ქართულ ენას და რაში იძლევა გრანტებს. მე აღარ ჩამოვთვლი, იხილეთ **„რანჟირებული“** სია!

2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის ფარგლებში შეფასებული პროექტების რანჟირებული სია

| N | შიფრი | პროექტის სათაური | წამყვანი ორგანიზაცია | ქულების ჯამი |
|---|---|---|---|---|
| 1 | SL-22-529 | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 50 |
| 2 | SL-22-556 | „ვეფხისტყაოსნის" აფხაზური თარგმანების ციფრული კორპუსი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 50 |
| 3 | SL-22-418 | საავიაციო ტერმინთა სასწავლო ილუსტრირებული ქართულ-ინგლისური ლექსიკონი | საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | 50 |
| 4 | SL-22-339 | ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ტერმინოლოგიური განმარტებითი ლექსიკონი ქიმიაში | საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი | 49 |
| 5 | SL-22-501 | ქართული ენის ფლობის დონეების შესაბამისი ლექსიკური ერთეულების სიხშირული სია და ტექსტური ანალიზის ონლაინ რესურსი | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 48 |

# ძმათაგანის აზრია თუ დათაგანის?



ეს ამორტიზებული იძახის — **თუ ერთპროცენტიანები სინერგიულად გავერთიანდებით, ბიძინა ივანიშვილს დავამარცხებთო. „აირაის“** ეყრდნობა ბერძენიშვილების **ძმათაგანი თუ დათაგანი.**

არადა, როდის იყო, ან **„აირაის“** გამოკვლევებულობა მართლდებოდა, ან **„ენდიაის“**, ან კიდე სხვისა?

მე მგონი, ამდენი **გამოკვლევებულობა** ამ **გამოკვლევებულების** გასაგიჟებლად ტარდება... მოსახლეობაზე არ მოქმედებს და ისევ ესენი აფუთფუთდებიან ხოლმე მატლებივით... პრინციპში, რაღა მატლებივით, მატლები და წურბელები არ არიან?

აღარ უნდათ პოლიტიკიდან წასვლა, აღარ ეთმობათ... ზოგს თვალები ეჭუტება, ზოგი დაკოჭლდა, ზოგი ვარაუდზე დაბარბაცებს, ზოგი ხელების ცეცებით დადის, ზოგს დორბლი ჩამოსდის, ზოგს მუხლები აღარ ემორჩილება, ზოგს თავის ქიცინი დასჩემდა და მაინც იქით იწევენ, პარლამენტისკენ, იქ უნდათ წამოჯდომა ქათქათა სავარძლებში!

☺

წადი, შე ათას ცხრაას თვრამეტიანო, ტოლი ნახე, შენ ძმასთან ერთად ჰერკულესი ჭამე და კოჭი გააგორე... **თხუთმეტი, თუნდაც ორმოცდაათი, თუნდაც ასი მათხოვარი რომ გააერთიანო, მილიონერი გახდება?**

# ამოაწყვეთ უ-ზაალ-თუნები!




**უდუმაშვილმა** დიდი ამბით გვამცნო — **კახა კალაძე რუსეთის სადარაჯოზე დადგა... მან რუსეთზე, როგორც ოკუპანტზე, ერთი სიტყვის თქმაც ვერ გაბედაო.** შემდეგ (ზალა) ვერდს კორესპონდენტთან გადავიდა და იმანაც აკრიფა: **კალაძე იცავს რუსეთს და ლანძღავს ოპოზიციასო... თბილისის მერის მტკიცებით, საქართველოს მტერი არის არა პუტინის რეჟიმი, არამედ ჩვენი ოპოზიციაო...**

☺

სიუჟეტს ისე ვერ დატოვებდნენ, **კალაძის** ერთი წინადადებაც რომ არ გაეშვათ, ესენი ხომ დაბალანსებულ-მიუკერძოებლები არიან.

ჰოდა, **კალაძემაც** ერთი-ერთში გაიმეორა კონსტანტინე გამსახურდიასეული **მეფე გიორგის** სიტყვები: **„ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავისა, თავის ხალხის მოღალატენი... როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“.**

დიახ, დიახ — როცა ამდენი მოღალატე გვყავს, რომელ რუსეთზე მელაპარაკებითო? **ყველაზე დიდი მტერი დღეს შინ გვყავს ოპოზიციის სახითო.**

☺

ამათ კი გამოაბეს კუდები — არიქა, **ლავროვმა** თქვა, კავკასიაში ევროკავშირი ვერ გაფართოვდება და... კახა კალაძემ **ლავროვის** მხარე დაიჭირა, **პუტინის** რეჟიმს დაუდგა დარაჯადო.

ჰაი-ჰაი, რომ **პუტინმაც** მშვენივრად იცის, რომ თქვენი სახით საქართველოში მეხუთე კოლონა ეგულება და ამიტომაც გრძნობს თავს არხეინად. **რა, ყველაფერი კალაძემ უნდა გითხრათ, თუ თავად ამოალაგებთ დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან გამოგზავნილ უზალთუნებს?**

# ასწიეთ ბარიერი პროცენტით — ბარე ორით!



ზინყზე დაცემული ე.წ. ოპოზიცია საარჩევნო ბარიერის დაწევას ითხოვს **5-დან 2 პროცენტამდე!** თან ირწმუნება — „ქართულმა ოცნებამ“ პირობა დადო, თუ ევროკავშირი კანდიდატის სტატუსს მოგვანიჭებს, ბარიერის დაწევაზე ვიფიქრებთ, ხოლო, თუ ბარიერს არ დასწევენ, კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ ესენი გადამგდებები არიანო.

გაიგონეთ? **ესენი კიდევ ვიღაცაზე ყოფილან დამოკიდებულები, არადა, ხომ აცხადებდნენ, ხელისუფლებაში უკვე მოსულები ვართ, დროის ამბავია და ძალაუფლების გადმობარებაღა დარჩაო.**

„ქართული ოცნების“ საქმეც წასული გეგონათ და საჯაროდ წკავწკავებდით — ქართველ ხალხს მიხეილ სააკაშვილთან ერთად ჩვენც მოვენატრეთო.

**თუ ეგრეა, 3%-ზე რაღას მათხოვრობთ?**

**აააა... ხელისუფლებაში თითქმის უკვე მოსულები ხართ, ოღონდ 5%-ის გადალახვა გიჭირთ?**

**პატივცემულო ხელისუფლებავ!** გულშიც კი არ გაივლო საარჩევნო ბარიერის **თუნდაც 1%-ით დაწევა.** პირიქით — თუ საშუალება იქნება, **2-3%-ით ასწიეთ,** ხომ იყო შევარდნაძის პერიოდში **7%-იანი ბარიერი?**

დაე, ახტნენ იმაზე უფრო მაღლა!

# დაპროცენტილები





ამ დედაკაცის დავთრების თანახმად, ჩვენი მოწაფეების 112 პროცენტს, როგორც დიდი მამულიშვილი **ზურაბ ჭიაბერაშვილი** იტყოდა, შივა. დიახ, ადრეც ჰქონდა ჩახვეული და დღესაც ჩაიხვია, რომ სკოლებში ბავშვების 35 პროცენტი შიმშილობს, ხოლო 77 პროცენტი ნაწილობრივ არის დამშეული.

ახლა მაიცადეთ — ძველებისგან გამიგონია, ტარანი თვლით არიო... **ჰოდა, თუ ტარანი თვლით არი, რანაირად ხდება, რომ 35 პროცენტს ძალიან შივა, ხოლო 77 პროცენტს ნაწილობრივ? სულაც რომ არ შივა, ასეთი 1 პროცენტიც არ გვყავს?**

ჯერ ერთი, 35-ს რომ 77 მივუმატოთ, 112 გამოდის და მეორეც — **რა ვიფიქროთ, ამ 12 პროცენტს ძალიანაც შივა და ნაწილობრივაც?**

კაი, ჰო, დავუშვათ, ეს დედაკაცი მათემატიკაში კოჭლობს და ჩვენ გავუსწორეთ, 112-ის ნაცვლად 100 პროცენტი გამოვუყვანეთ, რა გამოდის, საქართველოში ყველა მოწაფეს შივა?

☺

**არა, ხომ ხედავთ, როგორ ცრუპენტელობენ ეს გამჩენძაღლები?**

მე მესმის, რომ მათემატიკა არ „ეკერკებათ“ — ხან 102 პროცენტი გამოსდით, ხან — 105, ხან კიდე — 112, მაგრამ პარლამენტში ფინანსისტ-მათემატიკოსი **რომან კუპონიანი** რომ უზით, ხომ შეიძლება, გამოვიდეს და ერთხელ მაინც თქვას რაიმე ღირებული?

არა, ჩემ ფეხებს გამოვა! — მაგი ანი წითლიძესთან ერთად სილამაზის კონკურსში თუ გამოვა, **სალომე სამადაშვილის** თხოვნით!

# უპასუხეთ „უმფროსსა!“



მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი და **მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე,** ეს საკითხი აყვანილი მყავს პირად კონტროლზე და რატომ არ მპასუხობთო? — შეჰყარა მთელი დუნია **კურკუმალ ვაითმა.** თან სიტყვა **მთავარი** ისეთი რიხით წარმოთქვა, მავთულხლართებმა დაიწყეს დრეკა.

გეკითხებით და მიპასუხეთ, არ ცხრებოდა **კურკუმალი** — **ბრიტანეთის მოქალაქე და ჩვენი კონსულტანტი ბენ მალეტი რეიზა გააბრუნეთ საზღვრიდან,** მე აქ უმფროსი ვარ თუ „პროპკაო“?

ერთმა ოფიცერმა — **რას გვიყვირიო?**

კურკუმალმა — **მა რა ვქნა, როცა საქართველოს პარლამენტის წევრი და მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე ვარო?**

ოფიცერმა — **ეგ ჩვენ არ გვეხებაო.**

კურკუმალმა — **მე რომ საკითხს პირად კონტროლზე ავიყვან, ყველას გეხებათ — დიდსაც და პატარასაცო... გავრილოვსა და ლავროვს ხო კარგად ატარებთ, იმათ ხო უკან არ აბრუნებთო? აბა, თუ მაგრები ხართ, ლავროვი და პუტინი გააბრუნეთ უკანო!**

არა, ყველაზე მთავარი ამ და სხვა ამბებში ის არის, რომე... **ამას თავი მართლა „უმფროსი“ ჰგონია** — აიწევს და დაიწევს შარვალსა, როცა უნდა!

გაგრძელება
მე-10 გვერდზე

# ეს კიდევ პირს აღებს?



ახლა მეშინია, ეს დუნდუკი ოდესღაც შინაგან საქმეთა მინისტრი რომ იყო, მე კი მშვიდად მეძინა. ამასწინათ ტელევიზორში ამტკიცებდა — **ესენი რომ რუსები არიან, მოსახლეობამაც იცის, ჩვენმა უცხოელმა მეგობრებმაც იციან, მაგრამ საქართველო ხომ არის ქართული და ევროპული? — ჰოდა, ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა რუსები გავუშვათ და ევროპელები დავრჩეთო.**

☺

წარმოგიდგენიათ?

ეკლესიაში სამხედრო „ურალით“ შევარდნილი და აფრასიძეთა მჟღეტი **გიორგი ბარამიძე** ევროპელია, ხოლო კანდიდატის სტატუსმიღებულები — რუსები.

თან იძახის — **ხელისუფლებაში კი არიან რუსები, მაგრამ დანარჩენი საქართველო ხომ არის ქართული და ევროპულიო?**

წადი, ბიძიკო, ეგ **კუპრით** სავსე პირი გამოირეცხე — აწი **კუბდარს** აღარავინ გაჭმევს!

# მოგელანდებით!



**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად**

დასაწყისი მე-8 გვერდზე

# თამარაც მოა?




**თამარას** ახალი კლიპი გადაუღია, ზუსტად ისე ცეკვავს, როგორც ფილმ „მონანიებაში" **ვარლამ არავიძე.** თან ზუსტად იმნაირად იძახის — **დიმპიტაური, დამპიტაური, ტაურ-ტაურიო.**

ამ ეტაპზე მზეს არ ემუქრება — **ჩამო, თორემ დაგაბნელებო,** მაგრამ ჩერგოს ამბავი რომ ვიცი, მაგასაც მალე იზამს, აკი, კლიპის დასასრულს ტიტრები ჩნდება — **ჩერგოლეიშვილი თქვენს სამსახურშიო!**

☺

**როგორ ფიქრობთ, ეხლა რა გამოდის?**

**თამარა გამოძახებით?**

**ნეტავ მარტო დადის თუ გუგავასთან ერთად მოვა?**

**რავი... აქამდე მარტო გუგავა დადიოდა გამოძახებით და, ალბათ, ამიერიდან თამარაც მოა!**



არა, მთლა ისე არ მოიდეს, **მიშა** რომ წაიდა პოლიტიკიდან **სურამ-მედში** და ახლა ისევ ხალხის სამსახურში დაბრუნებას რო აპირებს. ახალი **მიშ**კინა ქვეყანას ნამდვილად დიმპიტაურამდე მიიყვანს!



# პარ(ფულ)ომერია პარლამენტის მაკიაჟისთვის

აეგეთი პლურალისტური, შეხმატკბილებული და არაპოლარიზებული პარლამენტი, დღეს როა, მე პირადად 30 წლის განმავლობაში არ მინახავს.

არა, ზოგიერთმა ე.წ. ოპოზიციონერმა კი წაიწკმუტუნა, **ეხლა რა დროს ეგ იყო-ვო, რა აუცილებლობა იყო-ვო, რა გეჩქარებოდა-თო,** მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ აგი წკმუტუნი მოსახლეობის თვალში მოსაჩვენებელი რამ გახლდათ, მხოლოდ ცალყბად ამოღერღილი.

რაღა დაგიმალოთ... პარლამენტში სუ ეგეთ გადაწყვეტილებებს რო იღებდნენ, **ბოიკოტები** და **ბოიკოტრაკირებები** წარსულს ჩაბარდებოდა, სიამტკბილობა დაისადგურებდა, პირიდან ყველას თაფლი გადმოუვიდოდა და იქნებოდა მხოლოდ თვალთა ჟუჟუნი.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა, თქვენთვისაც გამენდო... **იმ დღეს საქართველოს პარლამენტში ხელფასების მომატების საკითხი განიხილებოდა.**



**Khatuna Samnidze**

3 d ·

მეგობრებო, ყავის აპარატის გაწმენდის სერვისი ხომ არ იცით და ხომ არ მირჩევდით ვინმეს ან რაიმე კომპანიას? (ვიცი, რა დროს ესაა, მაგრამ ყავა ყოველთვის მნიშვნელოვანია, ხომ იცით:)) 🥰🥰



# სამნიძის




*„ბოსტონის ჩაის სმა" მსოფლიო ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომელიც ბრიტანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ამერიკელების პროტესტს უკავშირდება.*

**მე-18 საუკუნის მიწურულს ბრიტანელი დამპყრობლები იძულებული გახდნენ, ამერიკაში შეტანილ საქონელზე ბაჟის აკრეფა შეეწყვიტათ, თუმცა, იმის ნიშნად, რომ ძალაუფლება კვლავ მათ ხელში რჩებოდა, ჩაის იმპორტზე მცირეოდენი ბეგარა დატოვეს.** მართალია, ბაჟი უმნიშვნელო იყო, მაგრამ ამერიკელებმა ჩაის შეძენაზე მაინც ბოიკოტი გამოაცხადეს, რის შემდეგაც დიდმა ბრიტანეთმა ინგლისური კომპანია **„ვესტ ინდოეთი"** საბაჟო გადასახადისაგან ექსკლუზიურად გაათავისუფლა, თუმცა, ამან აჯაგრული მოსახლეობა არათუ ვერ დააშოშმინა, არამედ კიდევ უფრო აღაშფოთა.

**1773 წელს აშშ-ის ქალაქ ბოსტონის მცხოვრებნი ინდურ ტანსაცმელში გამოეწყვნენ, „ვესტ ინდოეთის" ხომალდზე შეაღწიეს და ჩაის ყუთები ზღვაში გადაყარეს.**

სწორედ ამ მოვლენას ეწოდა **„ბოსტონის ჩაის სმა"** და ამ სახელწოდებით დარჩა ისტორიაში!

რაც შეეხება **სამნიძის ყავის სმას,** ცხადია, იგი თავისი მასშტაბითა და ისტორიული მნიშვნელობით **„ბოსტონის ჩაის სმას"** ოდნავადაც ვერ შეედრება, მაგრამ შესაძლოა, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს დღევანდელი ქართული პოლიტიკისათვის.

როგორც წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილ ფოტოზე ხედავთ, **„რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე ხათუნა სამნიძემ,** რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრი ნაციონალურ მოძრაობაზე ატორღიალებით გახდა, რამდენიმე დღის წინათ „ფეისბუქში" თავის ვირტუალურ სამეგობროს მიმართა — **მირჩიეთ ვინმე კერძო პირი ან კომპანია, რომელიც ყავის აპარატს გამიწმენდსო!**

იმავე ფეისბუქ-პოსტში **სამ-**

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერი*



**ჩვენი გაერთიანება,** ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, **პირველ ადგილზე გავა,** რაც შეეხება სიას, ვიქნები იქ, სადაც ხალხი მიმიჩენს ადგილს.

„პალიტრანიუსი"

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების" ლიდერი, პარლამენტარი*



ძალიან მწარედ ვიკბინე იდაყვზე და დასკვნები გამოვიტანე, როცა **ფანჩატურებში, მანჩატურებში დავდიოდი** და მზად ვიყავი, ნებისმიერთან მელაპარაკა.

„პირველი არხი"

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ჩემთვის, როგორც **მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის,** ძვირფასია უწმინდესის თითოეული სიტყვა, **ვისურვებდი, ერის სულიერი მამისგან პოლიტიკურ შეფასებებს არ ვისმენდე.**

„პირველი არხი"

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ქვის სროლით და ფანჯრების მსხვრევით საქართველოში ხელისუფლება აღარ შეიცვლება!**

„საერთო გაზეთი"

**რომან გოცირიძე**
*ევროოპტიმისტების ლიდერი, პარლამენტარი*



საოცარია, **ამდენი ბნელი მოქალაქე** შეუძლებელია, საქართველოში იყოს, რომ **ჩიპებში ეშმაკები, ჰინკები და ურჩხულები ეგონოს** — ვერ აუხსნით, რომ ამ ჩიპში არ სხედან ურჩხულები?

„ინტერპრესნიუსი"

**კახა ოქრიაშვილი**
*პარტია „პროგრესის და თავისუფლების" ლიდერი*



საქართველოში **არცერთი კვლევის შედეგი** სანდო არ არის.

„ახალი თაობა"








თინა ბოკუჩავა, ანა ნაცვლიშვილი, ანა წითლიძე, სალომე სამადაშვილი, ელენე ხოშტარია, თეონა აქუბარდია

# ყავის სმა

**ნიძემ** ცოტა დაირცხვინა კიდეც — **რა დროს ყავის აპარატის გაწმენდაა, მაგრამ ხომ იცით, ყავა ყოველთვის მნიშვნელოვანიაო!**

მოკლედ, ქალბატონ სამნიძეს ყავა ნამეტნავად ნაყვარება, მაგრამ ყავის მოსადუღებელი აპარატი გასაწმენდი ჰქონია!

**გაპრიალებულ აპარატში მოდუღებული ყავა ლიტრობითაც რომ სვას, თუნდაც 1-პროცენტიან**



ისე, ეტყობა კიდეც **ხათუნა სამნიძეს,** ყავა რომ ძლიერ უყვარს და დიდი რაოდენობითაც მიირთმევს... **პარლამენტში ისეთ სკანდალებს აწყობს ხოლმე, იმდენს კივის და წივის, ისე იგინება და ბრგე მანდატურებსაც ისე ძალუმად ეჯაჯგურება, კაფანდარა ქალში ამხელა ენერგიის მოზღვავება აშკარად კოფეინის ჭარბ დოზას უნდა მივაწეროთ.**

კი, ყავას, ანუ კოფეინს ნამდვილად შეუძლია, გადაღლილმოთენთილი ადამიანი შეაფხიზლოს და ჯანზე მოიყვანოს... **ყავა ადამიანს გონებრივ კონცენტრაციასა და განწყობის ამაღლებაშიც ეხმარება, მაგრამ**

**ვაი, რომ არ არსებობს ყავა, რომელსაც პოლიტიკოსისა და პოლიტიკური პარტიის რეიტინგის ამაღლება ძალუძს... მით უმეტეს, „რესპუბლიკურ პარტიას" ისეთი დაბალი რეიტინგი აქვს, მისმა თავმჯდომარე ხათუნა სამნიძემ სანიმუშოდ გაწმენდილ-**

**საარჩევნო ბარიერს ვერაფრით გადაახტება.**

**კარგი ბატონო, ვთქვათ, იშოვა ხათუნა სამნიძემ ყავის აპარატის გამწმენდი სპეციალისტი, მაგრამ რა ძალას შეუძლია, გაწმინდოს მისი პოლიტიკური ბიოგრაფია, რომელიც ნეოლიბერალიზმით, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლით, მოხუცი პატრიარქის ლანძღვაგინებითა და მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ ნაცბანდასთან პარტნიორობით არის დაბინძურებული?**




**ხათუნა სამნიძის დაბინძურებული ყავის აპარატის გაწმენდა მარტივი საქმეა, მაგრამ თავად ხათუნა სამნიძის პოლიტიკური განწმენდა ყოვლად შეუძლებელია ისევე, როგორც თინა ბოკუჩავას, ანა ნაცვლიშვილის, ანა წითლიძის, სალომე სამადაშვილის, ელენე ხოშტარიასა და თეონა აქუბარდიას კეთილშობილ ქალწულებად გადაქცევა!**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ხათუნა სამნიძის დაბინძურებული ყავის აპარატის გაწმენდა** მარტივი საქმეა, მაგრამ თავად **ხათუნა სამნიძის პოლიტიკური განწმენდა ყოვლად შეუძლებელია ისევე, როგორც** თინა ბოკუჩავას, ანა ნაცვლიშვილის, ანა წითლიძის, სალომე სამადაშვილის, ელენე ხოშტარიასა და თეონა აქუბარდიას **კეთილშობილ ქალწულებად გადაქცევა!**

აქ ხსენებულ პოლიტიკურ ალქაჯთაგან ქართული პოლიტიკა ზუსტად ისევეა გასაწმენდი, როგორც **ხათუნა სამნიძის ყავის აპარატი** ქიმიური ჭუჭყისა და ნადებისაგან!

იმედია, ქართველი ხალხი ამას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოახერხებს!

**და თუ ბოსტონელი ამერიკელების მიერ ინგლისელი კოლონიზატორების გემიდან ჩაის ყუთების ზღვაში გადაყრას „ბოსტონის ჩაის სმა" დაერქვა, შეიძლება, ქართული პოლიტიკიდან კოლექტიური ხათუნასამნიძის გაყრას „სამნიძის ყავის სმა" ეწოდოს!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი, პარლამენტარი*

ჩვენი ამოცანაა, 2024 წელს **ნაციონალური მოძრაობის და „სტრატეგია აღმაშენებლის" ერთობა** პირველ ადგილზე გავიდეს.

„ინტერპრესნიუსი"



**გიორგი ბარამიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური მდივანი*

გვინდა, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი სრულად იყოს წარმოდგენილი პარლამენტში და **მხარს ვუჭერთ საარჩევნო ბარიერის ორ პროცენტამდე დაწევას.**

„ინტერპრესნიუსი"



**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*

კარგად დაიხსომოს ყველამ, **ჩვენი პარტიის რეიტინგი არასოდეს ჩამოდის 10 პროცენტზე დაბლა.**

„აიპრესი"



**ელისო ბოლქვაძე**
*პარლამენტარი*

როიალის დადგმა ფუფუნების საგანი არ არის, **ყველა ევროპულ პარლამენტში დგას როიალი** და კონცერტები იმართება.

„ინტერპრესნიუსი"



**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის საერთაშორისო მდივანი*

მომავალ არჩევნებში **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"** გამარჯვებას აპირებს.

„აიპრესი"



**თამარ ჩარკვიანი**
*საპარლამენტო უმცირესობის წევრი*

**თამარ ჩარკვიანს ნათია მეზვრიშვილმა** ნაციონალურ მოძრაობაზე არაფერი უნდა უთხრას! სირცხვილია! — **მე რომ ქუჩაში ვიდექი, ადეიშვილის პროკურორი იყო.**

„პალიტრანიუსი"

***ტურიზმი, რომელიც, თურმე, საქართველოში ყვავის, უცხოეთიდან შემოსეული ყვავ-ყორნების ნავსაყუდელი ხდება, საიდანაც ჩვენი სამშობლოს გენეტიკური მტრები და საქართველოს ისტორიის გამყალბებლები ქართველ დასაქმებულებს აძევებენ. გიდების ასოციაცია „საგას“ წევრი ქეთი ბურნაძე სწორედ ამ უბედურების შესახებ მოგვითხრობს:***

# რას ჰაიტარაკუნებენ არაქართველი გიდები და როგორ გვჭრიან თავს ქართველებს!



## ქეთი ბურნაძე:

# არაბებმა, თურქებმა, ირანელებმა, რუსებმა ხმლით ვერ დაგვიპყრეს, მაგრამ თავიანთი ექსკურსია-მძღოლებითა და ტურისტული ოპერატორებით გვიპყრობენ!



— საქართველოს ტურისტული ინდუსტრია, რომელიც ოდითგანვე ქართველი კაცის სიამაყისა და ხანდახან კეთილდღეობის წყაროც იყო, დაღუპვის პირასაა! ჩვენი ენა, დამწერლობა, ლიტერატურა, ქრისტიანული არქიტექტურა, ქართული სამზარეულო, ზოგადად, ჩვენი უძველესი ცივილიზაცია, რაც სწორედ ქართველად გაგრძნობინებს თავს, დგას უდიდესი გამოწვევების წინაშე. **შემოსეული ირანელები, არაბები, თურქები, სომხები, რუსები, უკრაინელები, ბელარუსები და ყველა, ვინც არც ქართული იცის და არც საქართველოს ისტორია,** თავისი ქვეყნიდან იწვევენ ტურისტულ ჯგუფებს და თავად უწევენ ექსკურსიამძღოლობას. ასეთი ე.წ. „გიდები“ და შემოსეული ტურ-ოპერატორები ქართულ ეკლესია-მონასტრებს სომხურად აცხადებენ... ზოგიერთი მათგანი თავის ჩამოყვანილ ტურისტებს იმაშიც არწმუნებს, რომ საქართველომ ქრისტიანობა რუსეთისგან მე-12 საუკუნეში მიიღო! სომხეთიდან ჩამოსულმა ერთ-ერთმა ექსკურსიამძღოლმა უცხოელ ტურისტებს უფლისციხე ქვეწარმავლების მოსაშენებელ ფერმად „გააცნო“, სადაც ველური ქართველები ადრე ჯოჯოებსა და ხვლიკებს ამრავლებდნენ და მერე ცოცხლად ჭამდნენ!

**— ეს დაუჯერებელია!**

— დაუჯერებელი კი არა, უარესებს ამბობენ! მონიტორინგის შედეგად გამოვიჭირეთ ერთ-ერთი სომეხი არაკეთილმოსურნე, რომელიც თავის ჩამოყვანილ ტურისტულ ჯგუფებს სწორედ ამას აჯერებდა! იმასაც მოვესწარით, რომ საქართველოს, რომელიც ღვინისა და ხორბლის სამშობლოა, ასეთ სიბინძურეს აბრალებენ... აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ატენის სიონი იმავე სომეხი გიდების მიერ უკვე დიდი ხანია, გამოცხადებულია სომხურ ტაძრად.

**— ატენის სიონი და მცხეთის ჯვარი ბიზანტიელმა და ქართველმა ხუროთმოძღვრებმა ააგეს და სომხები რა შუაში არიან? მართალია, ატენის სიონზე სომეხი თოდოსაკის წარწერაც გვხვდება, მაგრამ მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ეს წარწერა მეათე საუკუნის შუა პერიოდისაა, როცა მეშვიდე საუკუნის 30-იან წლებში აგებული და მერე არაბთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად დანგრეული ეკლესიის აღდგენა-განახლება მოხდა...**

— ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ სომეხი ექსკურსიამძღოლები სხვებს არწმუნებენ, რომ ატენის სიონი სომხური ძეგლია! იგივე შეიძლება ითქვას თურქ და ირანელ გიდებზეც...

**— ისინი რას ლაპარაკობენ?**

— **ისინი უცხოელ ტურისტებს უმტკიცებენ, რომ საქართველო ისტორიულად იყო ირანის პროვინცია, ანდა თურქეთის ვილაიეთი, რომელიც მათ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო დაკარგეს, რადგან ქართველები რუსეთს შეეკრნენ!** შემომყვანი და გადამყვანი ტურისტული კომპანიები, ღვინის მარნები, რესტორნები, სახლი-სასტუმროები ნელ-ნელა ხელში ჩაიგდეს უცხოელებმა, სადაც თავიანთ მოქალაქეებს ასაქმებენ, ხოლო ქართველებს სამუშაო ადგილებიდან ერეკებიან! გარდა იმისა, რომ ქართველი ადამიანი შემოსავალს კარგავს, სახელმწიფოც დიდ ზარალს ნახულობს, რადგან ორმაგი დაბეგვრის სისტემა და ის უკიდურესი ლიბერალური მიდგომა, რაც ქართულ კანონმდებლობას ამ სფეროს მიმართ აქვს, საბოლოოდ იწვევს იმას, რომ ტურისტების მიერ შემოტანილი ფული საქართველოში დასაქმებულ ირანელ, რუს, თურქ, უკრაინელ, ბელარუს და სომეხ ტურ-ოპერატორებს საქართველოდან თავიანთ ქვეყნებში მიაქვთ. წლევანდელი ტურისტული სეზონი უკიდურესად მძიმეა, ხოლო, თუ სახელმწიფომ სასწრაფოდ ზომები არ მიიღო და ქართველი გიდების უფლებები არ დაიცვა, მომავალი სეზონი ჩვენთვის საერთოდ კატასტროფული იქნება!

**— რა არის ამ უბედურების მიზეზი?**

— ცხადია, **კანონმდებლობა!** კანონპროექტი, რომელიც 2023 წლის ივნისში პირველი მოსმენით მიიღეს, ისეთი ჩიქორთულით არის დაწერილი, 41-გვერდიან დოკუმენტში ეშმაკიც კისერს მოიტეხს.

**— ვინ დაწერა ეს კანონპროექტი?**

— ჩვენ რომ განგაში ავტეხეთ, ხელისუფლებიდან გვიპასუხეს — **ეს ევროკავშირის რეკომენდაციებით შედგენილი კანონპროექტიაო!** ე.წ. „კოპიპეისტით“ შეიმუშავეს კანონპროექტი, სადაც აბსოლუტურად არ არის გათვალისწინებული ტურისტულ სფეროში დასაქმებულ ქართველთა უფლებები. ნოემბრის ბოლოს დაგეგმილია ამ კანონპროექტის მეორე, მუხლობრივი განხილვა და თუ ამ სახით მესამე მოსმენითაც მიიღეს, ქართველი ტურ-ოპერატორებისათვის საქართველოში ადგილი აღარ დარჩება! **არაბებმა, თურქებმა, ირანელებმა, რუსებმა ხმლით ვერ დაგვიპყრეს, მაგრამ თავიანთი ექსკურსიამძღოლებითა და ტურისტული ოპერატორებით გვიპყრობენ!** უფრო მეტიც, გუშინდელი ტურისტი, რომელიც საქართველოში სტუმრად იყო ჩამოსული, დღეს უკვე გვევლინება ტურ-ოპერატორად, გიდად, მძღოლად, რომელიც ხსნის სასტუმროებს და ე.წ. გესტ-ჰაუსებს. თქვენ წარმოიდგინეთ, აზიური და სლავური წარმოშობის რამდენიმე პიროვნებას საქართველოში უკვე მარნებიც კი აქვს გახსნილი! სინამდვილეში ჩვენ ვართ ამ გენისა და კულტურის მატარებლები, რადგან ღვინის დამზადების 8-ათასწლოვანი ისტორია მხოლოდ საქართველოსთან და ქართველ კაცთან არის დაკავშირებული. უცხოელმა ქართველი მარნიდანაც კი გამოაგდო და იქაურობის ბატონ-პატრონი თავად გახდა. შემოსეულები, რომლებსაც საქართველოს ისტორიაზე, კულტურასა და ქართულ ენაზე წარმოდგენაც კი არა აქვთ, ხშირად ჩვენს ქვეყანაზე საუბრობენ აგდებულად, შეურაცხყოფით, დაცინვით...

**— სახელმწიფო ამ დროს რა ჯანდაბას აკეთებს, ამ აღვირახსნილ ხალხს არავინ აკონტროლებს?**

— ეს ყველაფერი მიშვებულია, არავითარი კონტროლი არ არსებობს და დაწყებულია ჩვენი ქვეყნის მრავალათასწლოვანი კულტურის, ქართული ცივილიზაციის, ჩვენი ქრისტიანული მწერლობის, ფერწერის, საეკლესიო მხატვრობის, ჭედურობის, ფრესკებისა და, საერთოდ, ყოველივე ქართულის ლაფში ამოსვრის დამღუპველი და სავალალო პროცესი! მაგალითად, რუსი ექსკურსიამძღოლები რუს, უკრაინელ და ბელარუს ტურისტებს, საერთოდ, რუსულენოვან სტუმრებს, უმტკიცებდნენ, რომ საქართველოს ჰყავდა ერთი გონებაშეზღუდული მეფე ერეკლე, რომელიც რუსეთმა შეიფარა და საქართველო გადაარჩინა! სომეხი „გიდი“ ხალხს არწმუნებდა, სოფიკო ჭიაურელი სომეხი იყოო!

სახელმწიფოს რომ შევუტიეთ და განგაში ავტეხეთ — ჩვენ საქართველოს სახე ვართ, ჩვენ ვაცნობთ და ვაყვარებთ ტურისტებს ჩვენს სამშობლოს, მტრებს მოყვრებად ვაქცევთ და ეს უცხოური ექსპანსია აღკვეთეთ-მეთქი! — იცით, რა გვიპასუხეს? — **ევროპაში მუშაობის უფლება ყველას აქვსო!** შე დალოცვილო, საქართველოს ისტორიას მიზანმიმართულად რომ ამახინჯებს და ქვეყანას შეურაცხყოფას აყენებს, იმას იცავ?

**— ვინ, რომელმა პარლამენტარმა გაგცათ ეს პასუხი?**

— **დავით სონღულაშვილთან** და ტურისტულ დეპარტამენტთან გვქონდა შეხვედრა, რომელიც ეკონომიკის სამინის-

## „სომხეთიდან ჩამოსულმა ერთ-ერთმა „გიდმა“ უცხოელ ტურისტებს უფლისციხე ქვეწარმავლების მოსაშენებელ ფერმად გააცნო, სადაც ველური ქართველები ადრე ჯოჯოებსა და ხვლიკებს ამრავლებდნენ და მერე ცოცხლად ჭამდნენ!“

## კვირბეინოსნები

**გურამ ოდიშარია**, *მწერალი*



ერთი ცნობილი პოლიტიკოსი ამბობდა, გეფიცებით, ხალხო, **კვადრატ-კვადრატ დავიბრუნებთ აფხაზეთსო.** არა, აფხაზეთი **ადამიან-ადამიან უნდა დავიბრუნოთ,** არა სისხლით, ტანკით და ავტომატით. როდესაც **ჩემმა მეგობარმა აფხაზმა** ჩემი წიგნიდან გაიგო, რა ჯოჯოხეთიც უღელტეხილზე გამოვიარეთ, როგორ იხოცებოდა ხალხი, მეგობრების პირით შემომითვალა: **ეს რა ჯოჯოხეთი გაგივლიათ, მე ეს არ ვიცოდი და თუ შენ ფიქრობ, რომ ამ ომში რაღაც ბრალეულობა მაქვს, მაშინ ამ ომის გამო ბოდიშს გიხდიო.** ეს შემონათვალი როცა გადმომცეს (1996 წელია), მაშინ გავიგე, რომ მას ძმა დაღუპვია ომში. მეც ჩემი წიგნი **„სოხუმში დაბრუნება“** გავუგზავნე წარწერით: **ჩემო მეგობარო, შენ თუ ფიქრობ, რომ მე ვარ ბრალში, მაშინ მე მომიხდია ბოდიში.**

„კვირის პალიტრა“

**დიმიტრი ხუნდაძე**, *„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ოპოზიციის ერთ-ერთმა ევროპელმა ლობისტმა **ვიოლა ფონ კრამონმა** საქართველოში **კიდევ ერთი რევოლუცია** დაგვიანონსა. რუსთაველის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მისი შეფასებით, თურმე, **საარჩევნოდ ხალხის მიტინგების თავიდან ასაცილებლად კეთდებ**ა და ეს მიუღებელი ყოფილა მისთვის.

მსურს, „დავამშვიდო“ ქართული ოპოზიციის ლობისტები უცხოეთში, **მათ რევოლუციური სცენარი აღარ დასჭირდებათ,** რადგან მათივე ჩატარებული კვლევებით, **მხოლოდ ნაცმოძრაობას შეუძლია 5%-იანი ბარიერის გადალახვა,** 1-2%-იანი პარტიები კი ქვეყანაში **რევოლუციას ვერ აწყობენ.**

„აიპრესი“

**გიორგი კეკელიძე**, *მწერალი*



**ჩვენ არსად მივისწრაფვით, ჩვენ ვართ ევროპა.**

„კვირის პალიტრა“

# «სომეხი „გიდი“ ხალხს არწმუნებდა, სოფიკო ჭიაურელი სომეხი იყოო!»



ტროზეა მიბმული...

**— უცხოელი „გიდების“ მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— თანამედროვე ტექნიკის პირობებში პოლიციელები დადიან კამერებით, ხოლო ყოველ გაჩერებაზე კონტროლიორები დგანან და ხალხს ამოწმებენ ელექტრონული აპარატებით. მიმაჩნია, რომ კანონი აუცილებლად უნდა მიიღონ, მაგრამ კანონმა ქართველი გიდები, ტურ-ოპერატორები და, საერთოდ, ტურისტულ ბიზნესში დასაქმებული ქართველები კი არ უნდა გასრისოს, არამედ არაკეთილმოსურნე და საქართველოს ისტორიის გამყალბებელი უცხოტომელებისაგან უნდა დაგვიცვას! საქართველოს 57 ქვეყანასთან აქვს ორმაგი დაბეგვრის სისტემა, რის გამოც ტურიზმის სფეროში დასაქმებული უცხოელების მიერ საქართველოში ნაშოვნი თანხა, თუნდაც პიროვნება სამეწარმეო რეესტრში იყოს დასაქმებული, მაინც სხვა ქვეყნებში გაედინება და საქართველო ვერავითარ მოგებას ვერ ნახულობს. პაკისტანელი და ინდუსი ტურისტები ჩამოდიან და ამ ნოყიერ ნიადაგზე ექსკურსიამძღოლობას იწყებენ... **ხელისუფლება გვეუბნება — მათ დასაქმებას ევროკავშირი გვავალებსო! ეს ჩემში, როგორც ქართველში, ევროკავშირის მიმართ აგრესიას იწვევს, რადგან მიჩნდება უცხო ხალხთან ასიმილირების შიში.** ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და თუ ამას არ მიეხედა, ძალიან მალე გავქრებით! რაც შეეხება თქვენს შეკითხავს, **მიმაჩნია, რომ საქართველოში სასწრაფოდ უნდა მიიღონ კანონი ტურისტული პატრულისა და პოლიციის შექმნის შესახებ.** ევროპაში ასეთი სამსახური არსებობს. თითოეული გიდი უნდა აღიჭურვოს ვიდეოთვალით და მისი საუბარი უცხოელ ტურისტებთან ჩაიწეროს! იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, ისრაელში ასეთი პოლიცია და პატრული არსებობს და ექსკურსიამძღოლები, რომლებიც ქვეყნის ისტორიის გაყალბებას შეეცდებიან, ასტრონომიული თანხებით ჯარიმდებიან! ეს წესი საქართველოშიც აუცილებლად დასანერგია... ამით, გარდა იმისა, რომ საქართველოს შეურაცხყოფა და ქვეყნის ისტორიის გაყალბების ბინძური კამპანია აღიკვეთება, ახალი სამუშაო ადგილებიც შეიქმნება და ახალგაზრდები დასაქმდებიან!

**— გიდმა, ქართველი იქნება თუ უცხოელი, ქართული ენა, საქართველოს გეოგრაფია და საქართველოს ისტორია არ უნდა იცოდეს?**

— ცხადია, უნდა იცოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, გიდად და ტურ-ოპერატორად ნებისმიერ უცხოელს შეუძლია მუშაობა! სადამსჯელო მუხლები მხოლოდ ჩვენზე, ქართველებზე, მოქმედებს, სხვები თავისუფალი არიან და რაც უნდათ, ჩვენზე იმას ლაპარაკობენ... მთავარია, იცოდნენ ლოკაციები, დანარჩენს „ვიკიპედიაში“ ამოიკითხავენ და მერე ტურისტებს ათას სისულელეს მოუყვებიან. მე და ჩემმა კოლეგებმა მონიტორინგი ჩავატარეთ... **განსაკუთრებით ჩამოსული სომხებისგან ისმის უბინძურესი რიტორიკა იმის შესახებ, რომ, თურმე, ქართველი ქალები — ბოზები, ხოლო კაცები ლოთები იყვნენ და თბილისი სწორედ სომხებმა აგვიშენეს და გვაჩუქეს.** საუბრობენ ბოყარზიანცზე, არამიანცზე, მილოვებზე, აზარიანცზე და ამ დროს უამრავი ქართველის სახელი, რომლებმაც თბილისი განავითარეს და ააშენეს, შეგნებულად არის წარხოცილი და მივიწყებული.

**— ხელისუფლება რატომ აცხადებს, რომ უცხოელი გიდების რიტორიკასა და ქცევას ვერ გავაკონტროლებთო?**

— არ უნდათ გაკონტროლება და იმიტომ! აშკარაა, რომ ტურისტული ბიზნესის გამსხვილებისკენ მიდის საქმე. **აქ რამდენიმე ადამიანის ინტერესზეა ლაპარაკი, რომლებსაც ბიუჯეტის ფულთან ახლოს მიცუცქება სურთ.** კარგი, ბატონო, გამსხვილდით, გასაგებია, რომ ვიღაცა იმპერატორის ახლობელია და ამით აუცილებლად ისარგებლებს, მაგრამ რას უშვრებით იმ უცხოელ გიდებსა და ტურ-ოპერატორებს, რომლებიც ასე აგრესიულად გვიტევენ? შარშან ცუდი ტურისტული სეზონი არ ყოფილა, მაგრამ წელს კატასტროფაა... ალბათ, მომავალ წელს ვერცერთი ქართველი გიდი და ტურ-ოპერატორი ველარ ვიმუშავებთ!

**— პრივატულ საუბარში ამერიკული „იუსაიდი“ ახსენეთ, რა უნდათ ამერიკელებს?**

— „იუსაიდმა“ არაერთხელ გააყლერა — **ქართველი გიდები და ტურ-ოპერატორები ძალიან მოუმზადებლები არიანო!** ჩამოსული სომხების, თურქების და ირანელების მომზადების დონე არ აინტერესებთ, მთავარია, ჩვენ მოგვაშთონ! აი, მაგალითად, ამასწინათ ერთ-ერთ შეხვედრაზე მიგვიწვიეს, „იუსაიდის“ წარმომადგენლებმა კითხვარები დაგვირიგეს ინგლისურ ენაზე და დამცინავად გადმოგვხედეს — **თუ ინგლისური არ იცით, ჩვენ მოგეხმარებითო!** საქართველოში, სადაც სახელმწიფო ენა ქართულია, რატომ უნდა ვავსებდე მე „იუსაიდის“ ეგიდით დაბეჭდილ კითხვარს ინგლისურად, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური კარგად ვიცი? **არ არის ეს ჩემი ავტოქტონი ერის, ჩემი ენისა და ჩემი სამშობლოს შეურაცხყოფა?** საბრალო პენსიონერებს ხომ დასდევენ ავტობუსების გაჩერებაზე კონტროლიორები, კეთილი ინებონ და, საქართველოში ჩამოთესლებული უცხოელი ტურ-ოპერატორებიც აღჭურვონ ვიდეოთვალებით და დაავალდებულონ საუბრების ჩაწერა! არჩევნები მოდის, დაასაქმონ ხალხი, მოტივაცია მისცენ, კიდევ ერთხელ გაუღვიძონ საქართველოს სიყვარული...

**ხელისუფლებავ, უამრავი განათლებული ისტორიკოსი და ფილოლოგი შინ ზის, გამოიყენეთ ამ ხალხის პოტენციალი, აგრძნობინეთ და დაანახეთ ამ შემოსეულ უცხოელებს, რომ არ ვართ ხელწამოსაკრავი ქვეყანა და უდიდესი კულტურა და ტრადიცია გვიმაგრებს ზურგს!**

**— თუ ხელისუფლება კანონპროექტს არ შეცვლის, რა იქნება?**

— 2023 წლის ივნისში ამათ კანონპროექტი მოტყუებით და დაჩქარებული წესით გაიტანეს პირველ მოსმენაზე. თუ ამ კანონპროექტს დარგობრივი ეკონომიკური და ევროინტეგრაციის კომიტეტები ამ სახით მიიღებენ, ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლომდე მივალთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „რუსი ექსკურსიამძღოლები რუსულენოვან სტუმრებს უმტკიცებდნენ, რომ საქართველოს ჰყავდა ერთი გონებაშეზღუდული მეფე ერეკლე, რომელიც რუსეთმა შეიფარა და საქართველო გადაარჩინა!“



## „იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, ისრაელში ექსკურსიამძღოლები, რომლებიც ქვეყნის ისტორიის გაყალბებას შეეცდებიან, ასტრონომიული თანხებით ჯარიმდებიან!“

## კვირგვინოსნები

**მაიანდი ლინდელი**
*საერთაშორისო ექსპერტი, ქოუჩი*



თბილისი არის ქალაქი, რომელიც ყოველთვის მაიძულებს, გავიღიმო. ვგიჟდები **„ქართვლის დედაზე“ — ცალ ხელში ღვინით სავსე თასი, რომელიც მასპინძლობის სიმბოლოა, მეორე ხელში კი — ხმალი, საჭიროების შემთხვევაში მტერს რომ დახვდეს,** საოცრება არ არის? ულამაზესია, მამაცი, იმავდროულად, თბილი და სტუმართმოყვარე. **აი, რატომ უნდა ისწავლოს მსოფლიომ საქართველოსგან.**

„კვირის პალიტრა“

**დათო ევგენიძე**
*კომპოზიტორი*



**საქართველო ყოველთვის ევროპა იყო.** ვულოცავ ჩვენს ქვეყანას, ოღონდ **ევროპასაც ვულოცავ საქართველოსთან გაერთიანებას.** ჩვენ ვართ ერთ-ერთი სამაგალითო ერი, რომელიც ყოველთვის ყურადღებას იმსახურებს. **ცოტანი ვართ, მაგრამ მაგარი ერი ვართ. ბედნიერი ვარ, რომ ქართველი ვარ!**

„კვირის პალიტრა“

**მერაბ კოკოჩაშვილი**
*რეჟისორი*



**გავხდეთ ევროპის წევრები,** თუმცა, არასდროს დავივიწყოთ ის, რომ **ქართველები ვართ, ჩვენი კულტურა გვაქვს, ენა და თავისთავადობა.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



საქართველოში შექმნილი **სამხრეთ ოსეთის ავტონომია,** რომელიც პირველმა **ეროვნულმა ხელისუფლებამ 1990 წელს გააუქმა,** ნაციონალური მოძრაობის, **მიხეილ სააკაშვილის ხელით 2007 წელს აღდგა.**

„TV იმედი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*„ჯიპა“-ს პროფესორი*



არც ისეა საქმე, როგორც ოპოზიცია გამუდმებით გაჰკივის, **რუსული მთავრობა გვყავსო** და ა.შ. ფაქტია, **ამ ხელისუფლებას ურთიერთობა ამერიკასთან მშვენივრად აქვს დალაგებული.**

„კვირის პალიტრა“

# ლალი მოროშკინა: დღევანდელი სტატუსით ჩვენ ბევრად უფრო მისაღები და საინტერესო ვართ რუსეთისთვის!



***მაშინ, როდესაც ევროკომისიამ რეკომენდაცია გასცა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მოსანიჭებლად, პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა პრესკონფერენციაზე დასასწრებად სტავროპოლში გაემგზავრა და კვლავ საჯაროდ აცხადებს, რომ ტერიტორიების დაბრუნება რუსეთთან დიალოგის გარეშე ვერ მოხდება:***

— ალბათ, უკვე მეათასედ ვამბობ — მსოფლიოში ხდება ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილება და ძველებურად ერთი მოთამაშე — შეერთებული შტატები ვეღარ იქნება! სერიოზულ მოთამაშეებად გამოდიან **ჩინეთი, რუსეთი და ბრიქსის ქვეყნები.** თუ ჩვენ ამ ყველაფერს არ გავითვალისწინებთ, ბეცების როლში აღმოვჩნდებით. ახალ თაობას უკეთ უნდა ავუხსნათ, რომ საქართველო არის ამიერკავკასიის ნაწილი და ჩვენ ამ გეოპოლიტიკურ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი გვაქვს. **2024 წელს საბოლოოდ დასრულდება ავტობანის მშენებლობა — ეს იქნება სიცოცხლის ან სიკვდილის გზა, იმის მიხედვით, როგორი პოზიცია ექნება საქართველოს მსოფლიო ბაზარზე.** თუ სალომე ზურაბიშვილივით შეურაცხყოფას მივაყენებთ ჩინეთის პირველ პირს და, ზოგადად, იმ დიდ ქვეყნებს, რომლებიც გეოპოლიტიკურ ძვრებში მონაწილეობენ, შორს ვერ წავალთ!

მოდით, სიმართლე ვთქვათ — რუსეთზე სანქციებმა უარყოფითად არ იმოქმედა, პირიქით, ქვეყანა შეიკრა, ეკონომიკურად გაძლიერდა და დღეს თავის პირობებს კარნახობს მსოფლიოს, რაც მთავარია, ნავთობს რუბლებზე ყიდის, აძლიერებს სასწავლო და ეკონომიკურ პროგრამებს, ატარებს უმნიშვნელოვანეს ფორუმებს!

**— როგორც ჩანს, რუსეთიდან საინტერესო შთაბეჭდილებებით დაბრუნდით...**

— მსგავსი ხასიათის კონფერენციები ყოველწლიურად ტარდება. ამჯერად ჩემს კოლეგებთან — ფილოსოფოსებთან, პოლიტოლოგებთან ერთად სტავროპოლში **კავკასიის უნივერსიტეტში** შევიკრიბეთ, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ევროპისა და ამერიკის წამყვან სასწავლო ცენტრებს. ბევრგან ვყოფილვარ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტი თანამედროვე ტექნიკითა თუ მიღწევებით ნამდვილად გამორჩეულია. თავად სტავროპოლი კი, შეიძლება ითქვას, პატარა ავსტრია აღმოჩნდა, საუკეთესოდ მოვლილი გარეუბნებით.

რაც შეეხება კონფერენციას, იგი გამორჩეული და უპრეცედენტო იყო იმითაც, რომ მასში პირველად მიიღეს მონაწილეობა აფხაზმა მეცნიერებმა. დაუჯერებელია, მაგრამ დარბაზში, სადაც ასობით ადამიანი იჯდა და მათ შორის აფხაზებიც, რუსები აჩვენებდნენ საქართველოზე გადაღებულ საოცარ ფილმებს, თუ როგორი ლამაზი ქვეყანაა, როგორი მდიდარი ისტორიის მქონე და განვითარებული. აჩვენებდნენ ჩვენს მეფეებსაც, მათ შორის, **ერეკლე მეორეს,** რა თქმა უნდა, კარგი რაკურსით.

**წარმოიდგინეთ, რუსებმა აყურებინეს აფხაზებს ფილმები საქართველოზე და თანაც, ყველაზე საუკეთესო მხრიდან, რაც აუცილებლად შეუქმნიდა მათ განცდას, რომ ასეთ საქართველოსთან ყოფნა მათთვის ბევრად უფრო საინტერესო და კარგია!**

**— მართლაც, დაუჯერებელია, რა ინტერესი აქვს ამ შემთხვევაში რუსეთს, რატომ წარმოაჩინა ოკუპაციის ქვეშ მყოფი საქართველო აფხაზ მეცნიერებთან ასეთი კუთხით?**

— რუსეთის ინტერესი არის საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება. მათ ყველაზე კარგად იციან, რა ხდება დღეს მსოფლიოში, რა გადანაწილება მიდის სამყაროში და როგორ საინტერესო პოზიციაშია საქართველო.

**პირდაპირ ვიტყვი – რუსებს არ სჭირდებათ ვაზელინწასმული და საზღვართან მისული ჩახდილი ქართველები, მათ სჭირდებათ პარტნიორები – მეცნიერები, პოლიტოლოგები, ექიმები.**

ქართველ ექიმებს დღესაც არნახული დაფასება აქვთ რუსეთში და ეს ყველამ კარგად იცის, ანუ სურთ, პარტნიორული ურთიერთობა მაღალ ნიშნულამდე ასწიონ.

**რუსეთის მიზანი რომ საქართველოს დაპყრობა იყოს, ამისთვის ნავთობის ერთი ჩასხმაც კი იკმარებს იმ ტანკებში, რომელიც თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში დგანან.** კიდევ ერთხელ ვამბობ, რუსეთის სურვილია, გვერდით ჰყავდეს საპირწონე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მეზობელი და მეგობარი. სწორედ ამისათვის ტარდება უამრავი კონფერენცია.

სხვათაშორის, ძალიან დააინტერესათ ჩემმა მოხსენებამ, სადაც სწორედ საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და როლზე ვისაუბრე, **განსაკუთრებული აქცენტები გავაკეთე იმაზე, რომ ჩვენ მსოფლიო რუკაზე ეკონომიკურ-პოლიტიკური ჰაბის ადგილი უნდა დავიკავოთ.** ნიშანდობლივია, რომ ამ მოხსენებას მოჰყვა ჩემი ვრცელი ინტერვიუ „რასია-24“-ზე, სადაც თითქმის ყველა თემას შევეხე, მათ შორის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთს. ინტერვიუ ამ სიტყვებით დავასრულე და კარგია, რომ არ ამოჭრეს — **უპირველესად, თქვენგან უნდა წამოვიდეს დადებითი განწყობა საქართველოს მიმართ და შეამსუბუქოთ რიტორიკა, რომ პროცესი დაიძრას-მეთქი.** ჩვენ ყველგან და ყოველთვის უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი, რომ საქართველოს არასოდეს დაავიწყდება თავისი ტერიტორიები, ყოველთვის იფიქრებს მის დაბრუნებაზე დიპლომატიური გზებით!

**— და მაინც, თქვენი ვიზიტი რუსეთში ევროკომისიის დასკვნას დაემთხვა, რის გამოც შეიძლება, ბევრი საეჭვო შეკითხვა დაისვას...**

— ყოველთვის ვებრძოდი საბჭოთა კავშირს. იმის გამო, რომ კომკავშირის რიგებში არ შევედი, ცუდი ყოფაქცევის მოსწავლედ ვითვლებოდი და სკოლიდან სკოლაში მიწევდა გადასვლა. ვამბობდი და კიდევ არაერთხელ ვიტყვი — **საქართველო იყო, არის და იქნება სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანა და ერთადერთი, რაც უნდა მოხდეს, ეს არის მისი გამთლიანება!**

ჩვენ სტატუსით ბევრად უფრო მისაღები და საინტერესო ვართ რუსეთისთვის. თუმცა, აქვე უნდა ვთქვა, რომ ევროკავშირი თავად არის მძიმე დღეში, ნელ-ნელა არქაული ხდება, კიდევ რამდენი წელი იარსებებს და შერჩება თუ არა ეს ქვეყნები, არავინ იცის. 2024 წლისთვის ხელისუფლებაში ყველგან, დიდი ალბათობით, კონსერვატორები მოვლენ. თუ **მარი ლეპენმა** გაიმარჯვა, რომელიც ჯერ-ჯერობით საუკეთესო შედეგებს აჩვენებს, საფრანგეთის ევროკავშირიდან გამოსვლის პროცედურა დაიწყება. მას სხვა ქვეყნებიც მიჰყვება.

**ფაქტობრივად, ევროკავშირის დაშლა დაწყებულია. ვხედავთ ნატოს შეცდომებსაც ახლო აღმოსავლეთის ომში. ერთმანეთში ბევრი რამ აირია და ლოგიკურად გაჩნდა ახალი კავშირების შექმნის აუცილებლობა.**

ბრიქსი სწორედ ის ახალი კავშირია, სადაც მსოფლიო ხალხის ძალიან დიდი ნაწილი შევა. ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ და ვიდრე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან და კარგ — 3+3 ფორმატში გვეძახიან, სადაც რეალურად არის შესაძლებელი, ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების საკითხი გადაიჭრას, უარი არ უნდა ვთქვათ.

**— გამოდის, ტყუილად გვიხარია სტატუსის მონიჭების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაცია?**

**— რაც მთავარია, ამ რეკომენდაციით თავიდან ავიცილეთ მაიდანი, რომელიც სერიოზულად იყო დაფინანსებული და დიდი პრობლემა გახდებოდა ქვეყნისათვის!**

ახლა მაქსიმალურად უნდა დავიწყოთ სხვადასხვა კონფერენციაში მონაწილეობის მიღება. დიპლომატიური გზებით უნდა ვეცადოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას. ისე არ უნდა გავაკეთოთ, ძალიან გაჭირვებულები მივადგეთ კარზე — გვიშველეთ, გვიშველეთო! კაცმა არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთსა და, ზოგადად, მსოფლიოში. **ეს ჯერ მხოლოდ კინოს დასაწყისია!**

*ესაუბრა* ***ნატო ფოცხიშვილი***

## „თუ ზურაბიშვილივით შეურაცხყოფას მივაყენებთ ჩინეთის პირველ პირს და, ზოგადად, იმ დიდ ქვეყნებს, რომლებიც გეოპოლიტიკურ ძვრებში მონაწილეობენ, შორს ვერ წავალთ!“



## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



მაინც მგონია, რომ **„ქართულ ოცნებას“ აქვს სერიოზული შედეგის მიღების შესაძლებლობა.** ასევე არ გამოვრიცხავ **ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას,** რომელიც აუცილებლად მოინდომებს ძველი ბალასტის მოშორებას და მაქსიმალურად **ახლებური იმიჯის შექმნას.**

„კვირის პალიტრა“

**დავით მაღრაძე**
*პოეტი*



უმნიშვნელოვანესია, რომ **ხელისუფლებამ შეძლო და დაამყარა მშვიდობა, აცდინა ჩვენი სახელმწიფო ომს,** რომლის მოთხოვნაც აშკარად ისმოდა **მეორე ფრონტის** გახსნის სახით. **არ დადგა ცალ ფეხზე,** არამედ სათანამშრომლოდ განწყობილი დადგა **ღირსეულად ევროსტრუქტურების წინაშე** და მოიპოვა რეკომენდაცია ევროკავშირის კანდიდატობის გზაზე.

„კვირის პალიტრა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



დღეს **რევოლუციური სცენარის განვითარების ან სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს** ვერ ვხედავ. არც რუსეთისგან ველი აგრესიულ ქმედებას. მეტიც, **არა მგონია, რუსეთი საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინააღმდეგი იყოს.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი კობერიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



**რუსეთი არასდროს ყოფილა ხელწამოსაკრავი ძალა.** ამიტომ მიკვირს, როცა **ჩავარდნილ თუ გაჭიანურებულ კონტრშეტევაზე** საუბრობენ. როგორც ჩანს, ჩვენთან ისევე, როგორც დასავლეთში, **ბევრს ეგონა, რომ უკრაინელი ხალხი ერთს „ჩაიშხუილებდა“ და გადაუვლიდა რუსულ არმიას.**

„კვირის პალიტრა“

№64 (232) ★ 2023 წლის 20 ნოემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

***მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები დღითი დღე ემსგავსება აპოკალიფსურ სიუჟეტს. გააგრძელებს კაცობრიობა არსებობას თუ თვითლიკვიდაციით დაასრულებს სისხლიან მარათონს? — მოცემულ მომენტში ეს საკითხი პლანეტის ორ ცხელ წერტილში, უკრაინასა და პალესტინაში წყდება. იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე ბესო მიქავას ინტერვიუსთვის სწორედ მაშინ დავუკავშირდით, როდესაც იგი მცხეთის რაიონული სასამართლოს დარბაზიდან გამოდიოდა:***

# კონსტანტინოპოლში შევა რუსის ჯარი, ხოლო „აია სოფიას“ ტაძარში, სადაც იოანე ნათლისმცემლის თავი ასვენია, აღდგება მართლმადიდებლური ღვთისმსახურება!



## ბესო მიქავა:

— მცხეთის რაიონულ სასამართლოში, სადაც უპრეცედენტო საქმე ირჩევა, მოწმედ გახლდით გამოძახებული. საზოგადოებამ, სამწუხაროდ, არ იცის და პირველად ამ ინტერვიუდან შეიტყობს, რომ მძიმედ ავადმყოფ, ფაქტობრივად, უძლურებაში მყოფ **ცოტნე გამსახურდიასთან,** რომელიც ვერ ლაპარაკობს და ვერ მოძრაობს, არამხოლოდ დედამისს, ქალბატონ **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას,** არამედ ცოტნეს ღვიძლ შვილს, 16 წლის **თამარ გამსახურდიასაც** აუკრძალეს კონტაქტი. წარმოგიდგენიათ?! სასამართლოს მიერ ავადმყოფის „მხარდამჭერად“ გამწესებული **ანა ჯაბაური** მამის სანახავად ქალიშვილს არ უშვებს და ასეთი თავგასულობა უკვე მე-4 წელია, გრძელდება, მას აქეთ, რაც გერმანიაში სამკურნალოდ მყოფი ცოტნე სამშობლოში დააბრუნეს! **ანა ჯაბაურმა** სასამართლოზე ყალბი დოკუმენტები წარმოადგინა, რის გამოც თაღლითი ვუწოდე.

**პირადად შევესწარი სიტუაციას, როდესაც ავადმყოფი მამის სანახავად მისული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილიშვილი პალატაში არ შეუშვეს და ცხარე ცრემლით ატირეს!** სწორედ ეს ეპიზოდი გადავიღე ვიდეოფირზე და სასამართლოში მოწმედ ჩემი გამოძახების საფუძველიც ეს გახდა. ცოტნესთან მნახველების შეშვების ნუსხას ეს ქალბატონი ადგენს და სწორედ მისი ახირებით მნახველთა სიაში ვერ მოხვდნენ **ავადმყოფის დედა და შვილი!** ამ საკითხზე დუმილს აღარ ვაპირებ. **მალე საზოგადოება აღმაშფოთებელ ინფორმაციებს შეიტყობს იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ შეთქმულება ოდენ მისი ფიზიკური მკვლელობით არ დასრულებულა და დღემდე გრძელდება!**

**— საინტერესოა, რას გადაწყვეტს სასამართლო. ახლა მთავარ თემას დავუბრუნდეთ: პალესტინაში ომის ფონზე უკრაინის მოვლენები ყველამ მიივიწყა. როგორ ფიქრობთ, უკრაინაში ომი დასრულების ფაზაში გადადის?**

— მსოფლიოში ბოლო პერიოდში უკვე პრაქტიკად დამკვიდრდა, რომ ნებისმიერი სამხედრო კონფლიქტი ერთ, მაქსიმუმ, ორ წელიწადში მთავრდება. ამ ლოგიკით მალე უკრაინაში ომიც დასრულდება, რასაც რუსეთი დღემდე ომად არ აღიარებს და მას ანტიტერორისტულ ოპერაციას უწოდებს. **უკვე იკვეთება საზარელი სიმართლე, რომ ეს იყო ომი რუსეთსა და დასავლეთს (ევროპა-ამერიკას) შორის, რომელსაც სურდა უმდიდრესი ტერიტორიები მიეტაცებინა და ეს არის, უპირველესად, ომი რესურსებისთვის!**

მოგეხსენებათ, უკრაინა მსოფლიოსთვის „პურის ბეღელს“ წარმოადგენს, ხოლო ხორბლის ფასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დოლარის მყიდველუნარიანობა. დასავლეთმა შეძლო, ჩვეული მზაკვრობით, უკრაინელები დაეპირისპირებინა რუსებთან, მაგრამ ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ძირითადი მიზანი ვერ შეისრულა. **საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ სამხედრო დაპირისპირებიდან როგორც ეკონომიკური, ასევე ტერიტორიული თვალსაზრისით, რუსეთი გამოდის გამარჯვებული!**

**— რაში მდგომარეობს დაპირისპირების მექანიზმის მზაკვრობა?**

— რუსები, ბელარუსები და უკრაინელები სლავები არიან და, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე ერს წარმოადგენენ. კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები და ა.შ. — ყველანი ქართველები, ერთი სისხლი და ხორცი ვართ, მაგრამ **უკრაინელი და რუსი გაცილებით უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ვთქვათ, კახელი და მეგრელი. უკრაინული ენა თავისუფლად შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რუსული ენის დიალექტი.** ქართული სალაპარაკო ენისგან მეგრული და სვანური შეუდარებლად მეტად განსხვავდება, ვიდრე რუსულისგან უკრაინული. **კახელი ვერ გაიგებს სვანური საუბრის შინაარსს, მაგრამ, თუ ადამიანმა რუსული იცის, უეჭველად გამოიტანს შინაარსს უკრაინელთა საუბრიდან.**

ტერმინი უკრაინა (Окраина) — ნიშნავს პერიფერიას და უეჭველად რუსეთის პერიფერია იგულისხმება, ზუსტად იმგვარად, როგორც საქართველოსთვის არის აფხაზეთი, რაც მეგრულად ითარგმნება როგორც **„ბეჭის, ზურგის მხარე“. მე-20 საუკუნემდე უკრაინას სახელმწიფოებრიობაც არ ჰქონია, შესაბამისად, ვერავინ დაასახელებს დამოუკიდებელი უკრაინის თუნდაც ერთ მეფეს.**

რუსებს, უკრაინელებს და ბელარუსებს აქამდე სარწმუნოებაც ერთიანი გააჩნდათ და მართლმადიდებლებს წარმოადგენდნენ. უფრო მეტიც — წმინდა მამათა წინასწარმეტყველების თანახმად, სწორედ უკრაინაშია ღვთისმშობლის წილხვედრი, ოთხიდან ერთ-ერთი სავანე, **კიევ-პეჩორის ლავრა. რუსეთი, ბელორუსეთი და უკრორუსეთი — სამთავე რუსული მიწაა, რომელზეც ერთი სისხლის, ჯიშის, ტრადიციების და სარწმუნოების ხალხი სახლობს.** სწორედ ამ ერთიანობის გამიზნულად დაშლას, **რუსების, ბელარუსების და უკრორუსების** ერთმანეთთან დაპირისპირებას შეეცადა ევრო-ამერიკული იმპერიალიზმი, რათა პლანეტის ეს უმდიდრესი ტერიტორიები ხელთ ეგდო. დაიწყო ბინძური პროპაგანდა, რათა უკრორუსები დაეჯერებინათ, თითქოს ისინი ცალკე ერი არიან. ამასთან მზაკვარმა იერიში სარწმუნოებაზე მიიტანა!

## არის ასეთი აზრი! ★


სულთან მეჰმედ მეორის საზეიმო შესვლა დანგრეულ კონსტანტინოპოლში. 1453 წელი


აია-სოფია

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— **ავადსახსენებელი ტომოსი!** ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის ემისრებმა კარგად იციან, რომ ერებს შორის ძმური კავშირის დაძლევა შეუძლებელია, ვიდრე მათ შორის არსებობს სარწმუნოებრივი ერთობა. ამიტომ თავიანთ რეზიდენტს, **კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსს** პირდაპირ დაავალეს უკრაინელებსა და რუსებს შორის სარწმუნოებრივი განხეთქილების შეტანა. ეს ის **ბართლომეოსია,** რომელსაც საკუთარი მრევლი არ ჰყავს; რომელიც ქალაქის სახელწოდებად სტამბოლს აღიარებს; **რომელსაც კრინტი არ დასცდენია, როდესაც თურქებმა „აია-სოფიას“ წმინდა ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს!**

აი, სწორედ ამ ბართლომეოსმა სჯულისკანონის უხეშად იგნორირებით გამოსცა საეკლესიო დადგენილება, **ე.წ. ტომოსი,** რომელზე დაყრდნობითაც, განხეთქილებაში მყოფი სქიზმატები კანონიერად აღიარა და უკრაინის ნამდვილ დედაეკლესიასთან დააპირისპირა! ამას კვალად მოჰყვა საზარელი მოვლენები — **უკრაინის ფაშისტურმა რეჟიმმა დაიწყო დედაეკლესიისთვის ტაძრებისა და საეკლესიო ქონების ჩამორთმევა, მათი სქიზმატებისთვის გადაცემა; მღვდელმსახურება აუკრძალეს და დააპატიმრეს კიდეც სასულიერო დასის მრავალი წარმომადგენელი, მათ შორის, მიტროპოლიტი პავლე!** დღემდე ხდება ნამდვილი მართლმადიდებლური ტაძრების კარების აჭედვა. მორწმუნეებს ტაძრების მოლოცვას სიკვდილის მუქარით უკრძალავენ! **დიახ, რო-**

***გაგრძელება მე-2 გვერდზე***



**„წინასწარმეტყველების დარი სიტყვები დასცდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას:**

# საქართველო დაიბრუნებს ყველა ტერიტორიას, რაც კი ოდესმე დაუკარგავს!“






## არის ასეთი აზრი!

# ბესო მიქავა:

# რუსეთი, ბელორუსეთი და უკრორუსეთი – სამთავე რუსული მიწაა, რომელზეც ერთი სისხლის, ჯიშის, ტრადიციების და სარწმუნოების ხალხი სახლობს!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**ბორც „აია-სოფია" თავის დროზე დაიპყრეს თურქებმა და ახლახან კი მეჩეთად გამოაცხადეს, ზუსტად იგივე პროცესი ხდება ახლა უკრაინის ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში!**

**— როდემდე გაგრძელდება ეს მდგომარეობა?**

— არავინ იფიქროს, რომ სამუდამოდ! **ბერი პაისი ათონელის** წინასწარმეტყველების თანახმად, **„აია სოფიას" გაუქმებისთანავე თურქეთში დაიწყება მიწისძვრების, წყალდიდობების, მეწყრების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების სერია,** რასაც თურქეთის, როგორც სახელმწიფოს დაშლის პროცესი მოჰყვება. მისი წინასწართქმის მიხედვით, **კონსტანტინოპოლში შევა რუსის ჯარი, „აია სოფიას" ტაძარში, სადაც იოანე ნათლისმცემლის თავი ასვენია — აღდგება მართლმადიდებლური ღვთისმსახურება, ხოლო სხვების კუთვნილ მიწებზე შექმნილი თურქეთის თანამედროვე სახელმწიფო ოთხ ნაწილად დაიყოფა.** ერთ ნაწილს წაიღებენ **ბერძნები,** რომლებსაც თურქებთან დღემდე მწვავე ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ; მეორე ნაწილს **ქურთები** დაეპატრონებიან, მესამეს — **არმენები...** მეოთხე, ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე ბერი რატომღაც არ მსჯელობს, მაგრამ ეს მიწები ოდითგან **კოლხეთის** ნაწილად ითვლებოდა. თანაც, ამ ოთხიდან მარტო საქართველოა ღვთისმშობლის წილხვედრი და, ვგონებ, პაისის წინასწარმეტყველება ბოლომდე გაუმჟღავნებელ მნიშვნელოვან საიდუმლოს ინახავს...

***— არადა, ამჟამად თურქეთი და რუსეთი საკმაოდ შეხმატკბილებულები, შეიძლება ითქვას, პარტნიორებიც არიან.***

— **ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთმა თურქეთს 12-ჯერ მოუგო ომი. ისინი ისტორიული მტრები არიან და შეუძლებელია, თანხმობა დიდხანს გაგრძელდეს.** თურქეთი არ მალავს თავის მადას და ამბიციებს. თეორიულად დავუშვათ, რომ არც რუსეთი იტყვის უარს, სტამბოლში შევიდეს, ბოსფორის სრუტე დაიკავოს და თავისი ძალაუფლება ხმელთაშუა ზღვამდე გაავრცელოს. ასეთ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ვის გადაეცემა შავი ზღვის სამხრეთით სანაპირო ზოლი — **ოდინდელი ტაო-კლარჯეთი.** საქართველოს შესახებ სხვა მრავალი, მსგავსი წინასწარმეტყველება არსებობს, რომელთა თანახმად ბოლო ჟამს საქართველოს გაბრწყინება მართლმადიდებლობის წიაღში უნდა მოხდეს. წინასწარმეტყველების დარი სიტყვები დასცდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს **ზვიად გამსახურდია**ს — საქართველო დაიბრუნებს ყველა ტერიტორიას, რაც კი ოდესმე დაუკარგავს!

***— მოდით, ისევ უკრაინის მოვლენებს დავუბრუნდეთ.***

— ცნობილმა ჟურნალისტმა **ალექსეი გორდონმა** ისაუბრა იმის შესახებ, რომ **პრეზიდენტ ზელენსკის** შეხვდნენ დასავლელი მენტორები, რომლებმაც მას უთხრეს, 2024 წლამდე რა ტერიტორიასაც შეინარჩუნებ, ის შეგრჩებაო. **ზელენსკის** გუნდის ძველი წევრი და ამჟამად მასთან დაპირისპირებული **ოლექსეი არესტოვიჩი,** რომელიც, სხვათაშორის, საქართველოშია დაბადებული, ამჟამად ამერიკიდან ამხელს ზელენსკის კორუფციულ სქემებს. ყველა ნიშნით ჩანს, რომ **ზელენსკის, პოდოლიაკის და სხვა „პადონკების"** საქმე წასულია, ხოლო

**სამოქალაქო ომი უკრაინაში დასასრულისკენ მიდის. დიახ, სწორედ რომ სამოქალაქო! ვინაიდან ეს ომი ერთი ერის წიაღში განვითარდა უცხოელი რეზიდენტების პროვოცირებით!**

***— ისრაელში რა ხდება? იქ განვითარებული ომი რამდენად ჯდება აპოკალიფსის ჭრილში?***

— აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში და აზიაში — ამერიკელებმა მსახვრალი კვალი ყველგან დაამჩნიეს. მათ სამარცხვინოდ დატოვეს ავღანეთი, სირია, ერაყი, საუდის არაბეთი. ფაქტია, აღარსად და არავისთან მიესვლებათ. ერთადერთი ქვეყანა, სადაც გავლენის სფეროები შემორჩათ, ისრაელია! მაგრამ 2023 წლის 7 ოქტომბრიდან ისრაელმა განაცხადი გააკეთა, რომ ამერიკელების დახმარებას არ საჭიროებს და ახლო აღმოსავლეთში ის არის სიტუაციის ბატონ-პატრონი. ისრაელმა არ გაითვალისწინა ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციის თხოვნა ომის შეჩერებასთან დაკავშირებით! ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელებს ამიერიდან ახლო აღმოსავლეთში აღარავინ უწევს ანგარიშს! ფაქტია, რომ მსოფლიოში მთავრდება ამერიკის პოლიტიკური ჰეგემონია და ძალას იკრებს ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელშიც ამერიკელებზე ხმამაღალი სიტყვა ეთქმით რუსეთს, ჩინეთს, ინდოეთს და თუნდაც ისრაელს! სხვა საკითხია, რომ **მსოფლიოში თანამედროვე პირობებში მიმდინარე ყველა მოვლენა მართლაც დიდი სიზუსტით ემთხვევა აპოკალიფსში ნაწინასწარმეტყველევ მოვლენებს.** ამ წინასწარმეტყველების მიხედვით, ძველმა ისრაელმა უნდა შეწყვიტოს არსებობა და შეიქმნას **„ახალი იერუსალიმი..."** მთავარი აპოკალიფსური მოვლენები სწორედ ისრაელში უნდა მოხდეს, რაც გულისხმობს სოლომონის ტაძრის მესამედ აღდგენას. ამას ხელს უშლის **„ალ-აქსას" მეჩეთი,** რომელიც სწორედ სოლომონის ტაძრის ნანგრევებზეა აღმართული. ვფიქრობ, ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის ატეხილი ეს ომი სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება. სხვათაშორის, სოლომონის ტაძრის მშენებლის **ჰირამის** ამბავი გაჭრილი ვაშლივით მოჰგავს კონსტანტინე გამსახურდიას აღწერილ სვეტიცხოვლის ამგები არსაკიძის ისტორიას. კონსტანტინე გამსახურდია ხომ, იმის გარდა, რომ დიდი მწერალი იყო, დიდი თეოლოგიც გახლდათ. პირდაპირ გეუბნებით —

### ისრაელში მიმდინარე მოვლენები უშუალო კავშირშია საქართველოსთან!

აკი, ზვიად გამსახურდიამაც ბრძანა: **ვინც ფლობს კავკასიას, ის ფლობს ახლო აღმოსავლეთს; ხოლო, ვინც ფლობს ახლო აღმოსავლეთს, ის ფლობს მთელ მსოფლიოს!**

***— ამით რაზე მიგვანიშნებთ?***

— **იმაზე, რომ, როგორც კი ისრაელის მოვლენები დასრულდება, მსოფლიოს მმართველობაზე პრეტენზიის მქონე ძალა კავკასიაში შეეცდება გაბატონებას. ამ მიზნით დააპირებს, ქართველებს წაართვას კავკასიის ლიდერის ფუნქცია და საქართველოს სახელმწიფოებრიობა სამუდამოდ დაასრულოს.**

სხვათაშორის, **თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესები სწორედ საქართველოში პუტჩის მოწყობით დაიწყეს, თუმცა, მიზეზთა გამო აქ საწადელს ბოლომდე ვერ მიაღწიეს.** საქართველოს კვლავ მოუბრუნდებიან! მაგრამ მინდა, შეგახსენოთ მგოსანი აკაკის სიტყვები: **„ვინც შეჰნატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს!"**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

**„უკრაინული ენა თავისუფლად შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რუსული ენის დიალექტი. ქართული სალაპარაკო ენისგან მეგრული და სვანური შეუდარებლად მეტად განსხვავდება, ვიდრე რუსულისგან უკრაინული!"**

---

## ისტორიკოსის თვალით

# „ჰიტლერი ანგლოფილი იყო და მასთან მენტალურად ინგლისელები ბევრად უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე ამერიკელები, რუსები და იაპონელები!"

***პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის** განცხადებით, ისტორიკოსებმა ფაშისტური მესამე რაიხისა და ადოლფ ჰიტლერის რეალური გეგმების მითოლოგიზება მოახდინეს, რითიც ისტორია დაამახინჯეს:*



— საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, თითქოს ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს დიდმა ბრიტანეთმა მიუქსია. პირდაპირ ვაცხადებ: ეს სისულელეა! იმ სიტუაციაში, როცა ჰიტლერმა ბრიტანეთთან ზავს ვერ მიაღწია, ოფიციალურ ლონდონს ჰიტლერზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა, რათა მისთვის რამე ჩაეგონებინა. **მაშინ, როცა 1940 წლის ივლისში ბრიტანეთსა და ფაშისტურ გერმანიას შორის გაუთავებელი სამხედრო-საჰაერო დაპირისპირება დაიწყო, ჰიტლერის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდი ომის წამოწყება სიგიჟედ ჩანდა, მაგრამ ფიურერი იძულებული იყო, ეს ომი მაინც დაეწყო!**

***—ვინ ან რამ აიძულა ჰიტლერი, 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს თავს დასხმოდა?***

— **ვალტერ შელენბერგის** მემუარების თანახმად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე, კერძოდ, 1940 წლის მიწურულს, როცა სტალინის პირადი მეგობარი **ვლადიმერ დეკანოზიშვილი** გერმანიაში საბჭოთა კავშირის ელჩად დაინიშნა, **ადოლფ ჰიტლერის** მაგიდაზე დაიდო ზეკომპეტენტური კვლევის შედეგები — **დასკვნა, რომლის თანახმადაც, უახლოეს ორ წელიწადში სტალინი მორჩებოდა წითელი არმიის რეორგანიზაციას და საბჭოთა კავშირი ისეთი ძლიერი გახდებოდა, რომ სტალინთან ომის დაწყებას, უბრალოდ, აზრი აღარ ექნებოდა. ამიტომ ომი სასწრაფოდ უნდა დაეწყოთ!**

ეს ის დროა, როცა მომავალი გენერალ-ფელდმარშლის **ფრიდრიხ პაულუსის** უშუალო მონაწილეობით ფაშისტური ვერმახტის სახმელეთო ჯარების, ანუ „ჰეერის" მთავარსარდალი, გენერალ-ფელდმარშალი **ვალტერ ფონ ბრაუხიჩი** გეგმა „ბარბაროსას" ამუშავებდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე უფრო ნიჭიერი და წარმატებული გერმანელი სარდალი **ერიხ ფონ მანშტაიმი,** რომელმაც საფრანგეთის ოკუპაცია თავიდან ბოლომდე დაგეგმა და ბრწყინვალედ განახორციელა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გეგმა „ბარბაროსას" შედგენაში არ მონაწილეობდა!

***— ვალტერ შელენბერგიც იზიარებდა იმ პოზიციას, რომ, თუ საბჭოთა კავშირს სასწრაფოდ თავს არ დაესხმებოდნენ, მერე უკვე სტალინის წინააღმდეგ ომის დაწყებას აზრი აღარ ექნებოდა, რადგან გერმანელები მაინც ვერაფერს მიაღწევდნენ?***

— **შელენბერგი,** რომელიც, ჩემი აზრით, საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების აგენტი იყო, იზიარებდა ამ რიტორიკას და მიიჩნევდა, რომ საბჭოთა სპეცსამსახურები ფაშისტური გერმანიის სპეცსამსახურებზე ძლი-

**„დღეს ყველას სჯერა, რომ ჰიტლერს სურდა მსოფლიო ბატონობა, რაც დიდი სისულელეა!"**

ერი იყო! **ვალტერ შელენბერგი** თავის მემუარებში იმასაც ამტკიცებს, რომ პოტენციურად საბჭოთა წითელი არმია ფაშისტურ ვერმახტზე მძლავრი ორგანიზაცია გახლდათ. აქედან გამომდინარე, თუ გერმანიას სურდა, ინიციატივას დაუფლებოდა და ბოლშევიზმისთვის კისერი მოეგრიხა, ომი სტალინის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო! სხვათაშორის, **შელენბერგი თავის მემუარებში იმასაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა იდეოლოგია ფაშისტურ იდეოლოგიაზე ბევრად უფრო ძლიერი იყო!** იგი მიიჩნევს, რომ 1941 წლის 19 ივლისს, როცა **ადოლფ ჰიტლერმა** მოსკოვზე წასული გერმანული არმიები სმოლენსკთან შეაჩერა და კიევისკენ დაძრა, ეს არ იყო შეცდომა და გეგმა „ბარბაროსადან" გადახვევა, რადგან „ბარბაროსას" მრავალი განშტოება ჰქონდა... **შელენბერგის** აზრით, შეცდომა ის გახლდათ, როცა 1941 წლის სექტემბრის მიწურულს მოსკოვზე იერიში განახლდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იმასაც ამტკიცებდნენ, თითქოს ჰიტლერს გეგმა „ბარბაროსა" ჩაუვარდა, რაც მტკნარი სიცრუეა...

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— **ჰიტლერის გეგმა „ბარბაროსა"** ითვალისწინებდა, საბჭოთა კავშირის არმიის განადგურებას, საზღვაო სანაპირო ზოლის ბლოკირებას და მოსკოვისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რეგიონების — უკრაინისა და ლენინგრადის ჩამოჭრას! 1941 წლის სექტემბრის მიწურულს ჰიტლერს ყველა ეს ამოცანა შესრულებული ჰქონდა. კერძოდ, საზღვრისპირა რეგიონებში მოქმედი საბჭოთა არმიების 80 პროცენტი გერმანელებმა გაანადგურეს, ყირიმის გარდა, რომელიც მაშინ უკრაინაში არ შედიოდა, მთელი უკრაინა დაიკავეს და ალყაში მოაქციეს ლენინგრადი, რომლის ბლოკადაც 900 დღე გაგრძელდა. ამავდროულად გერმანელებმა მოახდინეს მთელი ბალტიისპირეთის, მოლდავეთისა და ბელორუსიის სრული ოკუპაცია. ეს ყველაფერი **ჰიტლერმა** შეძლო სამ თვეში. მსგავსი ტრიუმფალური წინსვლა და ასე მცირე დროში ამოდენა ტერიტორიის დაკავება კაცობრიობის ისტორიაში თითქმის უპრეცედენტოა. ცხადია, ჰიტლერი ამით არ დაკმაყოფილა და საკუთრივ რუსეთის ფედერაციის დასავლეთი რეგიონები მთლიანად დაიმორჩილა... მდგომარეობა კატასტროფული გახლდათ იმ მხრივაც, რომ 3 მილიონზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი ფაშისტების მიერ იყო დატყვევებული. ფაქტობრივად, 1941 წლის სექტემბრის მიწურულს ჰიტლერს თავისი პროგრამა მინიმუმი შესრულებული ჰქონდა. ამ ტრიუმფალურ წარმატებას მან მიაღწია არა საბჭოთა არმიისა და სამხედრო ტექნიკის ევაკუაციის, არამედ მათი პირწმინდად განადგურების ხარჯზე. ამის შემდეგ ლოგიკურად უნდა დაწყებულიყო საუბარი საბჭოთა კავშირთან ზავზე, მაგრამ ჰიტლერს „თავში აუვარდა" და მოსკოვთან ზავის დადებაზე ლაპარაკიც არ სურდა!

**— გასაგებია, რომ მაშინ ჰიტლერი მომგებიან პოზიციაში იმყოფებოდა და თუ საბჭოთა კავშირთან ზავს დადებდა, ამით უდიდეს ნახტომს გააკეთებდა თავისი საბოლოო მიზნების რეალიზების თვალსაზრისით, მაგრამ სტალინი იყო ჰიტლერთან ზავის დამდები კაცი?**

— ჰიტლერის მიერ დამტკიცებული ერთ-ერთი გეგმის თანახმად, რომელსაც უნიჭიერესი გენერალ-პოლკოვნიკი **ჰაინც გუდერიანიც** იზიარებდა, გერმანულ არმიებს ბრესტ-ლიტოვსკიდან უსწრაფესი „მარშ-ბროსკით" უნდა გაევლოთ ტერიტორია და დაეკავებინათ მოსკოვი ზუსტად ისე, როგორც ეს 1812 წლის სექტემბერში **ნაპოლეონმა** შეძლო. თუმცა, არსებობდა მეორე გეგმაც, რომლის თანახმადაც გერმანელები სმოლენსკამდე უნდა მისულიყვნენ და ამის შემდეგ სამხრეთის რეგიონების დასაკავებლად შტურმი წამოეწყოთ!

**— თუ გეგმა „ბარბაროსა" ჰიტლერს არ ჩაუვარდა, მაშინ მოსკოვი რატომ ვერ აიღო?**

— საქმეც ის არის, რომ მოსკოვის აღების გეგმას ჰიტლერმა უწოდა **„ტაიფუნი".** ეს სულ სხვა ოპერაცია გახლდათ, განსხვავებით გეგმა **„ბარბაროსასგან",** რომელიც წარმატებით და, შეიძლება ითქვას, უნაკლოდ დასრულდა. გეგმა „ტაიფუნი" ამოქმედდა 1941 წლის სექტემბრიდან მაშინ, როცა „ბარბაროსა" უკვე დასრულებული იყო. საერთოდ, ომის შემდგომ ისტორიკოსებმა, კინორეჟისორებმა და მწერლებმა არაერთი ფაქტი და მოვლენა დაამახინჯეს და ჰიტლერის რეალური გეგმებიც მითოლოგიზებული გახადეს. ამ ორომტრიალსა და სიცრუის ბაქანალიაში რეალური ისტორია დაიკარგა. **აი, მაგალითად, დღეს ყველას სჯერა, რომ ჰიტლერს სურდა მსოფლიო ბატონობა, რაც დიდი სისულელეა! ჰიტლერის მიზანი იყო, 1919 წლის 28 ივნისის ვერსალის დამამცირებელი ზავიდან გერმანიის დახსნა და გერმანული მიწების გაერთიანება-შეკრება.** სტალინსაც აბრალებენ, თითქოს მას მსოფლიოს „გაწითლება" სურდა... კი ბატონო, საბჭოთა კავშირის გერბზე ნამგლისა და უროს ფონზე მთელი დედამიწა მართლაც იყო აღბეჭდილი და მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ავადმყოფი ტროცკისტები ნამდვილად გეგმავდნენ **„მსოფლიოს ხალხთა სოციალისტური კავშირის"** შექმნას, მაგრამ სტალინი ამ გიჟური იდეებისგან ძალიან შორს იდგა.

ჰიტლერი არ ფიქრობდა, რომ გერმანიის უღელქვეშ მთელი კაცობრიობის მოქცევა რეალური იყო. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ დედამიწაზე ჰიტლერის პარტნიორი არავინ იქნებოდა — არც იტალია, არც იაპონია, არც თურქეთი, არც რუმინეთი, არც ბულგარეთი და, რაც ყველაზე მთავარია, ფაშისტური გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ ჰიტლერთან დიპლომატიურ ურთიერთობას არც საბჭოთა კავშირი და არც ამერიკის შეერთებული შტატები არ გააგრძელებდნენ. **მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით** სტალინმა ოდერის დასავლეთით მდებარე ტერიტორიები გერმანიის ეკონომიკური გავლენის სფეროდ ცნო, მაგრამ იქ არაფერი წერია იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ჰიტლერს მხარს უჭერდა რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციაში. ერთადერთი გამონაკლისი იყო **პომერანიის** ნაწილის დაბრუნება, რათა ჰიტლერს**აღმოსავლეთ პრუსიაზე** ჰქონოდა წვდომა. სწორედ პომერანია გახდა პოლონეთთან ომის მიზეზი, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებით პოლონეთს მიტაცებული ჰქონდა. მოგეხსენებათ, პოლონეთში შეჭრით დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს მეორე მსოფლიო ომი.

**— 1940 წლის 26 მაისიდან 4 ივნისამდე საფრანგეთში, ქალაქ დიუნკერკთან, მოკავშირეთა ნახევარმილიონიანი არმია, რომლის ძირითად ნაწილსაც ინგლისელები შეადგენდნენ, ფაშისტების ალყაში აღმოჩნდა. რატომ არ გაანადგურა ეს ჯარი ჰიტლერმა?**

— **ეს იყო ფიურერის საბედისწერო შეცდომა!** დიუნკერკთან ჰიტლერს შეეძლო, დიდი ბრიტანეთი სახმელეთო არმიის გარეშე დაეტოვებინა და ამის შემდეგ, ფაქტობრივად, წინააღმდეგობის გარეშე გადასულიყო კუნძულზე, მაგრამ მოხდა აუხსნელი რამ — **ფიურერმა უარი თქვა ალყაში მოქცეული ინგლისელი ჯარისკაცების განადგურებაზე!**

**— ინგლისელების დატყვევებაზეც უარი თქვა?**

— დიახ, დატყვევებაზეც უარი თქვა, რადგან ალყაში ჩავარდნილი ბრიტანელები კბილებამდე იყვნენ შეიარაღებული და ვიდრე იარაღს დაყრიდნენ, გერმანელებს მათი მესამედის განადგურება მაინც მოუწევდათ! გენერალ-ფელდმარშალი **ერიხ ფონ მანშტაინი,** რომელმაც საფრანგეთის ოკუპაციის გეგმა შეადგინა, ფიურერისგან კატეგორიულად მოითხოვდა დიუნკერკთან ალყაში მოქცეული მტრის ძალების განადგურებას, რასაც**ჰიტლერმა** მხარი არ დაუჭირა და ინგლისელებს შინ წასვლის საშუალება მისცა. იმავე პოზიციაზე იდგა **ჰაინც გუდერიანიც...** მანშტაინისა და გუდერიანის აზრით, ინგლისელები დიუნკერკთან უნდა მოესპოთ, შემდეგ დესანტი გადაესხათ კუნძულზე და ტანკებით შესულიყვნენ ლონდონში, რაც აბსოლუტურად რეალური ჩანდა, რადგან დიუნკერკის კატასტროფის შემდეგ ინგლისი არმიის გარეშე დარჩებოდა. **ჰიტლერმა** გენერალიტეტის წინაშე თავი იმით იმართლა, რომ გერმანიის შემდგომი ნაბიჯებისთვის დიუნკერკთან ინგლისელებისთვის სიცოცხლის ჩუქება გაცილებით უფრო მომგებიანი და ოპტიმალური იქნებოდა, ვიდრე მათი პირწმინდად განადგურება! ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ დიუნკერკთან დემორალიზებული და გატეხილი ბრიტანული არმია გერმანელებს მომავალში ვეღარ შეებრძოლებოდა, რაც დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას აიძულებდა, გერმანიასთან ზავი გაეფორმებინა. არადა, ბრიტანეთთან ზავზე ჰიტლერი ოცნებობდა და ხმამაღლა აცხადებდა, რომ საფრანგეთის, ბენილუქსის ქვეყნებისა და სკანდინავიის ქვეყნების ოკუპაცია იმ დღესვე დასრულდებოდა, როგორც კი დიდ ბრიტანეთსა და ფაშისტურ გერმანიას შორის საზავო ხელშეკრულებას მოიწერებოდა ხელი.

**— მაინც რა მიზანს ისახავდა ჰიტლერი?**

— **მანშტაინიც, შელენბერგიც, გუდერიანიც** და სხვა გერმანელი ფელდმარშლები, რომლებმაც მემუარები დატოვეს, თითქმის ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ ფიურერის აზრით, რომელიც გამოუსწორებელი ანგლოფილი იყო და ინგლისურ ენაზე აბოდებდა, თუ გერმანია დიდი ბრიტანეთის ოკუპაციას მოახდენდა, ეს ინგლისელებსა და გერმანელებს შორის გამოიწვევდა საუკუნო სიძულვილს. **ჰიტლერი შიშობდა, რომ ვიდრე გერმანია ინგლისში დესანტს გადასხამდა, დიდი ბრიტანეთის მთავრობა მოახერხებდა ავსტრალიაში ან კანადაში გადასვლას, რომლებიც ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრები და დომინიონები იყვნენ.** იგივე ეხებოდა ინდოეთსაც, რომელიც **ჯორჯ მეექვსის** გვირგვინის მფარველობის ქვეშ იყო. ჰიტლერი ინგლისელებზე ამბობდა — მთელი ერის ლიკვიდაცია არ მსურს და შეუძლებელიცაა. ოკუპირებული ბრიტანეთის მოსახლეობა იქცევა ჩვენს დაუძინებელ მტრად და, როგორც კი საშუალება მიეცემა, მაშინვე შურს იძიებს! ხოლო კანადაში ან ავსტრალიაში გაქცეული ბრიტანეთის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ წამოვა ზავზე. შედეგად მივიღებთ იმას, რომ **კანადაც, ავსტრალიაც და ახალი ზელანდიაც,** რომელზეც ინგლისელების გავლენა უდიდესია, თავიდან ბოლომდე აღმოჩნდება ამერიკელების გავლენის ქვეშ, შეკრავენ ალიანსს და სიცოცხლეს გაგვიმწარებენ, ხოლო **ინდოეთს, პაკისტანს და ბანგლადეშს,** როგორც დიდი ბრიტანეთის კოლონიებს, აუცილებლად სტალინი დაეპატრონებაო!

ჰიტლერი იმასაც შიშობდა, რომ ინგლისის ოკუპაციის შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის სხვა აზიური კოლონიები იაპონელების გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდა და ფიურერის მოკავშირე **იაპონია,** შესაძლოა, ამერიკელებისა და სტალინის გვერდით დამდგარიყო. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ჰიტლერი** ფიქრობდა, რომ შესაძლოა, გერმანია დარჩენილიყო მარტო და ვერ გადაეჭრა საუკუნოვანი ამოცანები და პრობლემები... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ჰიტლერი ანგლოფილი იყო და მასთან მენტალურად ინგლისელები ბევრად უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე ამერიკელები, რუსები და იაპონელები!** უფრო მეტიც, ჰიტლერი მიიჩნევდა, რომ ისტორიულად პრუსია ყოველთვის მხოლოდ ინგლისთან ალიანსით იზრდებოდა და ძლიერდებოდა. **ფიურერი ფიქრობდა, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ბანაკში ყოფნა უდიდესი გეოპოლიტიკური შეცდომა იყო და მომავალ დიდ ომში გერმანია და ინგლისი ერთად უნდა ყოფილიყვნენ!**

**— თუ ჰიტლერს ინგლისთან ზავი სურდა და ბრიტანელები ასე უყვარდა, მაშინ ფაშისტური „ლუფტვაფე" ლონდონს ისე უმოწყალოდ რატომ ბომბავდა?**

— ეს საჰაერო ომი სწორედ იმის გამო არ ცხრებოდა, რომ **ჰიტლერს** დიდი ბრიტანეთი მოლაპარაკებაზე წამოეყვანა და ლონდონთან ზავი გაეფორმებინა. ზემოხსენებულ შეფასებებსა და გათვლებში, წმინდა ისტორიული და თუნდაც რასობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, ჰიტლერი არ ცდებოდა, მაგრამ ფიურერი აბსოლუტურად ვერ ითვალისწინებდა ერთი პიროვნების ფაქტორს — ეს იყო **უინსტონ ჩერჩილი!**

**— რას გულისხმობთ?**

— **უინსტონ ჩერჩილი** იყო გერმანოფობი და მიიჩნევდა, რომ გერმანიას, როგორც სახელმწიფოს, არსებობდა უნდა შეეწყვიტა! რომ არა **სტალინისა და რუზველტის** წინააღმდეგობა და შემდგომში **ტრუმენისა და ეტლის** კატეგორიული პოზიცია, **ჩერჩილის** სურვილი იყო, გერმანია თხუთმეტზე მეტ სახელმწიფოდ დაშლილიყო! **სწორედ ჩერჩილის პოლიტიკურ ხაზს აგრძელებდა მარგარეტ ტეტჩერი, როცა მისი პრემიერ-მინისტრობის ჟამს, 80-იანი წლების მიწურულს, გერმანიის გაერთიანების პროცესს დიდი ბრიტანეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# სვიმონ მასხარაშვილი:

# რომ არა სტალინისა და რუზველტის წინააღმდეგობა და შემდგომში ტრუმენისა და ეტლის კატეგორიული პოზიცია, ჩერჩილის სურვილი იყო, გერმანია თხუთმეტზე მეტ სახელმწიფოდ დაშლილიყო!









**„1940 წლის მიწურულს ადოლფ ჰიტლერის მაგიდაზე დაიდო ზეკომპეტენტური დასკვნა, რომლის თანახმადაც, უახლოეს ორ წელიწადში სტალინი მორჩებოდა წითელი არმიის რეორგანიზაციას და საბჭოთა კავშირი ისეთი ძლიერი გახდებოდა, რომ სტალინთან ომის დაწყებას, უბრალოდ, აზრი აღარ ექნებოდა!"**

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★



## მე-20 საუკუნის გერმანიის ბედში მნიშვნელოვანია სამი ქართველის როლი. სტალინმა ეს ქვეყანა ორად გაყო. ბერია მის გაერთიანებას ცდილობდა, შევარდნაძემ კი ეს გააკეთა. საინტერესოა, როგორ გადაწყდებოდა გერმანიის საკითხი, სტალინს კიდევ ათიოდე წელი რომ ეცოცხლა?

პირადად მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს საკითხი დადებითად და თანაც გაცილებით უფრო ადრე გადაწყდებოდა. **სტალინს** კიდევ რამდენიმე წელი რომ ეცოცხლა, **გერმანია ერთიანი სახელმწიფო იქნებოდა.** ამ დასკვნის დამადასტურებელ ფაქტებს ქვემოთ მოვიყვან. მანამდე კი თქვენ მიერ წამოყენებული დებულებები განვიხილოთ — **სტალინმა** გაყო, **ბერია** ცდილობდა, **შევარდნაძემ** კი გააერთიანა გერმანია. ვფიქრობ, მართებული არ იქნება თქმა, რომ გერმანია **სტალინმა** გაყო. ეს ქვეყანა **ჰიტლერისა** და მისი გენერლების მიერ გაჩაღებულმა ომმა გახლიჩა. **ბერია** (ამაში მართალი ბრძანდებით) ნამდვილად ისწრაფოდა გერმანიის გაერთიანებისკენ „ერთიან მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ“ და ამ მიმართულებით პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდა. ყველასათვის ცნობილი მიზეზით, იმ პერიოდში ეს ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განხორციელდა. რაც შეეხება **შევარდნაძეს,** მასზე, როგორც გერმანიის გამაერთიანებელზე საუბარი, ჩემი აზრით, მხოლოდ დიდი ძალდატანებით შეიძლება. ერთი მხრივ, ამ სახელმწიფოს გაერთიანება იმ მომენტისათვის შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ განაპირობა, მეორე მხრივ კი — სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ კრემლის ხელმძღვანელობისა და პირადად გორბაჩოვის ნების შემსრულებელი იყო.

ახლა **სტალინისა** და გერმანული საკითხის პრობლემაში გარკვევა ვცადოთ. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი **ვილფრიდ ლოტი 90-იანი წლების ბოლოს** გამოცემულ წიგნში **„სტალინის მოძულებული შვილი“** ამტკიცებს, რომ **სტალინს** გერმანიის გაერთიანება ჯერ კიდევ **40-იანი წლების ბოლოს** ჰქონდა განზრახული, თანაც, არა როგორც **„კომუნისტური სახელმწიფოსი“**, არამედ როგორც **„კლასიკური საპარლამენტო დემოკრატიის“** ქვეყნისა. ის კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა **„გერმანიის მიწაზე სოციალიზმის ინტენსიურ მშენებლობას“** და თვლიდა, რომ **„დემოკრატიული გერმანია სსრკ-სთვის უფრო საიმედო მოკავშირე იქნება, ვიდრე — ბოლშევიკური“. სტალინის** ამ გეგმებს ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ გდრ-ის მაშინდელი ლიდერები, რომლებსაც **„საოკუპაციო ძალების საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის გენერლები“** უჭერდნენ მხარს.



**1948 წლის დეკემბერში** მოსკოვში გდრ-ის ხელმძღვანელებთან **ვილჰელმ პიკთან, ოტო გროტევოლთან** და **ვალტერ ულბრიხტთან** საუბრისას ის დაჟინებით ურჩევდა მათ **„ზიგზაგისებური კურსის“** გატარებას, **„არავითარ შემთხვევაში არ გადაიღოთ საბჭოთა მოდელის ასლი, ძალზე ფრთხილად გაიზიარეთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილება. ყველანაირად უნდა გაითვალისწინოთ გერმანული სპეციფიკა,** — ამბობდა სტალინი, — **აგრეთვე ის ფაქტი, რომ თქვენი ხელისუფლება ჯერ არასაკმარისად მყარი და საიმედოა და, ძირითადად, საბჭოთა ხიშტებს ემყარება. ამიტომ თქვენი მთავარი ამოცანა ფასების შემცირება, ცხოვრების დონის ამაღლება, მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება, ხალხის ნდობის მოპოვებაა.“**

დაახლოებით ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, **სტალინი** მთელ გერმანიაში საყოველთაო თავისუფალი არჩევნების ჩატარების ინიციატორად გამოვიდა, რის შედეგადაც გერმანელები თვითონვე გადაწყვეტდნენ საკუთარ ბედს. ეს არჩევნები, ბელადის აზრით, გერმანიის ტერიტორიიდან როგორც საბჭოთა, ისე მოკავშირეების — ამერიკელთა და ინგლისელთა ჯარების გაყვანის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ მოწოდებამ დასავლეთში დადებითი გამოხმაურება არ გამოიწვია.

აი, პრინციპში, ის, რისი თქმაც ძალიან მოკლედ შეიძლება **„ქართული კვალის“** შესახებ გერმანულ პოლიტიკაში.




## მაინტერესებს, როდის დაიწყო სტალინის თხზულებათა კრებულების რუსულ და ქართულ ენებზე ბეჭდვა. ვინ თარგმნა მისი ადრეული ნაშრომები ქართულიდან რუსულად და პირიქით – რუსულად დაწერილი ქართულად?

**ი. სტალინის** თხზულებათა კრებულის პირველ ტომს დასაბეჭდად ხელი **1946 წლის თებერვალში** მოეწერა. ქართული ვარიანტი ერთი წლის შემდეგ — **1947 წლის თებერვალში** გამოიცა. სტალინის სიცოცხლეში **13 ტომი** გამოვიდა. მისი გარდაცვალების შემდეგ **„მემკვიდრეთა“** (უმთავრესად — ხრუშჩოვის) მცდელობით, თხზულებათა გამოცემა შეჩერდა. თუმცა, **მე-14 ტომი** უკვე დაბეჭდილი იყო, მან დღის სინათლე მაინც ვერ იხილა. მე-**15 ტომი** ომისდროინდელი და ომისშემდგომი პერიოდის ნაშრომების მაკეტის სახით შემოგვრჩა.

სხვა საბჭოთა ბელადებისგან (ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი) განსხვავებით, რომელთა თხზულებები 20-იანი წლების დასაწყისშივე მასობრივი ტირაჟით იბეჭდებოდა, **სტალინი** თავისი ნაშრომების გამოცემას არ ჩქარობდა, თუმცა, მისი სტატიებისა და გამოსვლების მოძიებისა და სისტემატიზებისთვის მუშაობა უკვე **1925 წლიდან** მიმდინარეობდა. შემონახულია **ი. სტალინის 1925 წლის იანვრით** დათარიღებული წერილი, რომლის ადრესატია ლენინის ინსტიტუტის ქართული ფილიალი. წერილი ფართო მკითხველისთვის უცნობია და ამიტომ მის ტექსტს სრულად გთავაზობთ:

**„ამხ. თალაკვაძე! „მასალები“ (ჩემი სტატიები) მივიღე. გმადლობთ.**

**გთხოვთ:**

**1. ეს და სხვა მასალა უჩემოდ არ გამოსცეთ;**

**2. გამომიგზავნეთ (თუ შესაძლებელია) გაზეთების „დროს“ და „ახალი დროების“ კომპლექტი (მათში ჩემი რამდენიმე ხელმოუწერელი სტატიაა გამოქვეყნებული);**

**3. გამომიგზავნეთ არალეგალური ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის“ კომპლექტი;**

**4. როგორმე მოძებნეთ „კავკასიის კომიტეტის“ არქივში ჩემი წერილი „კრედო“, რომელიც 1904 წლის დასაწყისში დაიწერა.**

**ამხანაგური სალმით**

**ი. ჯუღაშვილი (სტალინი).**

**P. S. როგორც ვხედავ, „ანარქიზმის თუ სოციალიზმის“ ყველა სტატია ვერ გიპოვიათ. მახსოვს, რომ ამ თემაზე 1906 წლის ქართულ პროფესიულ ორგანოში კიდევ იყო სტატიები (სამწუხაროდ, ამ ორგანოს სახელწოდება დამავიწყდა).**

**კარგი იქნებოდა მათი პოვნაც.“**

რაც შეეხება სტალინის ნაშრომთა თარგმანს, ისტორიკოსი ფ. ბლაგოვეშჩენსკი პარიზში გამომავალ რუსულ ჟურნალ „მინუვშეე“-ში ამტკიცებს, რომ ბელადის ადრეული ნაშრომები რუსულად პეტრე შარიამ თარგმნა, მაგრამ ეს არასწორია. არსებობს უტყუარი მოწმობა, რომ თავისი ქართული შრომები სტალინმა თვითონვე თარგმნა. ამასთან, მან ყურადღებით წაიკითხა და ჩაასწორა რუსულ ენაზე დაწერილი ნაშრომების ქართული თარგმანები. ისინი ერთ ადამიანს კი არა, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მთელ კოლექტივს ეკუთვნოდა. ბუნებრივია, პ. შარია, როგორც ამ დაწესებულების დირექტორი, ამ დიდ სამუშაოში აქტიურად მონაწილეობდა.






## დასტურდება თუ არა საკმაოდ გავრცელებული ვერსია (ჭორი?), რომ ლავრენტი ბერია ბაქოში ყოფნისას ინგლისელებთან და მუსავატებთან თანამშრომლობდა?

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელიც **ხრუშჩოვის ხროვამ ლ. ბერიას** სიკვდილის შემდეგ წაუყენა, დასავლეთის უკლებლივ ყველა დაზვერვასთან თანამშრომლობა იყო. **„საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი“** — ასეთი იარლიყი მიაკერეს მას. ბუნებრივია, ეს ბრალდება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. უდიდესი ფანტაზიის მოხმობითაც კი ძნელი წარმოსადგენია, რომ საბჭოთა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი სხვა სახელმწიფოთა ფასიანი აგენტი იყო. მაგრამ **ხრუშჩოვი** და მისი დამქაშები ხშირად ისროდნენ დაუფიქრებლად სიტყვებს. ასე, მაგალითად, **ბერიას** ბრალი დასდეს, რომ ის **„ტიტო-რანკოვიჩის ხროვის ძველი აგენტია“**. ამ ფართომასობრივი განცხადებიდან ერთი წელიც არ გასულა, ხრუშჩოვი პირადად გაემგზავრა ბელგრადში **„ხროვასთან“** შესარიგებლად და **„ფაშისტებისთვის“** ხელის ჩამოსართმევად. კიდევ ცოტა ხნის შემდეგ კი ზარ-ზეიმით დახვდა მოსკოვში **„ფაშისტ“ ტიტოს.**



სკკპ ცკ-ის ივლისის (1953 წ.) პლენუმზე, რომელმაც „ხალხის მტრის საქმე“ განიხილა, ითქვა, რომ ბერიამ **„თავისი მოღალატური და ჯაშუშური საქმიანობა ჯერ კიდევ 1919 წელს, ბაქოში დაიწყო, როდესაც ბრიტანული სპეცსამსახურების ფილიალის — მუსავატური დაზვერვის თანამშრომელი გახდა.“** დადასტურდა თუ არა ეს ფაქტი? დიახ, დადასტურდა. მაგრამ იმ ფრიად არსებითი შესწორებით, რომ ბოლშევიკურმა იატაკქვეშეთმა სპეციალურად ჩანერგა **ბერია** მუსავატურ დაზვერვაში. ის გულმოდგინედ გადასცემდა ინფორმაციას ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რითაც ძალიან შეუწყო ხელი აზერბაიჯანში ბოლშევიკთა ხელისუფლების დამყარებას. ამგვარად, ის მტრის ზურგში საბჭოთა აგენტი, ერთგვარი **შტირლიცი** გახლდათ. თავად **ბერია** ამ ფაქტს სულაც არ მალავდა, პირიქით, ამაყობდა თავისი სამუშაოთი, რომლისთვისაც, სხვათაშორის, ЧК-ს თავმჯდომარის **ძერჟინსკისაგან** პირადი მადლობაც მიიღო.

გენერალისიმუსი
2023 წლის 20 ნოემბერი. №64 (232)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №11–49

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* **ИГОР КВЕСЕЛАВА** → 

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ***იგორ კვესელავა*** *ედუარდ შევარდნაძის იმ მეხოტბეების „ნააზრევს“ ეხმიანება, რომლებიც წინამდებარე საგაზეთო საუბრების პათოსსა და შინაარსს აპროტესტებენ:*



## იგორ კვესელავა:



სსკპ ცენტრალურ კომიტეტში

სსკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ

სსკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ო. ი. ლოლაშვილის მოხსენება სსკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა, რათა დარაზმოს კომუნისტები, ყველა მშრომელნი სსკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და ახორციელებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისა და

მატიკის ნაკეთობათა, ფეხსაცმლის, აბრეშუმის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის გამოშვების დავალებებს. 1971 წელს ყოველ მეოთხე საწარმოში შემცირდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, დაქვეითდა შრომის ნაყოფიერება წინა წელთან შედარებით. ბევრ საწარმოში ნელა მაღლდება წარმოების ტექნიკური დონე, სრულად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, მცირდება ფონდამოგება, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. სავაჭრო ორგანიზაციებმა მარშან დაიწუნეს, ხარისხი შეუმცირეს და დამატებითი გადამუშავებისათვის დააბრუნეს ადგილობრივი წარმოებ...

ორგანიზაციებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელებაში, რომელიც მათ სსკპ XXIV ყრილობამ მიანიჭა.

სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნა პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. იგი სუსტად დაკავშირებულია ცხოვრებასთან, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტასთან. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მშრომელთა აღზრდას შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით. იდეოლოგიური მუშაობის საკით-...

კომუნისტი

КОМУНИСТИ

# სინამდვილეში ე.წ. „პოსტანოვლენიე პო გორკომუ“-ს ტექსტი ნანული ცაგარეიშვილის დაბადების დღისათვის არა მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ, არამედ ედუარდ შევარდნაძემ დაწერა!

— ჩვენს ინტერვიუებს ბოლო დროს გამოეხმაურა 84 წლის **იუზა ჩხაიძე** — შევარდნაძის მადიდებელი და მეხოტბე, რომელიც გვწერს, რომ, თურმე, ვასილ მჟავანაძე ყოფილა უუნარო მმართველი, ქვეყანას რეალურად მართავდა **გიორგი გეგეშიძე** და რომ არა ედუარდ შევარდნაძე, საქართველო დაიღუპებოდა. როგორც წესი, ბეღურებს ზარბაზნებს არ ესვრიან... აქედან გამომდინარე, **ვინმე ჩხაიძესა და მის თანამოაზრეებზე,** რომლებიც შევარდნაძეს შენატრიან, სიტყვას არ გავაგრძელებ, თუმცა, ერთს მაინც ვიტყვი — **ესენი ნატრობენ იმ კაცს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამდე, ეროვნული ცნობიერების გახლეჩამდე, დაპირისპირებამდე, კულტურის რყევამდე, ეკონომიკურ კოლაფსამდე და ქართველი ერის ფიზიკური გაქრობა-განადგურების საფრთხემდე მიგვიყვანა.** ეს არ არის ლიტონი სიტყვები ან საიდანღაც ყურით მოთრეული ფრაზები, ვსაუბრობ დოკუმენტებსა და ფაქტებზე დაყრდნობით. აი, მაგალითად, **იუზა ჩხაიძისა და მისთანების** გასაგონად გავიხსენებ შევარდნაძის განცხადებას, რომელიც მან სოხუმის დაცემის შემდეგ ერთ-ერთ ინტერვიუში გააჟღერა. შევარდნაძემ აღიარა, რომ არ დაეთანხმა რუსეთის თავდაცვის მინისტრის **პაველ გრაჩოვის** წინადადებას სოხუმში რუსული დივიზიის, ანუ უცხო ქვეყნის სამხედრო ძალის შეყვანის შესახებ, რათა გუმისთაზე ქართველებსა და ე.წ. „აფხაზებს“ შორის მომხდარიყო დაშორიშორება და მშვიდობის დაცვა რუს მემშვიდობეებს ეკისრათ. შევარდნაძე თავის ამ ნაბიჯს ასე ხსნიდა — **ეს რომ გამეკეთებინა, სამეგრელოში შესაძლოა, რუსული პოლკი შემოსულიყოო!**

**— შევარდნაძემ სამეგრელოს რუსი ადმირლის ედუარდ ბალტინის ჯარი შემოუსია და როდის იყო, ედუარდ ამბროსოვიჩი იმაზე დარდობდა, არიქა, რუსის ჯარი სამეგრელოში არ შემოვიდესო?**

— (იცინის) საქმეც ეგ არის... შევარდნაძის სახით ჩვენ საქმე გვქონდა მზაკვარ კაცთან, რომელიც ნებისმიერ სიბინძურეზე ხელს აწერდა. **როგორც კი შევარდნაძის სავარძელს საფრთხე დაემუქრა, დიდძალი ფულის გადახდის სანაცვლოდ, ლეონარდო დევდარიანის შუამავლობითა და ავთანდილ მარგიანის უშუალო მონაწილეობით, მან ადმირალი ედუარდ ბალტინი სოხუმის დაცემის შემდეგ სამეგრელოში მოიპატიჟა.** სწორედ ბალტინის ჯარის დახმარებით შეინარჩუნა მან ხელისუფლება, თორემ სხვაგვარად ედუარდი განწირული იყო. იცოდნენ ბატონმა **იუზა ჩხაიძემ და მისთანებმა,** რომ შევარდნაძემ **ადმირალი ედუარდ ბალტინი** საქართველოში შემოიყვანა **ზვიად გამსახურდიას** ეროვნული ხელისუფლების გასანადგურებლად და სისხლიანი ხუნტის გადასარჩენად. სხვა რომ არაფერი გაეფუჭებინა, შევარდნაძის უკუნითი უკუნისამდე შესაჩვენებლად და საქართველოს ისტორიაში წყევლით მოსახსენიებლად, მხოლოდ ეს ფაქტიც იკმარებდა.

**შევარდნაძის პოლიტიკურმა ცეტობამ — ერთი მხრივ, რუსეთთან თამაშმა და, მეორე მხრივ, დასავლეთის ყულფში თავის გაყოფამ, საქართველო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დაშლამდე მიიყვანა**. სწორედ შევარდნაძის წყალობით, საქართველომ სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკურ-ეკონომიკურ სარბიელზე ყველაზე უარესი ნაბიჯი გადადგა. შევარდნაძისგან განსხვავებით, მაშინდელ სომხეთსა და აზერბაიჯანს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კურსის მიმდევარი პრეზიდენტები ჰყავდათ, რომლებიც თავიანთი ქვეყნების ინტე-

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*




„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №11




„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №9

**„დიახ, თბილისი და საქართველო სწორედ ვასილ მჟავანაძისა და გიორგი გეგეშიძის აშენებულია. თბილისის მეტროპოლიტენით დაწყებული, ენგურჰესით გაგრძელებული და ფილარმონიით, სპორტის სასახლითა და სასტუმრო „ივერიით“ დამთავრებული, თბილისსა და დანარჩენ საქართველოში ყველაფერი ვასილ მჟავანაძემ ააშენა!“**



*გიორგი გეგეშიძე და ვასილ მჟავანაძე*

# იგორ ქვესელავა: შევარდნაძე პრეზიდენტობას ზურაბ ჟვანიას, გია ჭანტურიას, ირაკლი მენაღარიშვილსა და კიდევ ერთ პიროვნებას ჰპირდებოდა!





დასაწყისი მე-19 გვერდზე

რესებს იცავდნენ. თუ შევარდნაძე „მსოფლიო დონის პოლიტიკოსობასა“ და ქვეყნიერების გაკვირვებაზე ოცნებობდა, **ჰეიდარ ალიევი და ლევონ ტერ-პეტროსიანი** მიწაზე იყვნენ დაშვებული და თავიანთი სახელმწიფოების გადასარჩენად იღვწოდნენ. **შევარდნაძეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართვა არ შეეძლო, რადგან უცხო ქვეყნის აგენტი იყო და სხვების ინსტრუქციებით მოქმედებდა!** შევარდნაძე არ იყო ქართული ძალა, მას ეშინოდა ქართველების ხელისუფლებაში მოსვლის და ამიტომაც ცდილობდა, თავის სიცოცხლეშივე ეფიქრა პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაზე, როცა ძალაუფლებას თავისი გამოზრდილები, თავისი გარემოცვის წევრები აიღებდნენ. შევარდნაძე პრეზიდენტობას რამდენიმე კაცს ჰპირდებოდა...

**— ვის ჰპირდებოდა?**

— შევარდნაძე პრეზიდენტობას **ზურაბ ჟვანიას, გია ჭანტურიას, ირაკლი მენაღარიშვილსა და კიდევ ერთ პიროვნებას** ჰპირდებოდა, რომლის დასახელებისგანაც ამჯერად თავს შევიკავებ. ედუარდის გათვლით, მისი წასვლის შემდეგ პრეზიდენტიც, პარლამენტის თავმჯდომარეც და მთავრობის თავმჯდომარეც თავისი გუნდის წევრები უნდა ყოფილიყვნენ. **შევარდნაძემ** იმდენი ქნა, რომ **გია ჭანტურია, ირაკლი მენაღარიშვილი და ზურაბ ჟვანია** ერთმანეთს გადაჰკიდა!

**— თქვენ გია ჭანტურიაში „ედპ“-ს ყოფილ თავმჯდომარეს გულისხმობთ, რომელიც მანქანაში ჩაცხრილეს თუ ნავთობკორპორაციის პრეზიდენტს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა?**

— არა, აქ საუბარია გურულ **გია ჭანტურიაზე...** რაც შეეხება „ედპ“-ს თავმჯდომარე **გია ჭანტურიას,** რომელიც მანქანაში ჩაცხრილეს, შევარდნაძემ ის გამოიყენა და მერე გამოწურული ლიმონივით მოისროლა. **გიორგი ჭანტურია** შევარდნაძის მიერ არსად არცერთ თანამდებობაზე არ განიხილებოდა, სამაგიეროდ, **ჭანტურია** თავად განიხილავდა საკუთარ თავს საქართველოს პრეზიდენტად. შევარდნაძეს სამეგრელო ეზიზღებოდა, მაგრამ, როცა სჭირდებოდა, ფარისევლურად აცხადებდა — **„სამეგრელო საქართველოს ხერხემალია!“**

შევარდნაძემ სამეგრელო დანარჩენ საქართველოს, თბილისს დაუპირისპირა. იმ ამაზრზენი და დანაშაულებრივი გამონათქვამების უკან, რომელიც ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მისამართით გაისმოდა — **„სუნიანები!“ „ჩამოთრეულები!“** — სწორედ შევარდნაძე და მისი ხელისბიჭები იდგნენ.

სამეგრელოს დღემდე ეტყობა იმ ხუთი მარბიელი ლაშქრობის შედეგი, რომელიც, შევარდნაძის მითითებით, „მხედრიონმა“ სამეგრელოში განახორციელა. ამის დასტური მაგალითია **სოფელი დარჩელი,** სადაც „მხედრიონმა“, დოდო გუგეშაშვილის ხელმძღვანელობით, 27 სახლი გადაწვა. 1993 წლის ივლისში, სოხუმის ჩაბარებამდე ორი თვით ადრე, **ედუარდ შევარდნაძემ** შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროებას, „მხედრიონს“, გვარდიას, პროკურატურას მოუწოდა, სამეგრელოში გადამწყვეტი შტურმი დაეწყოთ და არავინ დაენდოთ! ჩვენ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შევეხებით... შევარდნაძე ყველაფერს უკუღმა აკეთებდა და მიიჩნევდა, რომ საგარეო პოლიტიკური კურსით, რაც ამერიკა-რუსეთის მონობას ნიშნავდა, საქართველოში საშინაო პოლიტიკურ სიტუაციას დაარეგულირებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. აწ განსვენებული **ალექსანდრე ჩიკვაიძე** ყოველთვის შემახსენებდა, რომ ქვეყნის საშინაო პოლიტიკა განსაზღვრავდა საგარეო პოლიტიკას და არა — პირიქით...

**— აფხაზეთში ომის გაჩაღება, გარდა იმისა, რომ რუსეთთან და ამერიკასთან იყო შეთანხმებული, რა პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა?**

— ბატონმა **ვახტანგ გვარამიამ** ერთ-ერთ ინტერვიუში სწორად შენიშნა — აფხაზეთში ომის გაჩაღება სოხუმში გადასული ზვიად გამსახურდიას მომხრეების ფიზიკურ განადგურებას და ზვიადისტების, როგორც შეურიგებელი პოლიტიკური ძალის, ლიკვიდაციას ემსახურებოდაო! **გვარამიას დიდი ინფორმაცია აქვს და მართალს ამბობს...** შევარდნაძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის მმართველი იყო და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ლეგიტიმურ ხელისუფლად არ აღიარებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთმა შექმნილი სიტუაციით ისარგებლა და **ელცინმა** აამოქმედა **პაველ სიტინის** გეგმა საქართველოს ორად გაყოფის შესახებ — **დასავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო ზვიადი, ხოლო აღმოსავლეთში — ედუარდი!** ზვიადი ამაზე არ წავიდა და შევარდნაძესა და ამ უბინძურესი გეგმის ავტორებს ბრძოლაში შეაკვდა. **აფხაზეთი** ამ თემაში არ განიხილებოდა, აფხაზეთი, რომელიც შევარდნაძემ ჩააბარა, რუსეთს „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ ეგულებოდა...





გია ჭანტურია, ირაკლი მენაღარიშვილი

რაც შეეხება **აჭარას,** მოდით, ვთქვათ სიმართლე — **ასლან აბაშიძე** ეროვნული კაცია, საქართველოს პატრიოტია, პირადად ვიცნობ, არაერთხელ შევხვედრივარ, გვისაუბრია და შეიძლება, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ **მთელი ათი წლის განმავლობაში, აბაშიძე შევარდნაძისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა.** ასლან აბაშიძის დროს აჭარა, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი „სახელმწიფო“ იყო... **პირადად არაერთხელ მითქვამს მისთვის — ბატონო ასლან, თქვენ თბილისში არ ჩამოდიხართ, რაც მოსახლეობაში ძალიან ცუდად აღიქმება-მეთქი! — ბატონო იგორ, თბილისში რომ ჩამოვიდე, შევარდნაძე მაშინვე მომკლავს! — მპასუხობდა აბაშიძე.** ასლან აბაშიძემ გადმომცა საიდუმლო მასალების ორი ტომი, რომლითაც დასტურდება, რომ შევარდნაძე მის განადგურებას ნამდვილად გეგმავდა. ეს მასალები ჯერ არ გამომიმზეურებია!

**— თუ შევარდნაძე ასლან აბაშიძის განადგურებას გეგმავდა, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს შევარდნაძე და ასლან აბაშიძე ერთ ბანაკში როგორ აღმოჩნდნენ?**

— „ვარდების რევოლუციის“ დროს **შევარდნაძესა და აბაშიძეს** შორის გარიგება მოხდა. ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის რეალურმა საფრთხემ შევარდნაძე და აბაშიძე გააერთიანა... ასლანისა და შევარდნაძის გარიგებაში მონაწილეობდა **ირინა სარიშვილიც,** რომელსაც შევარდნაძე ბათუმსა და თბილისს შორის დაარბენინებდა.

**— ამ გარიგების მიხედვით, რა უნდა მომხდარიყო?**

— გარიგების თანახმად, თუ შევარდნაძე ხელისუფლებას შეინარჩუნებდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან საქართველოს პრემიერ-მინისტრი აუცილებლად გახდებოდა **ასლან აბაშიძის პოლიტიკური გუნდის წევრი.** პარალელურად, მინისტრთა კაბინეტში, მინიმუმ, სამი სტრატეგიული თანამდებობა, მათ შორის, შინაგან საქმეთა ან უშიშროების მინისტრის პორტფელი უნდა დარჩენოდა **ასლან აბაშიძის „აღორძინებას“. იუზა ჩხაიძისა** და მისთანების გასაგონად ვიტყვით, რომ საფეხურზე... 





ავთანდილ მარგიანი, ლეონარდო დევდარიანი

**„როგორც კი შევარდნაძის სავარძელს საფრთხე დაემუქრა, დიდძალი ფულის გადახდის სანაცვლოდ, ლეონარდო დევდარიანის შუამავლობითა და ავთანდილ მარგიანის უშუალო მონაწილეობით, მან ადმირალი ედუარდ ბალტინი სოხუმის დაცემის შემდეგ სამეგრელოში მოიპატიჟა!“**

# ბინძური სახელმწიფო გადატრიალების 20-წლედი!

*„ვარდების რევოლუციად“ წოდებული ბინძური სახელმწიფო გადატრიალებიდან 20 წელი გავიდა! ამ ხნის განმავლობაში უამრავი რამ ითქვა და დაიწერა, მაგრამ საზოგადოებამ ჯერაც არ იცის, რა მოხდა 2003 წლის ნოემბრის იმ დღეებში, საქართველოს მომავალი ოცწლედი რომ განსაზღვრა! ჩვენ გთავაზობთ იმ მოვლენათა ორი მთავარი მონაწილისა და ანტაგონისტის — ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის აღიარებით ჩვენებებს (რომლებიც მათ თავ-თავიანთ მემუარებში — „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ და „ძალის გამოღვიძება“ დაგვიტოვეს), რომელთა შეჯერებით ნათელი მოეფინება კითხვათაკითხვას: როგორ მოხდა სინამდვილეში 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“!*

## მსხვერპლთ-შეწირვა, როგორც რევოლუციური დესტაბილიზაციის კატალიზატორი

შევარდნაძის ხელისუფლებისგან ჩამოშორების სამზადისი „ვარდების რევოლუციამდე“ რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. იგი თავად აღიარებს, რომ აბსოლუტური ძალაუფლების 12 წლის მანძილზე (1992-2003 წ.წ.) ვერ შექმნა სტაბილური გამართული სახელისუფლებო ინსტიტუტები:

> ***„დემოკრატიზაციის პროცესის სრულყოფა ბოლომდე მაინც ვერ მოხერხდა: ვერ ჩამოყალიბდა ისეთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც ქვეყნის განვითარების მდგრადობას უზრუნველყოფდნენ...*** *ზემოთქმულის ნათელ დადასტურებად მიმაჩნია 2001 წლის შემოდგომაზე განვითარებული მოვლენები. ერთ-ერთ დამოუკიდებელ ტელეკომპანიას საგადასახადო საქმიანობის შესამოწმებლად მიაკითხეს შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებმა. ეს ვიზიტი იმდენად მოუმზადებელი და უსუსური გამოდგა, რომ მას თბილისში მასობრივი საპროტესტო გამოსვლა მოჰყვა. საქმე თითქმის კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივ კრიზისამდე მივიდა, რის შედეგად მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგა.* ***მხოლოდ ასე მოხერხდა ერთობ რთული სიტუაციის კონსტიტუციურ და დემოკრატიულ ჩარჩოებში მოქცევა და განმუხტვა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 21).*

ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო იმის დასაჯერებლად, რომ ოპოზიციურ ტელევიზიაში უშიშროების დესანტის გაგზავნა მათი თვითშემოქმედება იყო და არ ყოფილა თვით პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეთანხმებული! რა თქმა უნდა, „საგადასახადო საქმიანობის შემოწმება“ იაფფასიანი საბაბი გახლდათ, მიზანი კი ფრიად მარტივი იყო: **ტელეკომპანია, რომელიც სისხლს უშრობდა კრიტიკით (ხშირად ცილისმწამებლურითაც!) ხელისუფლებას, ასეთი ბრუტალური მეთოდებით, მინიმუმ, უნდა დაეშინებინათ, მაქსიმუმ კი, ისე მსუყედ დაეჯარიმებინათ, რომ არსებობა შეეწყვიტა!** და, რაც მთავარია, ამ სკანდალს მოჰყვა მთელი მთავრობის გადადგომა — აი, ასე ძვირად დაუჯდა ხელისუფლებას ეს სისულელე!

სააკაშვილი კი თავის მემუარებში ასე იხსენებს „ვარდების რევოლუციამდელი“ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე საეტაპო მოვლენას — ჟურნალისტ **გიორგი სანაიას** მკვლელობას და ამასთან დაკავშირებულ სახალხო მღელვარებას:

> ***„ყველა უბედურების განსახიერებად შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე ითვლებოდა. ჟვანია გამოვიდა ინიციატივით: თუ წავიდოდა თარგამაძე, მაშინ ისიც გადადგებოდა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან.*** *როდესაც 1990-იანების შუა წლებში შევარდნაძემ ჟვანია გადაიბირა, მაშინ ის მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე იყო და არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა მისთვის.* ***მაგრამ ჟვანიამ შეძლო პარლამენტში ბევრი საინტერესო ადამიანის მოყვანა და შექმნა ფართო რეფორმატორული ფრონტი, რასაც შევარდნაძე არ ელოდა. ამიტომ ის სიამოვნებით დათანხმდა სიტუაციის დარეგულირების ამ ვარიანტს“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 60).*

ანუ სანაიას სიკვდილით **სააკაშვილის ბანდამ** მოიშორა **კახა თარგამაძე** — იმდროინდელი შს მინისტრი, რომელიც, როგორი შეხედულებაც არ უნდა გვქონდეს მასზე, ერთგვარი შემადუღაბებელი ფაქტორი გახლდათ ძალოვანი სისტემისა და სწორედ ამიტომ ამოირჩიეს „რევოლუციონერებმა“ მთავარ სამიზნედ! **კახა თარგამაძის მოშორების შემდეგ კი, როგორც იტყვიან, ნახევარი საქმე გაკეთებული იყო — უთარგამაძეოდ დატოვებულმა შსს-მ ვერავითარი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია „ვარდების რევოლუციონერებს“!**

მაგრამ „ვარდების რევოლუციამდე“ ერთი წლით ადრე მოხდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, შევარდნაძის ხელისუფლება კიდევ უფრო უმწეო მდგომარეობაში რომ ჩააგდო! შევარდნაძე თავის მემუარებში აკეთებს ერთ სენსაციურ აღიარებას, რამაც მისი აზრით, განაპირობა კიდეც „ვარდების რევოლუცია“:

> ***„ახლა, როდესაც უკან ვიყურები და ვფიქრობ იმ ფაქტორებზე, რომლებმაც შესაძლებელი გახადა 2003 წლის ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალება, მახსენდება უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია — ბრწყინვალე პიროვნება, საქმის შესანიშნავი მცოდნე, პროფესიონალი, ჩემი თანამოაზრე და მეგობარი, უაღრესად პატიოსანი და უღალატო კაცი, რომელიც წარმატებით კურირებდა ძალოვან სტრუქტურებს...*** *მაგრამ 2002 წლის გაზაფხულზე მან თავი მოიკლა. დარწმუნებული ვარ, ის შეგნებულად მიიყვანეს აქამდე და ამაში ძალიან სერიოზული ძალები იყ-*

გაგრძელება 22-ე გვერდზე



## «ვარდების რევოლუცია»: რა მოხდა რეალურად - შევარდნაძისა და სააკაშვილის აღიარებითი ჩვენებები!



## „ასლანმა გადმომცა საიდუმლო მასალების ორი ტომი, რომლითაც დასტურდება, რომ შევარდნაძე მის განადგურებას ნამდვილად გეგმავდა. ეს მასალები ჯერ არ გამომიმზეურებია!“

— ეს მეტყველებს იმაზე, რომ **თბილისის საქალაქო კომიტეტის „გაშავება“ მიზანმიმართულად მოახდინა ედუარდ შევარდნაძემ და კრემლის კომისია „ტექას“ სწორედ მან დაასხა.** სხვათაშორის, **ოთარ ლოლაშვილი** რომ გააგდეს, ცოტა ხანი ვერავინ ხვდებოდა, თუ ვინ იდგა ამ სადამსჯელო ღონისძიების უკან, მაგრამ, როგორც კი „ტექას“ მდივნად შევარდნაძე დაინიშნა, ყველასთვის ნათელი გახდა, რომ კრემლის მთავარი ინფორმატორი საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი **ედუარდ შევარდნაძე** იყო.

შემდეგ განვითარებულ მოვლენებს რომ ვაანალიზებ, არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, **ოთარ ლოლაშვილი** თავიდანვე ედუარდ შევარდნაძის თამაშს თამაშობდა და მისი კაცი იყო. მოკლედ, მოსკოვის მითითებით, **შევარდნაძე** გახდა თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი და იმავე დღესვე მისთვის ცეკას ბიუროს კარიც გაიღო. მთელ ამ ისტორიაში ყველაზე უფრო საინტერესო და დაფარული დეტალი ის არის, რომ სინამდვილეში ინფორმაცია „პრავდაში“ გამოქვეყნებული ე.წ. **„პოსტანოვლენიე პო გორკომუ“**-ს შესახებ, რომელიც მეორე დღესვე, 1972 წლის 7 მარტს, გაზეთმა „კომუნისტმაც“ გადაბეჭდა, **ნანული ცაგარეიშვილის დაბადების დღისათვის** დაწერა არა მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ, არამედ ედუარდ შევარდნაძემ. მან რუსული ცუდად იცოდა, მაგრამ „მწერლები“ საკმარისად ჰყავდა.

**— თქვენ იმას ამბობთ, რომ მოსკოვიდან კომისიის ჩამოსვლა შირმა იყო და ედუარდს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი?**

— დიახ, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალ **ნიკოლაი შჩოლოკოვის** მეშვეობით, რომლის ოჯახთანაც შევარდნაძეს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა, ედუარდმა ყველაფერი წინასწარ დაგეგმა და **ვასილ მჟავანაძეს** ძირი გამოუთხარა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შევარდნაძეს „პრავდაში“ გამოსაქვეყნებლად ისეთი უმძიმესი ტექსტი ჰქონდა შედგენილი, რუსებმაც კი ვერ გაბედეს მისი თავდაპირველი სახით გამოქვეყნება და სერიოზულად შეარბილეს. ტექსტი „კომუნისტშიც“ გამოქვეყნდა, მაგრამ მისი ქართული თარგმანი „პრავდაში“ გამოქვეყნებულ მასალას ბევრგან არ ემთხვეოდა.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




**„ბატონმა ვახტანგ გვარამიამ ერთ-ერთ ინტერვიუში სწორად შენიშნა — აფხაზეთში ომის გაჩაღება სოხუმში გადასული ზვიად გამსახურდიას მომხრეების ფიზიკურ განადგურებას და ზვიადისტების, როგორც შეურიგებელი პოლიტიკური ძალის, ლიკვიდაციას ემსახურებოდა!“**



# «ვარდების რევოლუცია»: ბინძური სახელმწიფო გადატრიალების 20-წლედი!

*დასაწყისი მე-19 გვერდზე*

*ვნენ ჩართულები — არ გამოვრიცხავ გარეშე ძალასაც.* ***ასეა თუ ისე, დღევანდელი გადასახედიდან, სრულიად აშკარაა, რომ ნუგზარ საჯაიას წასვლის შემდეგ თანდათანობით ვკარგავდი კონტროლს ჩემივე უახლოეს გარემოცვაზე და ჩემ ირგვლივ მეთოდურმა დეზინფორმაციამ იმძლავრა, რამაც 2003 წლის ნოემბრისთვის პიკს მიაღწია“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 22).*

მოკლედ, შევარდნაძე პირდაპირ ამბობს, რომ მისი ხელისუფლების უშიშროების საბჭოს მდივნის ლიკვიდაციისთვის უსერიოზულესი სპეცოპერაცია ჩატარდა და ეს იყო მომავალი სახელმწიფო გადატრიალების მოსამზადებელი პრელუდია!

## რეგიონების აბუნტება – სერბული გამოცდილება

სააკაშვილი თავის მემუარებში დეტალურად იხსენებს, როგორ დაიწყო „ვარდების რევოლუცია“. მას შემდეგ, რაც 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ნაცმოძრაობამ მეორე შედეგი მიიღო **(ასლან აბაშიძის „აღორძინებაზე“ ნაკლები და შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირზე“ მეტი)** სააკაშვილის პარტიის მოთხოვნა, მათთვის პირველი ადგილი გამოეწერათ, უშედეგოდ დასრულდა! არჩევნების გაყალბების გასაპროტესტებლად თბილისში ხალხი ქუჩაში მაინცდამაინც არ გამოდიოდა! ჰოდა, 22 ნოემბრისათვის დანიშნული ახალი პარლამენტის პირველი სხდომის წინ სააკაშვილმა ხალხის ასაყოლიებლად სამეგრელოს, კერძოდ, წალენჯიხას მიაშურა:

***„მათ მოიწვიეს პარლამენტი, გამოაცხადეს შედეგები. ჩვენ მესამე ადგილი „გამოგვიწერეს“. და აი, მაშინ საქართველოს უკიდურესი დასავლეთისაკენ გავწიე. საქართველოს დასავლეთი ძალიან ჰგავს უკრაინის დასავლეთს — იქ ყველაზე რადიკალური ხალხი ცხოვრობს, ყველაზე პატრიოტულად განწყობილი“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 68).*

სააკაშვილი არც იმას მალავს, რომ რეგიონიდან ხალხის სარევოლუციოდ დაძვრის ეს ტრიუკი სერბი რევოლუციონერებისაგან ისწავლა, **სლობოდან მილოშევიჩს** რომ მოუწყვეს „ფერადი რევოლუცია“:

***„წალენჯიხაში, რომელიც სვანეთსა და აფხაზეთს შორის მდებარეობს, ავტობუსები ვიშოვეთ. ეს ხერხი სერბებისგან ვისესხე. ამ მოვლენებამდე ბელგრადში ვიყავი, სადაც გავიცანი ჯინჯიჩი*** *(ზორან ჯინჯიჩი — სერბული რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი იყო — გ.გ.)* ***და „ოტპორის“*** *(სერბული „კმარას“ — გ.გ.)* ***წევრები. ამ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ის იყო, რომ მათ ორგანიზება გაუკეთეს სერბეთის სოფლის რაიონების მოსახლეობის ჩამოყვანას ბელგრადში. ჩვენ გადავწყვიტეთ რაღაც მსგავსი. მე დასავლეთიდან დავიწყე, ზოგიერთი ჩემი ამხანაგი კი საქართველოს აღმოსავლეთში გავუშვი. ჩავსხედით ავტობუსებში და თბილისისკენ დავიძარით“*** *(იქვე, გვ. 68).*

ამდენად, სააკაშვილი აღიარებს, რომ **წინასწარ ემზადებოდა რევოლუციისათვის** და ამიტომაც იყო ჩასული ბელგრადში სერბი რევოლუციონერების გამოცდილების გაზიარებისათვის!

რაც შეეხება **შევარდნაძეს,** როგორც ის თავის მემუარებში აღწერს, მხოლოდ 2003 წლის 10 ნოემბერს მიხვდა, რომ **უკვე სხვა საქართველოში ცხოვრობდა** — საქართველოში, სადაც მას აღარ ესმოდა ხალხისა! შევარდნაძე იხსენებს 10 ნოემბრის დილას, როდესაც ყველასთვის მოულოდნელად მივიდა პარლამენტის წინ შეკრებილ ასამდე ახალგაზრდა ოპოზიციონერ დემონსტრანტთან:

***„დამინახეს თუ არა, წამოიშალნენ და ჩემი მისალმების პასუხად ატეხეს ყვირილი: „გადადექი! გადადექი!“ ... ჩემს ცხოვრებაში პირველად ვერ შევძელი ადამიანებთან დალაპარაკება. ასე კოლექტიურად ნათქვამი „გადადექი“!*** *პირველად მოვისმინე. ამ ახალგაზრდების ერთობლივმა მოთხოვნამ შემაძრწუნა. ვიცი, ამაზეც იყო გათვლილი. ალბათ, ვიღაცას, რბილად რომ ვთქვა, იმ მომენტში ნაკლებად აწუხებდა ქვეყნის ინტერესები, მაგრამ ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.* ***ჩემს ქვეყანაში პირველად მოვისმინე სკანდირება ჩემი გადადგომის მოთხოვნით — „გადადექი!“ ეს სიტყვა ტვინის რომელიღაც უჯრედში ჩამიჯდა და სულ თავში მიტრიალებდა...“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 23).*

მემუარისტი აშკარად კეკლუცობს — შევარდნაძე და სენტიმენტალიზმი ორი სხვადასხვა პლანეტაა! ასი ნაცის მიერ რუსთაველის გამზირზე ნათქვამი **„გადადექი!“** რა მოსატანია იმასთან, რაც შევარდნაძისთვის ნაპუტჩარ საქართველოში, პირველი პრეზიდენტის მომხრეთა ასიათასკაციან მიტინგებზე დაუგუგუნებიათ! **ზუსტად იგივე უთქვამთ შევარდნაძისთვის, მაგალითად, პუტჩისტების მიერ არაერთგზის აოხრებულ-დარბეულ სამეგრელოში, როცა იქ ჩასულს ქალები უკიოდნენ „მკვლელო იუდაო!“** ამაზე შევარდნაძეს არანაირი რეაქცია არ ჰქონია და უცებ ასმა ნაცმა **„გადადექი!“** დაუყვირა და შეძრწუნდა?!

## როგორ „ააგდეს“ სარევოლუციოდ თბილისი

სააკაშვილი თავის მემუარებში აღიარებს, რომ საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობა არ იზიარებდა მის რევოლუციურ განწყობას და ამიტომაც მიაშურა წალენჯიხას ხალხის მისამხრობად! მემუარისტი ღიად და დაუფარავად აღწერს, როგორ „გაახურეს“ **(ანუ „ჟარგონით“ რომ ვთქვათ, „ააგდეს“)** მანამდე რევოლუციისადმი ინდიფერენტული თბილისის მოსახლეობა:

***„ჩვენი კოლონა შთამბეჭდავ სანახაობას წარმოადგენდა. ვიღაც ფოტოგრაფმა გადაიღო ეს უზარმაზარი განათებული კოლონა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, მცხეთასთან ახლოს, მთიდან, სადაც ჯვრის მონასტერი დგას... ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ქალაქში ნამდვილი ცეცხლოვანი ჯარი შედიოდა. ეს კი უკვე პირდაპირ ეთერში გადაიცა. ბუნებრივია, თბილისი, რომელიც ადრე სკეპტიკურად იყო განწყობილი, უკვე „გახურდა“ და როგორც განმათავისუფლებლებს, ისე გვხვდებოდა*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 69).*

სააკაშვილი ცრუობს, ვიღაც ფოტოგრაფმა გადაიღო ჩვენი „ცეცხლოვანი კოლონა“ ჯვრის მონასტრის მთიდანო! **ეს ტრიუკი რევოლუციონერებმა საგანგებოდ დადგეს თბილისის მოსახლეობის „ასაგდებად“ და ეფექტის მოსახდენად: არავითარი „ვიღაც ფოტოგრაფი“ არ იყო — მათ სპეციალურად დადგეს „რუსთავი-2“-ის კამერა ჯვრის მონასტერთან რამდენიმე ათეული ავტომობილით, სპეციალურად შექმნეს „საცობი“ ტრასაზე და როდესაც მათ თბილისისაკენ მომავალი ჩვეულებრივი მგზავრების ასობით ავტომობილი მოადგათ, მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრნენ „ცეცხლოვანი ჯარით“!** მითუმეტეს, რომ უკვე შეღამებული იყო და ეს ფარებანთებული კოლონა რევოლუციონერების ძლევამოსილ-განმათავისუფლებელ არმადად გაასაღეს!

არადა, სინამდვილეში, **წალენჯიხიდან თბილისისაკენ სააკაშვილის სულ რამდენიმე ასეული მომხრე წამოვიდა!** აი, ასე „გახურებული“ თბილისელებით და რეგიონებიდან ჩამოყვანილი ხალხით — ჯამში, სულ რამდენიმე ათასი მომიტინგით, დაიწყო სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში გადაცემული ტელერევოლუცია:

***„თავისუფლების მოედანზე ჩავატარეთ მიტინგი და პრეზიდენტის კანცელარიისკენ გავემართეთ. სპეცნაზი დაგვხვდა და ე.წ. „დიმაუშკები“ დაგვიშინა. პანიკა დაიწყო, მაგრამ ბევრი მაინც წინ მიიწევდა და კვამლის საფარი გავარღვიეთ. სპეცნაზმა გზა დაგვითმო და ჩვენ შიგნით შევედით. კანცელარიაში დაგვხვდა სულ რამდენიმე თანამშრომელი, რომლებმაც ჩვენ მიერ დანიშნულ დროებით კომენდანტს შენობა გადააბარა. ხალხმა გამოიტანა შევარდნაძის სკამი, მაღალი სართულიდან გადმოაგდო“*** *(იქვე, გვ. 69).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი თავისი პირით ამბობს, რომ მომხრეებთან ერთად, პრეზიდენტის სამთავრობო რეზიდენციაში — **სახელმწიფო კანცელარიაში შეიჭრა და სახელმწიფო გადატრიალებას მოაწერა ხელი!**

## სისხლისღვრისთვის მზადყოფნა – რევოლუციის აუცილებელი წინაპირობა

**შევარდნაძის** სახელმწიფო კანცელარიის დაკავების შემდეგ, **სააკაშვილი** იხსენებს ნაცმოძრაობის ოფისში გამართულ მის თათბირს **ზურაბ ჟვანიასთან და ნინო ბურჯანაძესთან,** რომლებიც მაშინ ნაცმოძრაობის მოკავშირე, ცალკე ოპოზიციური პარტიის ლიდერები იყვნენ:

***„ჟვანია ამბობდა, რომ მეტი წინ წასვლა აღარ შეიძლებოდა, რომ, თუკი პარლამენტში შევიჭრებოდით, სისხლისღვრა დაიწყებოდა. მთავრობა სროლას დაიწყებდა. ეს ხომ სახელმწიფო გადატრიალება იქნებოდა. საჭიროა ამერიკელების ან საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით მთავრობასთან მოლაპარაკებების წარმოება, მითუმეტეს, რომ ამერიკელები გვთავაზობდნენ შეკრებას მომდევნო კვირას, ვაშინგტონში ან თბილისში. ბურჯანაძე ჟვანიას მხარეს იყო. მე ვუპასუხე, რომ ასეთი საუბრებისთვის არ მეცალა და პარლამენტზე შეტევას ვაპირებდი. „შენ ან ჩემთან ერთად მოდიხარ, ან კარგავ საკუთარ შანსს — ვუთხარი ბურჯანაძეს. — პარლამენტის თავმჯდომარე ხარ და დარბაზში მანამ უნდა შეხვიდე, სანამ ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნახევარი საათის შემდეგ შენ პარლამენტის მეთაური აღარ იქნები“*** *(იქვე, გვ. 70).*

აი, ასე გადაიბირა სააკაშვილმა პარლამენტზე შტურმისთვის **ნინო ბურჯანაძე და ჟვანიაც** — ყოველ შემთხვევაში, ასე გვიმტკიცებს! და, ალბათ, ასეც იყო, რადგან **ჟვანია** მაშინ მართლაც არ იყო რადიკალური ზომებისა და პარლამენტში შეჭრის მომხრე — აბსოლუტურად ლოგიკურად გამოიყურება მისი სიტყვები, ეს ხომ სახელმწიფო გადატრიალება იქნება და სისხლი დაიღვრებაო!



## შევარდნაძის კაპიტულაცია

**სააკაშვილი** 2003 წლის 22 ნოემბერს პარლამენტში შეჭრის ამბავს ასე იხსენებს:

***„ზოგიერთი დეპუტატი შეიარაღებული იყო, ზემოთ კი ავტომატიანი დაცვა იყო განლაგებული. მაგრამ ჩვენ იმდენად აგრესიულები და აღფრთოვანებულები ვიყავით, წინ რომ წავიწიეთ, დაცვამ შევარდნაძეს ხელი სტაცა და გაიყვანა. ეს სტანდარტული რეაქციაა საშიშროების დროს, მაგრამ ტელევიზიით ეს, როგორც გაქცევა, ისე გამოჩნდა. ის უბრალოდ დაიბნა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 71).*

ამ შემთხვევაში სააკაშვილი მართალს ამბობს, რომ **შევარდნაძე** კი არ გაიქცა, ის, უსაფრთხოების წესების თანახმად, დაცვამ გაარიდა იქაურობას!

სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა პარლამენტი დაიკავეს, სხდომათა დარბაზში, მაგიდებზეც იხტუნავეს და დეპუტატების ოთახებში მთელი ღამე ნარკოტიკებიც „იჩხირეს“ — ამის შესახებ არაერთმა დეპუტატმა განაცხადა, მეორე დღეს თავის სამუშაო კაბინეტებში მისულებს იქაურობა გამოყენებული შპრიცებით სავსე რომ დახვდათ!

**ისიც ფაქტია, რომ პარლამენტში შეჭრილი ჯავშანჟილეტიანი სააკაშვილის ბანდა შეიარაღებული იყო და იქ სისხლისღვრაც იყო დაგეგმილი, მაგრამ მადლობა ღმერთს, არავინ გაისროლა პირველმა, რასაც ავტომატურად საპასუხო ცეცხლი მოჰყვებოდა და ხალხი დაიღუპებოდა!** სწორედ, ამაზე იყო გათვლილი სააკაშვილის ავანტიურა, როდესაც შეიარაღებული ხალხით შეიჭრა პარლამენტში, რათა შემდეგ მთელი მსოფლიოს გასაგონად ეყვირა, აი, თქვენი დემოკრატი შევარდნაძე სისხლიანი დიქტატორიაო!

რევოლუციონერებმა პარლამენტის დაკავების შემდეგ აღარ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ — ამას თავად **სააკაშვილიც** აღიარებს:

***„ჩვენ არ ვიცოდით, შემდეგ რა უნდა გვექნა. თავისი რეზიდენციიდან შევარდნაძემ განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალებაა. მან სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და ბრძანება გასცა, ჯარს პარლამენტი გაეწმინდა. თავდაცვის მინისტრი თევზაძე გაუჩერებლად სვამდა თავის კაბინეტში და უკონტაქტო იყო. თბილისის ცენტრთან ახლოს განლაგებული სამხედრო ნაწილიდან რამდენიმე ჯავშანმანქანა გამოემართა. ისე მოხდა, რომ პირველი ჯავშანმანქანა შეეჯახა მანქანას, რომელშიც ახალდაქორწინებული წყვილი იჯდა. დანარჩენები გაჩერდნენ და წინ აღარ წამოვიდნენ...“*** *(იქვე, გვ. 71).*

მოკლედ, შევარდნაძის ბრძანება თავდაცვის სამინისტროსადმი, აღეკვეთათ სახელმწიფო გადატრიალება, ჰაერში გამოკიდებული ქაღალდი იყო! და ეს გასაგებიც არის: არც შევარდნაძეს სურდა, რომ სისხლი დაღვრილიყო და არც ჯარს სურდა ეს! აი, სწორედ ამან განაპირობა სააკაშვილის ბანდის ავანტიურის წარმატება, თორემ სააკაშვილს ერთი სული ჰქონდა, სისხლი დაღვრილიყო და ეს მთელი მსოფლიოსათვის „ეხარებინა“!

თავის მხრივ, **შევარდნაძეც** დეტალურად იხსენებს 2003 წლის 22 ნოემბერს — იმ ავადსახსენებელ დღეს, როდესაც ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა და მისი ლეგიტიმაცია უნდა მომხდარიყო:

***„დადგა 22 ნოემბერი — ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დღე. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მოგვახსენა, რომ არჩევნები კანონიერად ჩატარდა და ახალი პარლამენტის***

# რა მოხდა რეალურად?!



***შეკრებაც ლეგიტიმური იყო. რეგლამენტის მიხედვით, ეს სხდომა მე უნდა გამეხსნა. იგი დანიშნული იყო ოთხი საათისთვის, მაგრამ ხუთის ნახევრამდე ვერ დავიწყეთ, რამდენიმე დეპუტატს ველოდით, რათა კვორუმი შემდგარიყო...“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 25).*

კი მაგრამ, **რატომ არ დაინიშნა** ახალი პარლამენტის ლეგიტიმურობის დამამტკიცებელი პირველი სხდომა **22 ნოემბრის დილით?! რატომ ვერ მოხერხდა** მოქკავშირელი დეპუტატების სრული მობილიზება დროულად, რომ დილით გასამართი სხდომა საღამოს ხუთის ნახევრამდე არ გადატანილიყო?! **ამ რიტორიკულ კითხვებზე პასუხიც ნათლად ადასტურებს, რა დონის „ბარდაგი“ იყო შევარდნაძის ხელისუფლებაში მაშინ, როდესაც თითოეულ წუთს „ოქროს ფასი“ ჰქონდა მმართველი პარტიის ყოფნა-არყოფნისთვის!**

**შევარდნაძე** ასე აგრძელებს ახალი პარლამენტის პირველი სხდომის გახსნას:

***„როგორც იქნა, სხდომა გაიხსნა. დავიწყე ჩემი გამოსვლის კითხვა — მოკლე გამოსვლა იყო და საკმაოდ ნელა ვკითხულობდი. რამდენიმე სტრიქონიღა მრჩებოდა წასაკითხი, რომ არაადამიანური შეძახილები გაისმა — ერთხელ, ორჯერ... სხდომათა დარბაზის კარი შემოამტვრიეს. ჩამესმა ვიღაცის როყიო წამოძახილი: „გადადექი!“ „გადადექი!“*** *თავი რომ ავწიე, ნაცნობი ადამიანები დავინახე, რომლებიც რამდენიმე დეპუტატის და ჩემთვის უცნობი ახალგაზრდების გარემოცვაში იყვნენ. მე მოხსენების კითხვას ვაგრძელებდი. უცებ სხდომათა დარბაზის კართან ჩოჩქოლი ატყდა. ერთი პირობა, შემოჭრილების ნაწილი თითქოს გაიყვანეს კიდეც დარბაზიდან, მაგრამ, ეტყობა, გარედან მათი მომხრეების ტალღა მოაწვა და ისინიც ჯიქურ წამოვიდნენ ტრიბუნისკენ. დეპუტატები ერთბაშად გაიხვეტნენ დარბაზიდან.* ***დაცვის ბიჭები შემომეხვივნენ და გამიყვანეს — ისინი თავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ, რასაც ვერ ვიტყვი იმათზე, ვისაც პარლამენტის შენობაში წესრიგის დაცვა ევალებოდა. უკვე შემდეგ შევიტყვე, რომ მომიტინგეები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შემოიჭრნენ პარლამენტში“*** *(იქვე, გვ. 25).*

შევარდნაძის მიერ ასეთი **აშკარა ზიზღით მოხსენიებული „ვიღაცის როყიო ხმა“,** „გადადექი-გადადექის“ რომ ყვიროდა, სხდომათა დარბაზში თანამზრახველებთან ერთად შეჭრილი **მიხეილ სააკაშვილი** გახლდათ;

და კიდევ: მემუარისტი ისე განყენებულად ყვება, პარლამენტის შენობა ვერ დაიცვეს მომიტინგეების შემოჭრისგანო, **თითქოს ეს მისი მთავრობის უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროებს კი არა, მეზობელი სოფლის კლუბის გამგეს ევალებოდა, უბილეთო მაყურებლები რომ შეეპარა „ზიტა და გიტას“ წარღვნამდელი ინდური ფილმის კინოსეანსზე!**

**შევარდნაძე** იქვე იხსენებს, როგორ შეაფასა მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებად:

***„დაცვამ პარლამენტის ეზოში ჩამიყვანა. იქ მანქანაში ჩავსხედით და მარცხენა ჭიშკრიდან გავედით პარლამენტის შენობის წინ, სადაც თბილისიდან, აჭარიდან და კახეთიდან ჩემ მხარდასაჭერად მოსულ მომიტინგეებს შევხვდი. მოკლედ მივმართე ხალხს და მომხდარი შევაფასე, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. შემდეგ მანქანაში ჩავჯექი და საკუთარი რეზიდენციისკენ გავემგზავრე. საღამოს, ძალოვნებთან თათბირის შემდეგ, კონსტიტუციის შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადე. სათანადო განკარგულება ტელერადიომაუწყებლობით გადაიცა, მეორე დღეს კი გაზეთებშიც დაიბეჭდა“*** *(იქვე, გვ. 26).*

მაგრამ ეს ბლეფი აღმოჩნდა: **შევარდნაძე,** მისივე აღიარებით, თურმე, არც აპირებდა არავითარი საგანგებო მდგომარეობის შემოღებას:

***„თუმცა, ამ ფორმალურ პროცედურათა დროს და შემდეგაც თვალწინ საშინელი სურათი მედგა: მომიტინგეები და ჯარი*** *(მე ხომ მთავარსარდალიც ვიყავი)* ***ერთმანეთს ეჯახება, სისხლისღვრა გარდაუვალია, შემდეგ შეტაკებები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც გადაინაცვლებს. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელ მხარეს დაიღუპებოდნენ ადამიანები: იქითაც და აქეთაც საქართველოს მოქალაქეები იდგნენ. ამავეს მეუბნებოდნენ ჩემი მეუღლე და ჩემი შვილი პაატა, რომელიც აღელვებული მირეკავდა პარიზიდან (იგი იუნესკოში მუშაობს). მე ისინი დავამშვიდე და ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და არავითარი საგანგებო მდგომარეობა აღარ იქნებოდა. ქვეყანაში, რომელმაც გადაიტანა 1921, 1924, 1937, 1956, 1989 წლები და სამოქალაქო ომი, ეროვნული ხელისუფლების მიერ სისხლის დაღვრა უდიდესი ბოროტება იქნებოდა. მეტიც, თვით ოპოზიციის ლიდერებს მიაჩნდათ, რომ შევარდნაძე სისხლის ღვრაზე არ წავიდოდა, ამიტომაც მოქმედებდნენ ასე თამამად პარლამენტში და სახელმწიფო კანცელარიაში შეჭრისას. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთს ჩემი სრული დისკრედიტაციისთვის მართლაც ხელს აძლევდა სისხლის დაღვრა“*** *(იქვე, გვ. 26).*

მემუარისტი აქაც აშკარად **სააკაშვილზე** ლაპარაკობს — სწორედ ის შეიჭრა შეიარაღებულ დაცვასთან ერთად პარლამენტის სხდომათა დარბაზში, ქურთუკის ქვეშ მორგებული ჯავშანჟილეტით სასაცილოდ გაბერილი...

რა თქმა უნდა, შევარდნაძე აშკარად თვითტრფობაში დამთვრალი წერს — **აბა, სისხლს როგორ დავღვრიდი ისედაც ზღვა სისხლდადინებულ საქართველოში?! თითქოს იმ 1989 წლის 9 აპრილის სისხლისღვრასთან თუ „სამოქალაქო ომად“ წოდებულ სისხლიან პუტჩთან მას არანაირი კავშირი არ ჰქონოდა!** აღარაფერს ვამბობ იმ სისხლიან რაუნდებზე, რომელიც მისი სახელმწიფო საბჭოს მეთაურობისას **ხუთჯერ რომ ჩაუტარეს სამეგრელოს...**

უბრალოდ, შევარდნაძე მიხვდა, რომ მისი ხელისუფლება იმდენად ჩამომპალი იყო, ვერავითარ საგანგებო მდგომარეობას ვერ გაართმევდა თავს! რა საგანგებო მდგომარეობა უნდა აღესრულებინა უშიშროებისა და შს სამინისტროებს, რომლებმაც სააკაშვილის სულ რამდენიმე ასეული ავანტიურისტისგან სახელმწიფო კანცელარია და პარლამენტი ვერ დაიცვეს?!

მითუმეტეს, მაშინდელი თავდაცვის მინისტრმა **დავით თევზაძემაც** უარი თქვა ყაზარმებიდან ჯარის გამოყვანაზე საგანგებო მდგომარეობის აღსასრულებლად და ამიტომაც შეინარჩუნა თანამდებობა გაპრეზიდენტებული სააკაშვილის მთავრობაშიც!

შემდეგ **შევარდნაძე** იხსენებს, როგორ მივიდნენ 23 ნოემბერს კრწანისში, მის რეზიდენციაში **სააკაშვილი და ჟვანია:**

***„23 ნოემბერს, გვიან საღამოს, ჩემთან, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია მოვიდნენ. ჩემს რეზიდენციას დაახლოებით ათასამდე მომიტინგეც მოადგა. მიშამ და ზურამ ჩემი გადადგომის შესახებ დაიწყეს საუბარი, თუმცა, არც ისე მტკიცედ და კატეგორიულად. ჩემი პასუხი უბრალო იყო: „ბიჭებო, ტყუილად ნერვიულობთ, გადადგომის გადაწყვეტილება უკვე მივიღე და მის შეცვლას არ ვაპირებ. უმჯობესია, ახლა ხვალინდელ დღეზე იფიქროთ. ქვეყნის მართვა ნამდვილი ხელოვნებაა და არ მინდა ამ საქმეში მარცხი განიცადოთ. თუ რამეში გამოგადგებათ ჩემი კონსულტაცია, მზად ვიქნები“.*** *რა თქმა უნდაო, მიპასუხა ორივემ. შემდეგ კი ვკითხე:* ***„დავამთავრეთ საუბარი?“*** *სახეზე შევატყვე, მათთვის ეს მოულოდნელი იყო, ეტყობა, ელოდნენ, რომ დავიწყებდი მთელი რიგი დათმობების ან კომპრომისების მოთხოვნას“ (იქვე, გვ. 27).*

შევარდნაძე ისე ამბობს, ქვეყნის მართვა ნამდვილი ხელოვნებააო, თითქოს ამის თქმისას სწორედ მისი გამოზრდილი „ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები“ არ ესხდა წინ, ჩამოქცეულ სახელმწიფოში, უკაცრავად სლენგისთვის და თანამდებობიდან რომ „მოასრიალეს“!

შემდეგ მემუარისტი ყვება, როგორ შედგა ის ისტორიული სცენა, როდესაც მან ჟურნალისტებს პირდაპირ ეთერში განუცხადა, სახლში მივდივარო:

***„დაღლილი ვიყავი, მაგრამ გულზე სიმშვიდე მომეფინა — დაპირისპირება უმსხვერპლოდ და უსისხლოდ დამთავრდა. შევთავაზე, ჟურნალისტებთან სასაუბროდ ჯერ ისინი გასულიყვნენ, მაგრამ უარი თქვეს. ვატყობდი, ემოციურად ძალიან დატვირთულები იყვნენ. მაშინ გამოვეთხოვე და ქვედა სართულზე ჩავედი, სადაც უამრავ ჟურნალისტს მოეყარა თავი. შემომეხვივნენ და მეკითხებოდნენ, რით დამთავრდა შეხვედრა. ვუპასუხე, რომ გადავდექი, გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება. მკითხეს:***

*— ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?*

*— სახლში, — ვუპასუხე.*

*— კი მაგრამ, მერე?*

*— მერე ცხოვრება გვიჩვენებს“ (იქვე, გვ. 27).*

აი, ასე მორჩა ეს ამბავი — **ასე გადააბარა შევარდნაძემ ხელისუფლება „ბიჭებს“** — მიშას და ზურას! არადა, იმ დღეს მასთან რეზიდენციაში ერთი „გოგოც“ იყო — მისი პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძეც,** რომელმაც სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, შევარდნაძე ქმედუუნარო პრეზიდენტად გამოაცხადა და, როგორც ლეგიტიმურმა პარლამენტის თავმჯდომარემ, თავად იტვირთა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქცია! და ამიტომაც შევარდნაძემ **ნინო ბურჯანაძე** საერთოდ ამოშალა ამ ისტორიიდან...



## სოროსის „შავი ფულით“ მოწყობილი რევოლუცია

რომ შევაჯამოთ, **შევარდნაძე** „ვარდების რევოლუციის“ შეფასებისას ღიად ამბობს:

***„ნოემბრის მოვლენებს წინ უძღოდა ოპოზიციის მიერ კარგად დაგეგმილ მოქმედებათა მთელი რიგი. სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო აპარატი არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. მეტიც, ჩემი ნდობით აღჭურვილი მაღალი რანგის ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე მზად იყო, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ოპოზიციასთან გარიგებაზე წასულიყო, რაც შემდგომში გაცხადდა კიდეც. მოკლედ, თამაშდებოდა „იუგოსლავიური სცენარი“ სპეციფიკური ქართული ელემენტებით, შესაბამისი რეჟისურით და ინსპირირებით“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 18).*

**ანუ შევარდნაძე აღიარებს, რომ სააკაშვილ-ჟვანიასთან გარიგებულმა მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა ის გაყიდეს!** შევარდნაძე ასევე პირდაპირ ამბობს, რომ **„ვარდების რევოლუციაში“ ჩართულები იყვნენ როგორც ამერიკულ-ლიბერალური, ასევე რუსული რეაქციული ძალები:**

*„ოპოზიციის სამზადისი საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი გახლდათ. ასევე ნუ დავივიწყებთ* ***ზოგიერთ რუსულ და ამერიკულ ორგანიზაციას,*** *რომლებიც საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართული ამ პროცესებში.* ***რუსეთის რეაქციულ წრეებში ბევრს ეამებოდა ჩემი პოლიტიკური მარცხი,*** *რადგან შევარდნაძე მათთვის გაიგივებული იყო საბჭოთა კავშირის „ვერაგ“ დამანგრეველთა ჯგუფთან და კიდევ მრავალ სხვა „უბედურებასთან“, „დერჟავას“ რომ დაატყდა თავს“ (იქვე, გვ. 19).*

რა თქმა უნდა, **შევარდნაძე** იქვე ახსენებს **სოროსის ფონდსაც,** თუმცა, კატეგორიულად უარყოფს, რომ „ვარდების რევოლუციაში“ ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტი **ჯორჯ ბუშის** მთავრობა იყო ჩართული — **სოროსი თავად ბუშსაც ებრძოდაო და ეს მართლაც ასე იყო:** სოროსი ჯორჯ ბუშის საწინააღმდეგო მიტინგებზე და კონგრესში მის საიმპიჩმენტოდ მილიონებს ხარჯავდა!

დაბოლოს, **სააკაშვილის** უმნიშვნელოვანესი აღიარება — **სოროსის მონაწილეობა „ვარდების რევოლუციაში“:**

***„ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში სოროსი თვითონ გამოვიდა ჩემზე და მითხრა, რომ სურს, დახმარებოდა დემოკრატიულ მოძრაობას, რომელსაც, მისი აზრით, ებრძოდა ბადრი პატარკაციშვილი.*** *ამ ყოველივეს მიღმა იგულისხმება ასეთი ამბავი:* ***ბადრი პატარკაციშვილი*** *იყო* ***ბერეზოვსკის*** *მთავარი პარტნიორი, ხოლო* ***ბერეზოვსკი*** *იყო* ***სოროსის*** *პირადი მტერი მას შემდეგ, რაც მან* ***სოროსს*** *ჩაუშალა „სვიაზ ინვესტის“, რუსული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ყიდვა და, პრაქტიკულად, უკანა კარებიდან თვითონ გაიტანა რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი ქონება, რომელზეც თვალი ჰქონდა დადგმული სოროსს და მისი პრივატიზაცია უნდოდა“ (მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 325).*

სააკაშვილი პირდაპირ აცხადებს, **„კმარა“** დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია კი არა, ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ფრთა იყოო:

***„იმ წლებში, ვინაიდან ჩვენ გვიპირისპირდებოდა ბადრი პატარკაციშვილი, სოროსმა გამოთქვა სურვილი, დაეფინანსებინა „კმარა“, ჩვენი ახალგაზრდული მოძრაობა და აქტივობები, რომელიც საქართველოში უკავშირდებოდა იმას, რასაც აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“. ამგვარად, მაშინ, იმ პირობებში, სოროსის როლი იყო გადამწყვეტი, რადგან ჩვენ, პრაქტიკულად, ფული არ გაგვაჩნდა. პატარკაციშვილი აფინანსებდა „ბურჯანაძე-დემოკრატებს“, აფინანსებდა „ახლებს“, ფულს აძლევდა აგრეთვე შევარდნაძეს და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ და ჩემი ახლოს გაკარებასაც კი ხელისუფლებასთან“*** *(იქვე, გვ. 326).*

და აქვე, სააკაშვილი აკეთებს კიდევ უფრო **სკანდალურ აღიარებით ჩვენებას:**

***„ამგვარად, ზუსტად ამ ნიშაში და ამ პირობებში, როცა სხვა წყაროები ჩვენ არ გაგვაჩნდა საქართველოში*** *(მართალია, სოროსის ფული საკმარისი არ იყო),* ***„კმარას“ დაფინანსება და სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება ძალიან მნიშვნელოვანი იყო; თუნდაც რამდენიმე ათეული ათასი დოლარი, რომელიც ჩვენმა წარმომადგენლებმა კონტრაბანდულად ჩამოიტანეს სოროსის ბანკირისგან ჟენევიდან“*** *(იქვე, გვ. 326).*

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სააკაშვილმა საკუთარი პირით აღიარა:

**„ვარდების რევოლუცია“ სოროსის ფულით — თანაც, კონტრაბანდული გზით შემოტანილი ფულით მოხდაო!**

***გიორგი გიგაური***

**დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №48–49**

# ჰიპოკრატე: როდესაც ავად ხართ და იკვებებით, ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზსაც კვებავთ და აძლიერებთ!



## კახა საბახტარიშვილი:

# შაქარი კიბოს ძირითადი საკვებია!

**„კიბოს დასამარცხებლად აუცილებელია, პირველ რიგში, მას შაქარი შევუზღუდოთ! შიმშილობით ამის გაკეთება ძალიან ადვილია, რადგან, თუ ადამიანი საკვებს არ ღებულობს, ცხადია, ვერც შაქარს მიიღებს!“**



***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი შიმშილობის საშუალებით კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდიკაზე გვესაუბრება და აცხადებს, რომ შიმშილობის დროს ირთვება აუტოფაგიის მექანიზმი და ვითარდება მიტოფაგია, ანუ პროცესი, როცა ორგანიზმი დაზიანებულ და კიბოს გამომწვევ მიტოქონდრიებს გადაამუშავებს და მოინელებს:***

— კიბოზე, როგორც კაცობრიობის ნომერ პირველი პრობლემისა და მოურჩენელი სენის შესახებ, ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ. უდიდესი ქართველი მეცნიერისა და საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი **ალექსანდრე ბაჩეჩილაძით** დაწყებული, პროფესორ **ტულიო სიმონჩინით** დამთავრებული, რომელიც მსოფლიო ფარმაცევტულმა მაფიამ პირდაპირი მნიშვნელობით ჯვარს აცვა, საგაზეთო ინტერვიუებში არაერთ მეცნიერსა და მკვლევარზე გვისაუბრია, რომელიც კიბოს დასამარცხებლად ალტერნატიულ გზებს ეძებს, მაგრამ არასდროს არაფერი გვითქვამს **შიმშილობის, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო უაღრესად ეფექტური მეთოდის** შესახებ. „მედიცინის მამად“ წოდებული **ჰიპოკრატე** ჯერ კიდე 2500 წლის წინათ წერდა — **„როდესაც ავად ხართ და იკვებებით, ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზსაც კვებავთ და აძლიერებთ!“**

**— ანუ ჰიპოკრატეს თანახმად, ავადმყოფმა უნდა იშიმშილოს?**

— დიახ, **ჰიპოკრატე** ფიქრობდა, რომ ავადმყოფი შიმშილობით გამოჯანმრთელების პროცესს დააჩქარებს! ჰიპოკრატეს გენიალურობა ათეული საუკუნეების შემდეგ თანამედროვე მედიცინამაც დაამტკიცა, როცა 2018 წელს იაპონელ მეცნიერს **იოსირო ოსუმის** აუტოფაგიის აღმოჩენისა და მისი მეცნიერული დასაბუთებისთვის ნობელის პრემია მიენიჭა. მკითხველს შევახსენებთ, რომ **აუტოფაგია** ისეთი მდგომარეობაა, როცა ორგანიზმი 18-20 საათის განმავლობაში, წყლის გარდა, არანაირ საკვებს არ ღებულობს. ასეთ დროს საოცარი პროცესების განვითარების მოწმენი ვხდებით. კერძოდ, **ამ ხნის განმავლობაში ორგანიზმი გადაამუშავებს დაზიანებულ, სიმსივნურ, მკვდარ უჯრედებს, ქმნის მისგან საშენ მასალას ამინომჟავების სახით, ხოლო ამინომჟავებისგან — ახალ ცილებს!** მარტივად რომ ვთქვათ, აუტოფაგიის დროს ორგანიზმი სუფთავდება, ჯანმრთელობისთვის საშიში, უვარგისი პროდუქტებისგან იწმინდება და განახლების პროცესი მიმდინარეობს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა **პოლ ბრეგის წიგნი „შიმშილობის სასწაული“**, სადაც ავტორი შიმშილობის მეშვეობით სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის მეთოდიკას აღწერდა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ **პოლ ბრეგი** შიმშილობის მეშვეობით კიბოს მკურნალობის მეთოდიკაზე, ფაქტობრივად, არაფერს გვეუბნება. ამას თავისი ახსნაც აქვს — **როცა პოლ ბრეგი ამ წიგნს წერდა, კიბოს ბუნების შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.**

**— საინტერესოა, რა მექანიზმით მოქმედებს შიმშილობა კიბოზე?**

— ყოველ უჯრედში არსებობს ერთი განსაკუთრებული სტრუქტურა, რომელსაც **მიტოქონდრია** ეწოდება. მიტოქონდრია უჯრედის ელექტროსადგურია. სწორედ მიტოქონდრია გამოიმუშავებს უჯრედის სიცოცხლისთვის აუცილებელ ენერგიას. ის შესაძლოა, შევადაროთ მანქანის აკუმულატორს, რომლის გარეშეც მანქანა, ფაქტობრივად, უსარგებლო ნივთია. უკვე დამტკიცებული ფაქტია, რომ სიმსივნე ვითარდება მაშინ, როცა მიტოქონდრია ზიანდება!

**— რა აზიანებს მიტოქონდრიას?**

— მიტოქონდრიის დამაზიანებელი ფაქტორები სხვადასხვაა: რადიაცია, კანცეროგენური ნივთიერებები, ტრავმა, ანთება და ა.შ. მაგრამ უმთავრესი, რაც მიტოქონდრიას აზიანებს, **შაქარია.** მიტოქონდრია მიღებულ საკვებს ჟანგბადის მეშვეობით ენერგიად გარდაქმნის, ხოლო, როცა მიტოქონდრია დაზიანებულია, უჯრედი ენერგიის წარმოსაშობად გლუკოზის, ანუ შაქრის ფერმანტაციას ახდენს ჟანგბადის გარეშე. ამის შედეგად ჯანმრთელი უჯრედი სიმსივნურ უჯრედად გარდაიქმნება.

**შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ შაქარი კიბოს ძირითადი საკვებია!** აქ იგულისხმება ყველა სახის შაქარი — **სახამებელი, გლუკოზა, ფრუქტოზა, ლაქტოზა, მალტოზა, გალაქტოზა** და ა.შ. ამ აღმოჩენისათვის გერმანელ მეცნიერ **ოტო ვარბურგს** ნობელის პრემია მიენიჭა.

სიმსივნურ უჯრედში ინსულინის რეცეპტორები ორმოცდაათჯერ მეტია, ვიდრე ჯანმრთელ უჯრედში. კიბო შაქარს პირდაპირ ისრუტავს, რის შედეგადაც კიბოს უჯრედი, ფაქტობრივად, „უკვდავი“ ხდება, განუწყვეტლივ მრავლდება და მთელ ორგანიზმს იპყრობს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიბოს დასამარცხებლად აუცილებელია, პირველ რიგში, მას საკვები — შაქარი შევუზღუდოთ! შიმშილობით ამის გაკეთება ძალიან ადვილია, რადგან, **თუ ადამიანი საკვებს არ ღებულობს, ცხადია, ვერც შაქარს მიიღებს, რომელიც სხვადასხვა სახით თითქმის ყველა პროდუქტშია.**



**— შაქრის გარდა კიბოს უჯრედი კიდევ რით იკვებება?**

— ცილების შემადგენლობაში მრავალი ამინომჟავაა. მათ შორის გამოვარჩევ ორ მათგანს — **გლუტამინსა და არგინინს.** ეს ამინომჟავები თითქმის ყველა სახის ცილებში გვხვდება. ზოგიერთი სახის კიბოს უჯრედი სწორედ ამ ამინომჟავებით იკვებება. შაქარი და შაქრის შემცველი პროდუქტები ჩვენს თავს შესაძლოა, ავუკრძალოთ, მაგრამ ცილების გარეშე ორგანიზმი ვერ გაძლებს. ამიტომ გამოსავალი ერთია — **სიმსივნურმა პაციენტმა რაც შეიძლება ნაკლები ცილა უნდა მიიღოს!**

**— ეს რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც კიბო აქვს, **ხორცი, სოიო, ლობიო, ბარდა და სხვა პროდუქტები, სადაც მცენარეული ცილებია,** ნაკლები ოდენობით უნდა მიიღოს! გავითვალისწინოთ ისიც, რომ **ამინომჟავა არგინინი ბევრია ხილში, კაკალში, ნუშში... თითოეული მათგანი ძალზე სასარგებლო პროდუქტია, მაგრამ სიმსივნურმა პაციენტებმა ისინი ნაკლები ოდენობით უნდა მიიღონ.** გამონაკლისია **ფსტა,** რომელიც არგინინს არ შეიცავს.

სიმსივნური პაციენტებისთვის შიმშილობის დროსაც კი აუცილებელია **მწვანე ჩაის** დღეში რამდენჯერმე მიღება. იგი შეიცავს სპეციალურ ნივთიერებას, რომელიც ამინომჟავა **გლუტამინს** ბლოკავს. გლუტამინი კი, როგორც აღვნიშნეთ, გლუკოზის შემდეგ სიმსივნური უჯრედის საყვარელი საკვებია. შიმშილობის დროს ირთვება აუტოფაგიის მექანიზმი და ვითარდება მიტოფაგია, ანუ ისეთი პროცესი, როცა ორგანიზმი დაზიანებულ და კიბოს გამომწვევ მიტოქონდრიებს გადაამუშავებს და მოინელებს! საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ შიმშილობის დროს, ორგანიზმის აუტოფაგიის უნარს დიაბეტი, ალკოჰოლი და ცხიმოვანი ჰეპატოზი ამცირებს.

**— შიმშილობის დროს ადამიანის იმუნიტეტს რა ემართება?**

— შიმშილობის დროს ადამიანის იმუნური სისტემა ძლიერდება! კონკრეტულად, შიმშილობა ააქტიურებს ძვლის ტვინის ღეროვან უჯრედებს და ხელს უწყობს ორგანიზმში სიმსივნის საწინააღმდეგო **T უჯრედების, ანუ T „კილერების“** გამრავლებას. ერთი ფაქტი მაოცებს — მთელ მსოფლიოში კიბოს სამკურნალოდ ქიმიოთერაპიასა და რადიოთერაპიას მიმართავენ, თუმცა, ყვე-

# «გვახსოვდეს, კიბო ყოველთვის იმ ქსოვილში ვრცელდება, სადაც ანთებაა!“

## კვირგვინოსნები

### კობი ჰალპერინი

*დიზაინერი, ფრანგული მოდის სახლის „მანუელ უნგაროს“ ქალის კოლექციების ხელმძღვანელი*



**ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ საქართველოში,** თქვენი ქვეყანა ჩემი სამოგზაურო ქვეყნების სიაშია. **არ ვაპირებ,** შევქმნა ისეთი რამ, რაც აქამდე არ გინახავთ, **არ ვაპირებ** თქვენს გაოცებას. **მე ვაპირებ მარტივი სამოსის შექმნას, რომელიც ლამაზს გამოგაჩენთ.**

„კვირის პალიტრა“

### ნიკოლოზ (ნიკა) ხარიძე

*ტელეწამყვანი*



ყოველთვის ვაკონტროლებ წონას. **ამოღებული მაქვს ცომეული, ცხიმიანი საჭმელი. ფეხით დავდივარ ძალიან ბევრს,** არ მყავს მანქანა და, ვფიქრობ, არც მეყოლება, რადგან ფეხით სიარულს ვერ შევეშვები.

„სარკე“

### თათა გიორგობიანი

*მომღერალი*



რაც ნაკლები თვალი უყურებს ურთიერთობას, მით უფრო კარგია. **შოთა რუსთაველმა** დაგვიბარა — **სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსაო** და მინდა, ისევ ასე გავაგრძელოთ.

„თბილისელები“

### მარიკა თხელიძე

*მომღერალი*



ბევრმა ადამიანმა **ჩემს ბედნიერებას ვერ გაუძლო,** ზოგი თავად წავიდა, ზოგიც მე ჩამოვიცილე.

„თბილისელები“




ლამ იცის, რომ ორივე ეს მეთოდი იმუნიტეტს ანგრევს. ამასთან, ყველასთვის ცნობილია ნობელიანტების — **ოტო ვარბურგისა და იოსიმორო ოსუმის** შრომების შესახებ, მაგრამ სიმსივნის მკურნალობის არცერთ პროტოკოლში არაფერია ნათქვამი **შიმშილობით თერაპიაზე.** არადა, უამრავი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც სიმსივნურმა პაციენტებმა, რომლებიც ქიმიოთერაპიასა და რადიოთერაპიას იტარებდნენ და პარალელურად შიმშილობდნენ, ეს მძიმე პროცედურები იოლად გადაიტანეს. შესაბამისად, ქიმიოთერაპიისა და რადიოთერაპიისაგან მათ მაქსიმალური ეფექტი მიიღეს.

**როდესაც ადამიანი შიმშილობს, ორგანიზმში ანთებითი კერები ქრება. საერთოდ, გვახსოვდეს, კიბო ყოველთვის იმ ქსოვილში ვრცელდება, სადაც ანთებაა!** არცთუ იშვიათია ძველი ტრავმების ადგილას სიმსივნის განვითარება. არაერთი პაციენტი მყოლია მკერდის სიმსივნით, რომლებსაც აღუნიშნავთ, რომ წლების წინათ მკერდში ტრავმული დაზიანება მიიღეს და ამას ყურადღება არ მიაქციეს. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე თავის ტვინის ტრავმის დროს. სხვათაშორის, ჰომეოპათიაში არსებობს უნიკალური პრეპარატი **„კონიო“**, რომელიც ტრავმით გამოწვეული სიმსივნეების სამკურნალოდ შეუდარებელია. ამ პრეპარატს მეორე პრეპარატ **„არნიკასთან“** ერთად ყველა იმ პაციენტს ვაძლევ, რომელსაც ტრავმა აქვს გადატანილი.

**— მაინც როგორი ადამიანები არიან სიმსივნისკენ მიდრეკილი?**

## – ყველა ის ადამიანი, რომელსაც ინსულინისა და ესტროგენის მაღალი დონე აღენიშნება, სიმსივნის განვითარების რისკ-ჯგუფშია!

ინსულინიც და ესტროგენიც ანაბოლური ჰორმონებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი სიჭარბე კიბოს უჯრედების გამრავლებას ხელს უწყობს. შიმშილობა კი ინსულინისა და ესტროგენების დონეს ამცირებს და ორგანიზმს კიბოსგან ამ მხრივაც იცავს!

**— მაინც რომელი საკვები შეიცავს ქალთა სასქესო ჰორმონ ესტროგენს?**

— ესტროგენებს ძირითადად **რძე და სოიო** შეიცავს. ამიტომ, ვისაც კიბო აქვს, რძეს, რძის პროდუქტებს, სოიოსა და სოიოზე დამზადებულ საჭმელებს არ გაეკაროს!

**— თუ შაქარი კიბოს მთავარი საკვებია, მაშინ რატომ არ მძვინვარებს ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში კიბოს ეპიდემია, სადაც შაქრისა და ათასგვარი ნუგბარის კულტია?**

— საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც შაქარსა და ტკბილეულს უზომოდ მოიხმარენ, სიმსივური დაავადებები ყველაზე იშვიათია. საერთოდ, მიჩნეულია, რომ ყოველ 100 ათას მოსახლეზე საშუალოდ კიბოს 200 შემთხვევა ფიქსირდება. საუდის არაბეთში ეს მაჩვენებელი 96-ს არ აღემატება, ყატარში — 97-ს, ომანში — 105-ს, ირანში — 110-ს მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს რიცხვი 350-ია, უნგრეთში — 380, ხოლო ავსტრალიაში — 485! ვფიქრობ, საქართველოში ეს მაჩვენებელი ავსტრალიაზე ნაკლები არ იქნება. **არაბულ ქვეყნებში, შაქრის ჭარბად მოხმარების მიუხედავად, კიბოს გავრცელების ასეთი დაბალი დონე რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზია რამადანი, როცა მუსლიმები მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე არანაირ საკვებს არ ღებულობენ.** ეს დღესასწაული მთელი ერთი თვის განმავლობაში გრძელდება და სხვა არაფერია, თუ არა შიმშილობის ერთ-ერთი სახე, როცა აუტოფაგიის მექანიზმი მოქმედებაში მოდის, ხოლო ორგანიზმი თავად ანადგურებს სიმსივნურ უჯრედებს.

გარდა ამისა, მუსლიმებში მიღებულია კვირის განმავლობაში 2 დღით შიმშილობაც... **მეორე ფაქტორი ის არის, რომ არაბულ ქვეყნებში მწეველი ქალების რიცხვი 3 პროცენტამდე მერყეობს.** სიგარეტი, ერთი მხრივ, იწვევს უჟანგბადობას, რაც სიმსივნურ პროცესს ძალიან ახალისებს, ხოლო, მეორე მხრივ, ფილტვის ქრონიკულ ანთებას. თამბაქოს კვამლში 5 ათასამდე სხვადასხვა შხამია და მათ შორის 70 კანცეროგენი, რომელიც მიტოქონდრიებს აზიანებს. **მესამე და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ის, რომ არაბულ ქვეყნებში ფართოდ იყენებენ სხვადასხვა სახის სანელებლებს — კურკუმას, ჯანჯაფილს, კარის და ა.შ.** თითოეულ ამ პროდუქტს ძლიერი ანტისიმსივნური თვისება აქვს.

**— თქვენ რას ურჩევდით ამ კუთხით სიმსივნით დაავადებულებს?**

— ჩვენი რჩევაა, ყველა სიმსივნურმა პაციენტმა აუცილებლად მიიღოს **ნიორი.** მასში შემავალი **ალიცინი** ბლოკავს სიმსივნურ უჯრედს, იცავს ორგანიზმს ქიმიოთერაპიის მავნე ზემოქმედებისგან და ღვიძლის კიბოს დროს ღვიძლში აუტოფაგიის პროცესს აქტიურებს. მსოფლიოში სახელგანთქმულმა **ჰოპკინსის კლინიკამ** მეცნიერულად შეისწავლა ნივრის მოქმედება სიმსივნურ უჯრედებზე და გადაწყვიტა, მიეღო პატენტი, მაგრამ მას სასამართლოში უჩივლეს ამერიკელმა ნივრის მწარმოებლებმა და პატენტის გამოყენების უფლება არ მისცეს. ფერმერები ამტკიცებდნენ, რომ ნიორი ფართოდ გავრცელებული ბოსტნეულია და არ შეიძლება, რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას ან ორგანიზაციას, მის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებაზე მონოპოლია ჰქონდეს!




*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***










## კვირგვინოსნები

**ნოდიკო ტატიშვილი**
*მომღერალი*



ჩემს ამერიკაში წამოსვლასთან დაკავშირებით დიდი აჟიოტაჟი ატყდა. წერდნენ, **ყველა გარბის ქვეყნიდან და ნოდიკოც გაიქცაო.** სინამდვილეში არსად არ გავქცეულვარ და ჩემს ცხოვრებაში რაც არ უნდა მოხდეს, **ჩემი სამშობლო არის და იქნება საქართველო.**

„თბილისელები“

**ალეკო თეთრაშვილი**
*მსახიობი, პაროდისტი*



**უბოროტო ტყუილს ნორმალური ადამიანი დღეში 30-ჯერ მაინც ამბობს.** ჩემმა ცოლმა მკითხა ამ დილას საჭმელზე, რომ დაგიტოვე, შეჭამეო? კი, ბოლომდე-მეთქი ვუთხარი და ამ დროს სანაგვე ყუთში ჩავაგდე.

„თბილისელები“

**ირინა ბაირამაშვილი**
*მომღერალი*



ბოლო დროს **სულ ორსულად ვარ** და ეს ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა მგონია. საახალწლო კონცერტებზე ისეთ შორ ქალაქებში მიწევს გამოსვლები, **ჩემს მეუღლეს ვეუბნები, მინიმუმ, ჭიპლარის გადაჭრა მაინც ისწავლე, სადმე გზაზე მშობიარობა არ დამეწყოს-მეთქი.**

„სარკე“

**ხატია შამუგია**
*პიარ-მენეჯერი*



**როცა ადამიანი დახმარებას მთხოვს,** თან თუ საქმე შვილის სწავლას ან ჯანმრთელობის პობლემას ეხება, **არც დავფიქრდები, ისე გავუმართავ ხელს.** მხოლოდ საკუთარი თავისთვის ხომ არ ცხოვრობ, შენი ცხოვრებით სხვასაც უნდა არგო.

„სარკე“

# რანი ვიყავით, რანი ვართ-

ელიზბარ ჯაველიძე

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2023 წლის №49*

## მიშაც მოგვევლინეს!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიშა სააკაშვილი არა არჩევნებით, არამედ ამბოხითა და, გნებავთ, რევოლუციის გზით მოვიდა ხელისუფლებაში. **ეს იყო ერთგვარი ფერადი რევოლუცია, რომელიც ამერიკელების მიერ იყო შემუშავებული და ევროპაში ფრიად გავრცელებული ფორმა მიიღო, საქართველოში კი „ვარდების რევოლუციის“ სახელით მოინათლა.**

ახლაც კარგად მახსოვს — **მორფინისტთა ერთმა ჯგუფმა,** რომელმაც იმ ცოდვით სავსე ღამეს პარლამენტში გაათენა, ერთჯერადი შპრიცებით გაავსო იქაურობა **(რაც საკუთარი თვალით ვიხილე)** და მუჯლუგუნებითა და ჯიკავ-ჯიკავით შემოაგდო შეშინებული მიშა სხდომათა დარბაზში. **არც ის მავიწყდება, პრეზიდიუმის მაგიდაზე მაიმუნივით როგორ ხტოდა და იმანჭებოდა ქეზერაშვილი — ნაცების ერთგული და ე.წ. ოპოზიციის „დიდი მეცენატი“.** მოკლედ, ჩვენი პარლამენტის სხდომათა დარბაზი ცირკის არენას დაემსგავსა. მისი ეს პერფორმანსი და სპეციფიკურობა შემდგომ კარგა ხანს სდევდა მიშას და მის ერთგულ თანამებრძოლებს. ყოველ შემთხვევაში, გამჭრიახი თვალი მათ ქცევაში ნამდვილად აღმოაჩენდა **გაუწვრთნელი მაიმუნის ხტუნვა-დრეკას.**

პირადად ბავშვობიდანვე კარგად ვიცნობდი საქართველოს მომავალი პრეზიდენტის სულიერ თუ ფიზიკურ სამყაროს. ცვალებადი ბუნება-ხასიათისა იყო, ხან უმიზეზოდ მოიღუშებოდა, ხან კი უადგილოდ სიცილს ატეხდა. **ის ვერც მოწიფულ ასაკში ჩამოყალიბდა იმ არსებად, რომელიც საკუთარი შეხედულებით რაიმეს გადაწყვეტდა. დაბნეული — ხან დედას, ხანაც ბებიას მისჩერებოდა.** ასე რომ, არ გამკვირვებია, როცა მან ვერ გადაწყვიტა, რომელ იმპერიას მიკედლებოდა — **რუსეთს თუ ამერიკას?** მაიმუნივით ხან ერთ „ხეს“ შეახტებოდა, ხან — მეორეს. მთავარი მაინც ის იყო, რომ იგი ეძებდა იმ საყრდენს, ადგილს, სადაც თავს მშვიდად დაიგულებდა და სავსებით არ აინტერესებდა ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ხალხის ბედ-იღბალი.

ერთი სიტყვით, მის მაიმუნის მსგავს ხტუნვას აპირობებდა ერთადერთი მიზეზი, ანუ **„მე“**-ს კეთილდღეობა და უშიშროება და კიდევ ერთი ცხოველური ინსტინქტი, რომელიც მას იცავდა მომავალი კრახისა და უბედურებისგან და ის გონებრივი განსჯა, რაც ყველა ადამიანს უნდა ახასიათებდეს, თუკი მას ადამიანური თვისებები არ დაუკარგავს და მაიმუნად არ ქცეულა. აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ **ის გამჭრიახი გონება და ეშმაკობა ედუარდ შევარდნაძეს რომ ამშვენებდა** (ორივე ქვეყანასთან — რუსეთთანაც და ამერიკასთანაც საერთო ენა გამოენახა), **სავსებით არ გააჩნდა და ამიტომაც ინსტინქტით ამერიკის ერთგული მსახური თუ მონა გახდა.** იგი უპირობოდ, ყურმოჭრილი მონასავით ასრულებდა იმას, რასაც უბრძანებდა **ამერიკის საელჩო,** რომლის მთავარი დანიშნულება იყო გავრცელება და დაფუძნება იმ იდეოლოგიისა, მსოფლიო რომ უნდა ემართა მხოლოდ ამერიკას და ამგვარად, მივიღებდით ერთპოლუსიან სამყაროს. ამისთვის კი ამერიკის საელჩოების უმთავრესი მიზანი და ფუნქცია იყო:

**1.** დაეფინანსებინა და მოემზადებინა ადგილობრივი მოსახლეობისგან ანტისამთავრობო და ანტიეროვნული ჯგუფები, რომელსაც უნდა დაემხო „დიქტატორული რეჟიმები“, როგორც ნათლავდნენ იმ ხელისუფლებას, მათ ნებას რომ არ ემორჩილებოდა;

**2.** მეტიც, აშშ-ის კონგრესი ოფიციალურად აცხადებდა „არალეგიტიმურად“ ყველა იმ ხელისუფლებას თუ პოლიტიკურ სისტემას, რომელსაც ის მიიჩნევდა არასასურველად და ე.წ. არაძალადობრივი გზით ცდილობდა მის დამხობას;

**3.** აშშ-ის კონგრესი მიიჩნევს, აცხადებს და სამართლებრივად იმკვიდრებს უფლებას, თავად გადაწყვიტოს რომელ ქვეყანაში რომელი ხელისუფლება შეცვალოს;

**4.** აშშ-ის ხელისუფლებამ საგარეო სამინისტროსთან შექმნა სპეციალური დეპარტამენტი, რომელმაც უნდა წარმართოს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ამერიკა ისურვებს, „დემოკრატიული რევოლუციები“;

**5.** ამერიკის საელჩოები ლიბერალური და „დასავლეთუმე“ ადამიანებისაგან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან ქმნიან ოპოზიციურ ჯგუფებს, რომლებსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მსოფლიო საზოგადოების სახელით აცხადებს ხალხის „ჭეშმარიტ“ წარმომადგენლებად. სწორედ მათი მეშვეობით ამხობს არასასურველ ხელისუფლებას;

**6.** აშშ უარყოფს გაეროს წევრი ხალხების სუვერენულ უფლებებს — დაადგინოს სახელმწიფოს მოწყობის სასურველი ფორმა, აირჩიონ საკუთარი ხელისუფლება, რაც საერთაშორისო უფლებებისა და ურთიერთობების ფუნდამენტური საფუძვლების დარღვევაა;

**7.** ამ კანონის მიხედვით მსოფლიოს ყველა ხალხი, რომელიც არადემოკრატიულად გამოცხადდება, მიიჩნევა უუნაროდ, დამოუკიდებლად შექმნას და წარმართოს სახელმწიფო. ამიტომაც გარდაუვლად საჭიროებს ამერიკის დახმარებას.

**ერთი სიტყვით, საელჩოებს, რომლებსაც „თავისუფლების კუნძულებად“ მოიხსენიებენ, აშშ „თავისუფლების“ დამყარების ფუნქციას აკისრებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას ყოველგვარი ხერხისა და მეთოდის გამოყენებით ისინი, ვინც „ქრისტიანი ბარბაროსების“ რწმენის, ეროვნების და ეროვნული ტრადიციების დაცვას ცდილობდნენ, „ფაშისტებად“ უნდა გამოეცხადებინა, აელაგმა და დაემკვიდრებინა ამერიკული „დემოკრატია“, სხვაგვარად, ამერიკული ნება და მიზანი მსოფლიოს ერთპოლუსიანი სტრუქტურის შექმნის თაობაზე, რაც ეფუძნებოდა უკიდურეს ლიბერალიზაციას და, ვიტყოდი, ცხოველურ თავისუფლებას, რაც საყოველთაოდ უნდა ეღიარებინათ.**



ეს ჩვენი ამერიკის ელჩი **დეგნანი** დეგენერატი არ გახლდათ და სწორედ იმას ასრულებდა, რასაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ავალებდა, მისი ცვალებადი პოზიციაც იმით იყო განპირობებული, თუ რომელი პარტია — „რესპუბლიკელები“ თუ „დემოკრატები“ იყვნენ სათავეში. **ასე რომ, თუ აშშ-ის კონგრესში რესპუბლიკელებმა არ გაიმარჯვეს, დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს ახალი ელჩისა. მეტიც, ის უფრორე უკიდურეს ზომებს მიიღებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების შესაცვლელად, თუკი მათ არ უკუაგდეს დევიზი: „ჩვენ ვიქმთ იმას, რაც საქართველოს და ქართველ ხალხს სწადია და ესაჭიროება“.**

ახლა პირველსავე სიტყვას მოვიდეთ და დავუბრუნდეთ ჩვენს „ღირსეულ“ პრეზიდენტს — **მიხეილს,** რომელმაც ანტიქართველობით და ერის სიძულვილით შევარდნაძეს დიდად გადააჭარბა.

უპირველეს ყოვლისა, ის თავის პერსონას ეროვნულობის ცნებაზე მაღლა აყენებდა, რაც ნათლად ცხადდება დედა-შვილის საუბრითაც: **გიული საყვედურობს მიშიკოს, ახლა ხშირად ისმის, რომ შენ არაქართველი, არამედ სომეხი ხარ, შენ კი ზომებს არ იღებ ამ გაუგებრობის უარსაყოფად.** მიშკა დინჯად პასუხობს: შენ დედაჩემი ხარ და ძალიან მიკვირს, ამ წვრილმანზე რომ მესაუბრები (?!) **ჩვენ ეროვნებაზე მაღლა ვდგავართ, ჩვენ მსოფლიო მოქალაქეები ვართ...** ჰოდა, ეს მსოფლიო კიდობნის მერცხალი ვერ იტანდა ვერც საქართველოს მდიდარ ისტორიას, უძველეს ქართულ კულტურასა და ხელოვნებას, ებრძოდა ქართულ ტრადიციებს და სძულდა ყველა, ვისაც სამშობლო უყვარდა, დასდევდა პატრიოტებს და უსწორდებოდა მათ, ვინც ეროვნული გრძნობის ნიშან-თვისებას ავლენდა.

ერთი სიტყვით, **თემურ ლენგსაც არ სძულდა ქართველები ისე, როგორც ამ უსამშობლო არსებას.** ასე რომ, ჩვენი მიშა ის პერსონაჟი იყო, ამერიკის უკიდურეს ლიბერალურ და მასონურ წრეებს ერთობ რომ აწყობდათ და მის ჩადენილ ყოველგვარ სისაძაგლეს ქებითა და მოწონებით ხვდებოდნენ. იმავდროულად, ე.წ. „დასავლეთის სამყარო“ და აშშ ტაშს უკრავდა მას „დემოკრატიული სამოთხის“ შექმნისათვის და განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ სწორედ ეს არის ის დემოკრატია, ამერიკას რომ მოსწონს. **ამერიკული „დემოკრატია“ კი ყველაფერს მოიცავდა, გარდა ჭეშმარიტი დემოკრატიისა, რომელიც სულიერ სრულყოფილებას, თავისუფლებას, ზნეობრიობასა და სამართლიანობას ეფუძნება, ხოლო ის, რაც აშშ-ს მიაჩნია, ძალიან შორს იყო ზემოთ ხსენებული ნიშან-თვისებათაგან, რაც ჭეშმარიტ დემოკრატიას ახასიათებს.**

ჩვენმა პატივცემულმა მიხეილმა ისეთი დემოკრატია და ქვეყნად ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. როგორც ჩანს, მას ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა და არც უნდოდა, ჰქონოდა, უფრო სწორად, სრულიად არ აინტერესებდა, რა იყო ჭეშმარიტი დემოკრატია, უძველესი დროიდან რომ ესწრაფვოდა ხალხი. **მის ცხოველურ ინსტინქტს ამოძრავებდა ერთი პრინციპი: „დაე, ვძულდე, ოღონდ ეშინოდეთ“,** რასაც თავად აცხადებდა სიტყვით თუ საქმით. ფსიქოლოგი არ გახლავართ, მაგრამ ეს დევიზი ქვეცნობიერ ხასიათს ატარებდა. იგი ბავშვობაშიც ძალზე მშიშარა იყო და რომ წამოიზარდა, ყველაფერს აკეთებდა, რომ შიშის განცდა დაეძლია... და პირველი მისი მოწოდება თუ დევიზიც იყო: **ყველა განურჩევლად ციხეში... ულაპარაკოდ ციხეში!**

ამ მოწოდებას კი, წესიერ ადამიანებს რომ ზარავდა, დიდი მონდომებით და შემართებით ახორციელებდა: მისთვის ბავშვი იყო, მოზარდი თუ ახალგაზრდა, მოხუცი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, ყველას ციხეში ისტუმრებდა და შედეგი „დიდებული“ მიიღო: **საქართველომ პატიმრების რაოდენობით** (20.700), **ვგონებ, მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ არსებითი ის არის, რომ პატიმრები ისეთ მდგომარეობაში კი არ იყვნენ, როგორც ეს „ერის შვილი“ დღეს ლუქსში რომ ნებივრობს, არამედ, რაც იმხანად თავს ატყდებოდათ პატიმრებს, ნორმალური საზოგადოების ყოველგვარ ფანტაზიას ცდება, წარმოუდგენელი და დაუჯერებელია:**

1. ყოველგვარი მიზეზის გარეშე ფიზიკური ხელყოფა და ხელებით, წიხლებით და ხელკეტების მოშველიებით გამეტებული ცემა, ვიდრე გონებას არ კარგავდნენ.

2. მამაკაცების გაუპატიურება სხვადასხვა ფორმით: მაგიდაზე მიბმული და გაკოჭილი, პატიმრის მეუღლის და შვილის თვალწინ კოჭლ კაცს, რომელსაც ვიაგრას ასმევდნენ, სხვადასხვა პოზიციით აიძულებდნენ სექსს. **სადაც ასო ვერ მოქმედებდა, ხელკეტით ასრულებდნენ საქმეს. გათოკილი მამის თვალწინ — ქალიშვილის და ქმრის თვალწინ მეუღლის გაუპატიურება და სხვა ათასგვარი შემზარავი ფორმები, რასაც ადამიანის ღირსების ჩაკვლა და ფიზიკური სიკვდილი მოსდევდა.**

3. დასჯისა და წამების გაუგონარი მეთოდები: სიგარეტით ალაგ-ალაგ სხეულის დაზიანება, გაკოჭილი პატიმრის სკამზე მიბმა და ორივე მხრიდან ერთდროულად ყურებში მუშტების თუ სილების შემოკვრა, რაც საშინელ ტკივილს იწვევდა. გარდაცვლილ, მკვდარ პატიმართან ღამის გათენების იძულება და ა.შ.

4. ბოლოს, ერთგვარი პრეტენზიის მქონეთ ამბოხი დააბრალეს და ავტომატებით ჩაცხრილეს საკნებშივე.

5. **ცნობილია, რომ დღეში ორი-სამი პატიმარი კვდებოდა, მაგრამ ისინი მიცვალებულთა სიაში არ შეჰყავდათ. ძირითადად, ეს ის პატიმრები იყვნენ, ვინც სხვადასხვა გაუგებარი მიზეზით საავადმყოფოში ხვდებოდნენ და იქ იხოცებოდნენ. ასე რომ, გარდაცვლილ ადამიანთა რიცხვი დაუდგენელია და დღემდე ვერა და ვერ დადგინდა.**

ბოროტების სათავე — **მიხეილ სააკაშვილი,** მისი მარცხენა ხელი კი **ადეიშვილი** იყო. მეტიც, როგორც ამბობენ, „გულჩვილ“ მიშას არცთუ იშვიათად აჩვენებდნენ ამ წამების ეპიზოდებს და მასაც, ვითარცა კალიგულას, რომელსაც ხშირად სიამოვნებას ჰგვრიდა ხალხის წამება, ნეტარებას და სიხარულს ანიჭებდა.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ **პირველი ლედი, მიშიკოს მეუღლე სანდრა, იმხანად ხშირად სტუმრობდა პატიმარ ქალებს, რომლებსაც ჯანსაღ ორგანოებს აჭრიდნენ და მისი მეშვეობით უკრაინაში გზავნიდნენ, სადაც იმპლანტაცია, და, რაც მთავარია, ორგანოებით ვაჭრობა იყო გაჩაღებული.**

ამ პატიმართა ჯვარცმას არ დასჯერდა ჩვენი „დემოკრატიის შუქურა“ მიშა და იგი სწორედ იმ გზას დაადგა, რომელიც სრულიად შეესაბამებოდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას. **ის, უპირველეს ყოვლისა, შეუდგა საქართველოს ეკონომიკური საფუძვლის შერყევას: ჯერ შეეცადა და წელში გატეხა ის ქართველები, რომლებიც დიდი გარჯისა და წვალების შემდეგ ეკონომიკურად მომძლავრდნენ და სამშობლოს სიყვარული, ქართველი კაცის ღირსება არ დაკარგეს.** ეს კი სავსებით არ აწყობდა ამერიკის „დემოკრატიის“ თავდადებულ ქომაგს, მიშას, რომელიც თავისი დაუნდობლობითა და დესპოტური განცდით, კალიგულასაც უსწრებდა. **იგი ყველა ეკონომიკურად მომძლავრებული ქართველის მიწასთან გასწორებას ცდილობდა, რათა ყველას — ქალი იქნებოდა თუ კაცი, მის წინაშე მუხლებზე ებობღა.**

და დაიწყო და დაიწყო შემუსვრა იმ „პროვინციელი ფაშისტებისა“, თავი რომ ქართველებად მოჰქონდათ, თავისი ეროვნება არ ავიწყდებოდათ და ამით ამაყობდნენ კიდეც. ყველას იბარებდნენ მიშიკოს მარცხენა ხელთან — **ადეიშვილთან** და მშვიდად ეკითხებოდნენ — **რას ირჩევთ — ციხეს თუ თავისუფლებას?** უმეტესობა ამ უკანასკნელს ირჩევდა. თუ თავისუფლება გსურს, მაშინ შენი ქონება უნდა გადმოგვიფორმოო, და იქვე მათი დაგეშილი **ნაძირალა, ღამის ნოტარიუსი გინტური** აფორმებდა ყველაფერს და ერთ დროს წელგამართული ქართველები წელში მოხრილი, მოკუნტული და ხელცარიელი ბრუნდებოდნენ სახლში.

ეს არ იყო ცალკეული, ერთჯერადი შემთხვევა... **ეს იყო მიშასეული „ეკონომიკური სისტემა“, რომლითაც სურდა საქართველოში დემოკრატიის დაფუძნება, რამაც, ფაქტობრივად, გაალარიბა საქართველოს მოსახლეობა და ლუკმაპურის მოძიება გაუხადა ცხოვრების უმთავრეს მიზნად.** სამაგიეროდ, მდიდრდებოდა **მიხეილ სააკაშვილი** თავის ამალასთან ერთად. **ერთი სიტყვით, მივიღეთ ის, რასაც ამერიკა დემოკრატიის სახელით ნათლავდა; სინამდვილე-**

# ვართ, რანი ვიქნებით

**ში კი შემოგვრჩა ორად გახლეჩილი ქვეყანა: მდიდრებისა და ღატაკების სახით, როცა მდიდარი წარმართავდა ღატაკს და ეკონომიკურად დაჩაჩანაკებულთ, რომელთაც მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, ეფიქრათ, როგორ ეხსნათ შიმშილისაგან თავი.** აი, ეს გახლდათ **ამერიკის დემოკრატიის საიდუმლო,** მსოფლიოს მშვიდობიან დაპყრობას რომ ისახავდა მიზნად.

ერთი სიტყვით, ეს არის, ზოგადად, იმ ქვეყნების ტრაგედია, რომელსაც ოლიგარქები თავკაცობენ, ჯერ თავის ხალხს ატყავებენ და აუბედურებენ, მერე თითქოს „დემოკრატიას" ამყარებენ და ამ საბაბით, ყველას, ვინც არ ემორჩილება, თავიდან იშორებენ უსასტიკესი ფორმითა და მეთოდით. **სინამდვილეში „დემოკრატი" მოღვაწენი დესპოტებად გვევლინებიან და დემოკრატიის ნაცვლად, ავტოკრატიულ დესპოტიზმს წარმოქმნიან.**

ასე რომ, **ბუნებით მშიშარა მიშამ** თავისი ძალმოსილება, ძირითადად, ეროვნულობის მოსპობითა და ქართველთა ჩახოცვით გაამყარა, რასაც ძალზე უწონებდნენ მისი ამერიკელი პატრონები და მეგობრები. აიწყვიტა და ციხეში გაბატონებულ პატიმართა წარმოუდგენელ ხოცვას, საქართველოსა და ქართველი კაცის მიწასთან გასწორებას როდი დასჯერდა და გავეშებული ადამიანებს, ვინც მას არ ემონებოდა, ყოველგვარი განაჩენის გარეშე სასიკვდილოდ იმეტებდა... **ასე და ამგვარად, მისი უშუალო მითითებით ასეულობით უდანაშაულო ახალგაზრდა ჩაცხრილეს: ზოგს ამპარტავანი მზერა არ მოუწონეს და წამებით მოკლეს, ზოგის თავისუფალი, ახალგაზრდული ქცევა საეჭვოდ მიიჩნიეს და მანქანაში ჩახოცეს, მერე კი მათ ხელში იარაღები ჩაუტენეს, ზოგი კი მტრად მიიჩნიეს, ზღვაში გაიყვანეს და ჩაახრჩვეს.** მეტიც, მამა, უსამართლოდ მოკლულ ვაჟს რომ დასტიროდა, საფლავზე ააფეთქეს. **ეს ყოვლად გაუმართლებელი სისასტიკე ახალისებდა და „აძლიერებდა" მიშიკოს. თავს იწონებდა კიდეც, როცა არაკაცმა, კურდღელივით მშიშარა ბარამიძემ, რვა სამხედრო ვერტმფრენით და ქვემეხებით შეუტიეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში მცხოვრებ აფრასიძეების ოჯახს, რა**ცია", შემდეგ ყალბი სპექტაკლი დადგეს, ხალხსა და „ამერიკელ მეგობრებსაც" დააჯერეს მიშას უცოდველობა.

მიხეილის „მამაცურად" ჩადენილი ბოროტების სურათი ნათლად გამოჩნდა 25 მაისს, როცა მან მშვიდობიანი მომიტინგეები ააწიოკა და დაუნდობლად დაარბია. **თითქმის ყველა მიტინგის მონაწილე ვარ და მათი დარბევაც მინახავს, მაგრამ მსგავსი ძალმომრეობა და მომიტინგეთა ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვა არ მახსოვს და არც გამიგონია.**

ნიშანდობლივი ის არის, რომ მომიტინგეები არ ითხოვდნენ ხელისუფლების გადადგომას, როგორც დღევანდელი ე.წ. ოპოზიცია, თავხედურად რომ გაჰკივიან და ხელისუფლების დასამხობად აქტიურად მუშაობენ. **ჩვენ მოვითხოვდით მხოლოდ იმას, რომ ამხანაგ მიშას 26 მაისის დემონსტრაცია არ ჩაეტარებინა იქ, სადაც ქართველი ახალგაზრდების სისხლი დაიღვარა...** გახელდა ძლევამოსილი მიშიკო, ეს როგორ გამიბედესო, მე მათ დაბადების დღეს ვაწყევლინებო და აამოძრავა პოლიციელები, დამსჯელი რაზმები და ჩართო სამხედრო ნაწილებიც, რაც კი გააჩნდა იმხანად ქვეყანას და ისე გადაკეტა რუსთაველის გამზირი, სადაც მომიტინგეები იყვნენ, რომ გაქცევა ვერ მოეხერხებინათ. **ისეთი ალყა შემოარტყა იმ ადგილს, რომ ბუზი ვერ შეფრინდებოდა და ვერც გაფრინდებოდა. ის, რაც არ გაუკეთებია როდიონოვს, როცა 9 აპრილის აქცია დაარბია, მან ჩაიდინა: დაიწყეს დარბევა იმ არაკაცებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, ისეთი წამლით იყვნენ გაბრუებულები, რომ არ არჩევდნენ დავარდნილს თუ ფეხზე მდგომს, ქალს თუ კაცს, ბავშვს თუ მოხუცს, გაქცეულს თუ წაქცეულს, ყველას საოცარი სისასტიკით უსწორდებოდნენ.** მეტიც, ის ადამიანები, რომლებმაც თავის საშველად რუსთაველის კინოს შეაფარეს თავი, ცემა-ტყეპით, მუჯლუგუნებით და წიხლების კვრით გამოაძევეს, ზოგს იქვე გაუსწორდნენ და ზოგიც ავტობუსებით წაასხეს, რათა ქალაქის პოლიციის სამმართველოში გასწორებოდნენ და იქ ისეთი შეურაცხყოფა მიაყენეს, რომ ნორმალურ ადამიანებს გონებაც კი

**სექსუალურ ლტოლვას მინებდა მარჯვენა ხელის ოსტატური ხმარებით. მალულად გადაღებული ფირიც ცხადად გვაუწყებს, რაოდენ დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდა ის ამ საქმეს.**

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიშიკო ქალთა წრის მოტრფიალეც იყო. მან, შეიძლება ითქვას, „პირველი ღამის" უფლების ტრადიციაც გაიხსენა. **თუ ქალი მოეწონებოდა, მამალივით შეახტებოდა და მერე თავის ქვეშევრდომებს აიძულებდა, ცოლად მოეყვანათ, რაზეც მავანი სიამოვნებით თანხმდებოდა.** ისიც უნდა ითქვას, რომ **მიშიკო** დაუნახავი როდი იყო. **ის ქალები, ვინც მისი ვნება დააცხრო, ზოგი მინისტრად დანიშნა, ზოგი ბინით დააჯილდოვა, ზოგსაც სახელმწიფოს ფულით ნაყიდ ძვირფას სამაჯურსა თუ სამკაულს სთავაზობდა...**

ქართველი „ქალწულებით" თავმობეზრებულს ზოგჯერ უცხოელებიც ჩამოჰყავდა შორეული უცხოეთიდან თუ მეზობელი რუსეთიდან. აქვე უნდა დავძინო, რომ ქალთა საზოგადოება მისი „მამრობით" დიდად არ იყო კმაყოფილი, მაგრამ მიშას ეს სულ არ აღელვებდა, **მისთვის საკმარისი იყო მამალივით შეხტომოდა „მსხვერპლს" და თავისი ვნება დაეცხრო.** ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ იგი ყველგან და ყველაფერში წამოწევდა ეგოს, **„მე"**-ს, რომელიც **„კონდრისკაცის"** განმსაზღვრელი თვისებაა და მთელი კოსმოსი ამ ბიოლოგიური **„მე"**-ს ირგვლივ ტრიალებს. სწორედ ეს **„მე"** გვევლინება ეგოცენტრიზმის ღერძად, მიშიკოს რომ წარმართავდა პირად ცხოვრებასა თუ „პოლიტიკურ მოღვაწეობაში".

რაც შეეხება მის ქონებას, ის ქართველი ხალხისა და ქვეყნის გატყავებით ივსებოდა. უპირველეს ყოვლისა, როგორც უკვე ზემორე აღვნიშნე, **ადეიშვილის კაბინეტში დაბარებული ეკონომიკურად წელგამართული ბიზნესმენების ქონების ჩამორთმევით და გათავისებით.** როგორც ამბობენ, ჩამორთმეული ელექტროჰესები, სხვადასხვა ხერხებით, საბოლოოდ უცხოელებზე ფორმდებოდა. **დღესაც მილიონობით დოლარით აფინანსებენ მიშას, მის ახლობლებს, ადეიშვილსა და სხვა ერთგულ მხედრებს, საქართველოსა თუ უცხოეთში მცხოვრებლებს მისი ამფსონები. ამას ემატება იარაღის და ნარ**კოტიკების გაყიდვით შემოსული უზარმაზარი თანხაც და ის კორუფციაც, რომელიც იმხანად ბატონობდა და მიშა გვერდს ვერ აუვლიდა.** ერთი სიტყვით, **მიხეილის** სიმდიდრე მილიარდებს ითვლის, რაც, როგორც მისი დედიკო აცხადებს, ბაბუამისმა დაუტოვა და ამაზე ისე სერიოზულად საუბრობს, არც კი ეღიმება. ყოველივე სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

## რა გველის?!

დღევანდელი საქართველოს სოციალური თუ სულიერი მდგომარეობა რომ საგანგაშოა, ვგონებ, საეჭვო არ უნდა იყოს. დღეს არცთუ იშვიათად გაიგონებთ ქართველის გულიდან ამოკვნესილ კითხვას — **გვეშველება რამე?!** თავად ეს კითხვა მრავალი აზრის მატარებელია, რომელიც შესაძლოა, გულისხმობდეს როგორც ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ ყოფას, ასევე, ზოგადად, ქართველთა ერის სიცოცხლეს. უფრო სწორად, ყოფნა-არყოფნის პრობლემას, ჩვენს დამოკიდებულებას ეროვნული ტრადიციებისა და უძველესი კულტურისადმი თუ სულიერ-ზნეობრივი მრწამსის დაღმა დამავალი პროცესისადმი.

**ამჯერად მაინტერესებს უმნიშვნელოვანესი და უაღრესად მტკივნეული პრობლემა: გადარჩება თუ არა ქართველი ერი, შეინარჩუნებს თუ არა ეროვნულობას. თუ ვითარცა მრავალი უძველესი დიდი ერი, გავითქვიფებით და ჩავიძირებით უსამშობლო და უეროვნებო ხალხთა ოკეანესა თუ მორევში?**

აი, რა აშინებთ დღეს ჭეშმარიტ ქართველებს, რომელთა წინაპრები საუკუნეების მანძილზე ებრძოდნენ მოზღვავებულ მოძალადე მტერს, რათა თავისი ეროვნება არ დაეკარგათ!

ყოველი მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადია, რომ მხოლოდ ხმლითა და ვაჟკაცობით დღეს ჩვენს თვითმყოფადობას ვერ შევინარჩუნებთ. **დღეს გონიერება და მომავლის ფხიზელი ჭვრეტა უფრორე გვჭირდება, ვიდრე ფარ-ხმლის ოსტატური ხმარება. საქმე ის არის, რომ დღეს მტერი არ გვაკლია, მაგრამ ის უდიდეს სამხედრო ძალას ფლობს და დაპყრობის გარდა, ჩვენი ერის მშვიდობიანი გზით დაპყრობა და, რაც მთავარია, ჩვენი გადაგვარებაც ძალუძს.**

ერთი სიტყვით, **რუსეთმა, რომელმაც ძალზე კარგად იცოდა, რომ სამხედრო ძალით მასთან ვერაფერს გავხდებოდით, ჯერ შევარდნაძის ხელშეწყობით და მერე უბადლო მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის ხელდასხმით წაგვართვა ჩვენი ისტორიული ტერიტორიები — აფხაზეთი და სამაჩაბლო, რაც ფიზიკურად თავის მოკვეთასა და გულის ამოჭრას ნიშნავდა!** ჩვენი ე.წ. მეგობარი **ამერიკა** კი გვეხმარებოდა და დღესაც გვეხმარება ჩვენი ეროვნული სულის გადაგვარებაში, ანუ, სხვაგვარად, ამერიკის დამტკიცებული დემოკრატიული მოდელით „შემოსვასა და გადარჩენაში". **ყველასათვის გასაგებია, გლობალიზაციის და მსოფლიოს გაერთსახოვნების გრიგალი ყველა ერს, განსაკუთრებით კი, ცივილიზებული და ძველი კულტურისა და ტრადიციების მქონე ერებს მოსპობითა და განადგურებით ემუქრება. მაგრამ ჩვენ, ქართველები, ამაყი და თვითდაჯერებული ხალხი, ვეცდებით, რაიმე ვიღონოთ ჩვენი სულიერი თუ ფიზიკური გადარჩენისთვის. ან იქნებ ამ გრიგალს გავაყოლებთ ჩვენ თავისუფლებას და ხელჩაქნეულები თავს დავიმშვიდებთ — რა უნდა გვექნა, როგორ უნდა აღვდგომოდით წინ ამ მსოფლიოს დამანგრეველ გრიგალს!?!**

ასეთი განწყობა გასაგებია, მაგრამ ყოველივე გრიგალს გარე ძალებს ნუ დავაბრალებთ, ჩვენ თავსაც მოვკითხოთ და ილიას სიტყვები გავიხსენოთ: **ქართველები „ვართლა" სადმე?!**

თუ ჩვენ ნაცების ღვაწლით ავსებულ გუბეში ვჭყუმპალაობთ, სადაც ადამიანის ადამიანურობის არანაირი ნიშან-თვისება არ მოიძიება, ქალი — ქალს, კაცი კაცს არ ჰგავს, დედაშვილური და მამაშვილური სიყვარული არ არსებობს, მეგობარი — მეგობარს, ძმა ძმას არ ინდობს და მამულის სიყვარულის ნაცვლად, მტრობა ბატონობს და ამგვარ ყოფას ცხოვრებად აღვიქვამთ, ვფიქრობ, რომ ვარსებობთ და კონდრისკაცებად ქცეულნი, საკუთარი ბიოლოგიური „მე"-ს, ეგოცენტრიზმის გარდა, არაფერი გვაღელვებს, ნეტარებას ვეძლევით და სხვა წუხილი არა გვაქვს, მარტოოდენ საკუთარი მუცლის ამოყორვით ვართ ბედნიერი. დიახაც რომ ვარსებობთ, და მერე როგორ ვარსებობთ. თუ ამას ადამიანურ და არა ცხოველურ არსებობად მივიჩნევთ. **და ისღა დაგვრჩენია ვაღიაროთ, ჩვენ, ვითარცა ადამიანები, ღვთიური სიყვარულის მიღწევისკენ კი არ მივილტვით, არამედ მაიმუნის საფეხურს ვეპოტინებით.**

ჰოდა, ამგვარ ცხოველებს, უფრორე, **კონდრისკაცებს** სამშობლოს და ქართველი ერის სიყვარულს ნუ მოვთხოვთ. მთავარი მაინც ის არის, რომ ესენი უსამშობლო ხალხად იქცნენ. **ამათ კისერიც მოუტეხიათ, მაგრამ მე მაღელვებს ახალგაზრდობა, რომელთაც ეროვნული ცნობიერების გაღვივების ნაცვლად, მიზანმიმართულად, ბავშვობიდანვე სამშობლოს მიწის სიყვარულს უხშობენ.** ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ის ამერიკული „დემოკრატია", რომლის გავრცელებასაც ისახავენ მიზნად, სწორედ **ანტიეროვნული ნიადაგის** გაღვივებას ცდილობს. ამგვარი ნიადაგის სულისჩამდგმელი გახდა **ნაძირალა სოროსიც,** რომლის მოღვაწეობაც თითქმის ყველა ღირსეულ სახელმწიფოში აკრძალულია, ჩვენთან კი დღესაც ხარობს ზოგიერთი ნაძირალა, ე.წ. ქართველი. სწორედ **კანა-**

# ლა?



საც მოჰყვა უდანაშაულო კაცის სიკვდილი, მეორისა კი — ცოცხლად დაწვა. ოთხი ადამიანი, ქალი თუ კაცი, დაიჭრა, ამას მოჰყვა ფეხმძიმე ქალის ფსიქიკური აშლილობა და ბავშვების სულიერი ტრავმა. ამ ტრაგედიაზე სახელმწიფოს დიდმა მხედართმთავარმა სიამაყით განაცხადა: **„ამ ოპერაციის ჩატარების ბრძანება მე გავეცი და, თუ საჭიროება მოითხოვს, კიდევ გავცემ!".**

მხოლოდ ამ განცხადებისთვის იგი იმსახურებდა სასჯელს, მაგრამ განმკითხავი სად იყო, როცა თავად მიშა ჭრიდა და კერავდა.

ამ უსამართლო მკვლელობებით **„დიდი მხედართმთავარი"** შიშს აღუძრავდა სხვებს და აფრთხილებდა — **თქვენც ეს გელით, თუკი ჭკუით არ მოიქცევითო...** მას ძალიან აღიზიანებდა დიდი ქართველი პატრიოტის **გურამ შარაძის** ეროვნული სულისკვეთება, იგი ორჯერ დააპატიმრა, რათა ჭკუა ესწავლებინა, მაგრამ გურამი ვერ შეაჩერა. მერე კი ჩაიდინეს დიდი ბოროტება: **დღისით, მზისით, მელიქიშვილის ქუჩაზე მოკლეს ეს უბადლო ქართველი და მისი ცხედარი ორი საათის განმავლობაში არ დაძრეს ადგილიდან, ვითომდა დამნაშავის კვალის მოსაძიებლად. სინამდვილეში კი ეს იყო ადამიანთა დასაშინებლად გამიზნული ერთგვარი მუქარა, ვისაც სამშობლო უყვარს, თქვენც ეს გელით, თუ გონს არ მოეგებითო! სხვათაშორის, მეც შემომითვალეს, ბევრს ლაყბობ და ამის შესახებ ნურას იტყვიო, თორემ...**

ამ **„თორემ"** მე ვერ შემაშინა, პანაშვიდზე პირველსავე შემხვედრ კორესპონდენტს ხმამაღლა ვუთხარი: **მკვლელს ნუ ეძებთ, მკვლელი ხელისუფლებაა და მისი თავკაცი მიხეილ სააკაშვილია-მეთქი!** თუმცა, მკვლელობის ძიება შეგნებულად სხვა გზით წარიმართა და ეს საქმე დღესაც გაუხსნელია: სინამდვილეში ამ საშინელი ბოროტების ჩამდენები, ამას დღესაც ხმამაღლა ვაცხადებ, **მიშიკო და მისი კაციჭამია ნაძირალებია!..**

ეს გავეშებული დიქტატორი თავის თანამებრძოლებსაც არ ინდობდა. **მისი უშუალო ჩარევით მოკლეს ზურაბ ჟვანია, რომლის თანამებრძოლობით ჩაიდინეს „ფერადი რევოლუ**შეურყიეს. ესეც არ იკმარეს, სიკვდილის პირამდე მიჰყავდათ, ისე სცემდნენ და სისხლის ნაკადულებით აავსეს იქაურობა. **ასეთი დარბევა, ვგონებ, მსოფლიოს არ ახსოვს, ორი ადამიანი მოკლეს და სახურავზე შემოაგდეს, ზოგი ისე დაასახიჩრეს, რომ სულ მცირე ხანში გამოეთხოვნენ სიცოცხლეს. მრავალი კი ისე გაუჩინარდა, დღესაც არ ჩანს მათი კვალი.** ამ დარბევას ისიც მოაყოლეს, რომ **„იმედის" ტელევიზია** დალაშქრეს, იქაურობა ისე დაარბიეს, რომ ჟურნალისტებმა თავს ძლივს უშველეს.

რა იყო ამ უსასტიკესი დარბევის მიზეზი და მიზანი: **პირველი გახლდათ საქართველოს მოსახლეობის შეშინება და დატუქსვა, მეორე კი დამტკიცება იმისა, რომ მიშა უძლეველია, მის წინააღმდეგ ამბოხის ატეხა, ეს ნიშნავს ამერიკის მიერ დემოკრატად მიჩნეული მოღვაწის წინააღმდეგ გალაშქრებას, რაც ყოვლად გაუმართლებელია.** სწორედ ეს უსასტიკესი დარბევა ამერიკამ აღიარა მიზანშეწონილად და ჩათვალეს, რომ დარბევის ოპერაცია კანონიერ ფარგლებს არ გასცილებია. ალბათ, ამიტომაც ამ დარბევაზე დღესაც იშვიათად საუბრობენ და არც იმ დატრიალებული უბედურების გამომწვევ მიზეზებს იკვლევს ჩვენი პროკურატურა, რომელმაც ამ საქმის ძიების პროცესი, როგორც თავად იტყვიან, თაროზე შემოდო.

რაც შეეხება ჩვენი მამა-მარჩენალის მორალურ მხარეს, საიმედოს ვერაფერს მოგახსენებთ: **მან, უკვე დავაჟკაცებულმა და პოლიტიკის შარაგზაზე შემდგარმა, თავი იმით გამოიჩინა, რომ**

ასეთია ძალზე მოკლედ **მიხეილ სააკაშვილის** პოლიტიკური „მოღვაწეობის" დიაგრამა. ის ამაყად აცხადებდა, რომ საქართველოს ისტორია მისგან იწყებოდა და არ ცნობდა ჩვენს მდიდარ კულტურას. თანაც, ამას მის კერპთაყვანისმცემლებს აჯერებდა და დღესაც სწამთ, რაც ცხადად მეტყველებს, რომ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ძალზე ავად არის.

საგულისხმო და გასაოცარი ის გახლავთ, რომ ამას ამერიკის პოლიტიკოსთა მაღალი ელიტა, არ ვიცი, რით გაბრუებული, იზიარებს და ის „დემოკრატიის შუქურის" წოდებით თუ სახელით არის მათ მიერ შემოსილი.

**ახლა მე სერიოზულად გეკითხებით, ამერიკელებო, მსოფლიოს მართვის პრეტენზია რომ გაქვთ: ბნელა თუ როგორ არის თქვენი საქმე?! როცა თქვენი დემოკრატიის სხივით „მსოფლიოს ზეცაა გაჩახჩახებული"?! თუკი ეს არის თქვენი დემოკრატია, თავისუფლება და სამართლიანობა, სჯობს, წარღვნამ წალეკოს ეს აჭრილი და უსწორო სამყარო!**

გაგრძელება 28-ე გვერდზე

დასაწყისი 26-ე გვერდზე

# რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით



ელიზბარ ჯაველიძე

# ვართ-ღა?

**ლიზაციის დიდოსტატი ლომაია** დაინიშნა განათლების მინისტრად, რომელმაც მთლიანად გაანადგურა საქართველოში განათლებაც და მეცნიერებაც. **სასწავლო პროგრამიდან გაქრა ყველა ის პოეტური თუ პროზაული ქმნილება, რომელიც მოსწავლეში აღძრავდა ეროვნულ სულისკვეთებას.** ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ქართველ ახალგაზრდობაში იმატა ანტიეროვნულმა განწყობამ. ქართველი ყრმა იმის ნაცვლად, რომ ამაყად ამბობდეს: **„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“,** თვითდაჯერებული სიამაყით დინჯად გვაუწყებს: **„ჩემი სამშობლო ის არის, სადაც კარგად ვგრძნობ თავს და თავისუფლად ვიქმ იმას, რაც მწადია“.** ეს არის ადამიანური სახის დაკარგვის, ცხოველზე უფრო დაბალ დონეზე დაშვების პროცესი, რომელსაც მიზანმიმართულად მიმართავს ამერიკული დემოკრატიით განმტკიცებული და მოწონებული **პოსტლიბერალიზაცია,** რამაც ფართო გავრცელება პოვა ევროპაში. **აბა, სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ყველაზე მორალური და ძველი ტრადიციების მქონე ინგლისში 44 წლის ინგლისელ ქალბატონს ცოლად ირთავს მისივე შობილი 20 წლის ვაჟი,** ანდა ევროპის ცენტრში, ავსტრიაში, **მამა თავის ქალიშვილს სარდაფში ამწყვდევს, მასთან სექსუალურ კავშირს ამყარებს და სამ შვილს აშობინებს. მერე როგორღაც თავდახსნილი „შვილი“, თავის ძმას საშველად მიმართავს, ეს უკანასკნელი კი დახმარების ნაცვლად აუპატიურებს მას.**

ამ თავზარდამცემ ამბავს მავანი ლიბერალი, იშვიათ შემთხვევას უწოდებს და გვამშვიდებს კიდეც, დაავადებულ ადამიანთან გვაქვს საქმეო. ვთქვათ, დავუჯეროთ ამ ნაძირალებს, მაგრამ საგანგაშო ის არის, რომ **ამ გაუგონარ გარყვნილებას ამართლებს და იწონებს პოსტლიბერალური ელიტა.** მათ უსაქციელობას ხსნის, როგორც თავისუფლების გამოხატულებას და მის უმაღლეს საფეხურად მიიჩნევს. ახალგაზრდათა ამ გადაგვარების გზაზე შედგომას აპირობებს ჩვენში აწ დამკვიდრებული **პოსტლიბერალიზმი,** რომელიც ამერიკის ერთ-ერთმა რჩეულმა და ღირსეულმა პრეზიდენტმა **რეიგანმა** ფაშიზმის ყველაზე ცუდ გამოვლინებად მიიჩნია. მართალია, ადრეული ლიბერალი ფეოდალური წყობისას იცავდა ბურჟუაზიის შედარებით პროგრესულ თვალთახედვას და მის გამარჯვებას ყოველმხრივ ხელს უწყობდა, მაგრამ მოგვიანებით ბურჟუაზიულ წყობასაც დაუპირისპირდა. საერთოდ, **ლიბერალმა** შეიძინა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის სახელი. თუმცა, ადრევე გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომლებიც მათ თავისუფლად აზროვნებას ყბედობად მიიჩნევდნენ და მატყუარებად ნათლავდნენ: ერთს ამბობენ ხალხის გასაგონად, თავად კი საპირისპიროდ, საწინააღმდეგოდ მოქმედებენო... ლიბერალური მოძღვრების შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა, რომელშიც მათ შესახებ უკიდურესად საპირისპირო შეფასებაა, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდები. ამჯერად მაინტერესებს ის პოსტლიბერალიზმი, რომელმაც თანდათან მოიკიდა ფეხი საქართველოში, თავისი საცეცები გაშალა და იმგვარი მახე გააბა, რომ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა ძნელად თუ დაიხსნის თავს გარდაუვალი უბედურებისაგან, თითქოსდა თავისუფლების პირამიდა რომ წარმოჩნდა, სინამდვილეში კი მოსპობისა და გაქრობის უფსკრულია.

მოკლედ, **ის, რასაც გვიქადაგებენ ეს „თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები“, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის არაადამიანურობის ჭაობში ჩაძირვა!**

დავიწყოთ თუნდაც თავისუფლების ცნების განხილვით. ზემორე უკვე აღვნიშნე, რომ, მათი მოაზრებით, თავისუფლება არავითარ ჩარჩოებში არ თავსდება, ის არ ემორჩილება მორალს, რომელსაც ქმნის ადამიანური საზოგადოების მოთხოვნილება, უარყოფს უძველეს ეროვნულ ტრადიციებს და წესებს, ოჯახური მოთხოვნილებით არსებულ ადათს, ჩვენი რწმენის, რელიგიების კანონიკას და ა.შ. ერთი სიტყვით, მისთვის უცხოა გაგება იმისა, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ წესებს უნდა იცავდეს: **მისთვის მიუღებელია მამრობითი და მდედრობითი სქესის გამიჯვნა, კაცი ქალის ადგილს იჭერს, ანდა პირუკუ. ამიტომ წინ წამოსწიეს მამათმავლობა, მეტიც მოითხოვეს ჯერ კიდევ უმწიფარ ბავშვებში მოსპონ ბიჭისა და გოგონას სქესობრივი სხვაობა, შექმნეს ელგებეტეს** (ანუ პედერასტების) **ძლიერი და თავმომწონე გენდერული ჯგუფები, რომლებიც თავისი სქესობრივი სხვაობით კი არ არსებობენ, არამედ იმით მოაქვთ თავი, რომ კაცი ქალობს და ქალი კაცობს.** სხვათაშორის, მამრის და მდედრის აღრევა და ჩანაცვლება ბუნებრივ ცხოვრებაში არ ხდება. ეს არაკაცები კი თავისი თავისუფლების სიმბოლოდ სწორედ ამ აღრევას, ამ სექსუალურ ავადმყოფურ ლტოლვას და შერწყმას აღნიშნავენ, როგორც თავისუფლების უმაღლეს გამოხატულებას და **ის, რაც მაიმუნისთვის დასაშვებია — საკუთარ მამასთან, დედასთან თუ შვილთან სექსუალური კავშირი დასაძრახი კი არ არის, არამედ საამაყოა.** ეს გახლავთ სწორედ ადამიანის ცხოველურ დონეზე და კიდევ უფრო დაბლა დაშვება. აი, ამიტომაც არის მათი თავისუფლება ცხოველური და მეტიც, ცხოველურზე უარესი... **სწორედ ამგვარ ცხოვრებას, თუ ამას ცხოვრება ჰქვია, ქადაგებენ საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და, თუ გნებავთ, პოლიტიკურ სფეროში.** ადამიანის გადაგვარების პროცესი თავისთავადი, ბუნებრივი განვითარების შედეგი არ იყო და ის შეგნებულად, მიზანშეწონილად იმართებოდა იმ არსებების მიერ, რომელთაც მსოფლიოს დაპყრობა და კაცობრიობაზე გაბატონება სურდათ და მიზანმიმართულად მოქმედებდნენ.

ჯერ კიდევ სახელგანთქმულმა პოლიტიკოსმა და მასონმა **ალენ დალესმა** განაცხადა, რომ საჭიროა ადამიანთა გახრწნა და გადაგვარება. იგი წერდა: **„ჩვენ მთელი ოქრო, მატერიალური რესურსები და სახსრები, რაც გვაქვს, უნდა მივმართოთ ადამიანთა გამოსაყეყეჩებლად და გამოსათაყვანებლად. ადამიანის ტვინის ცნობიერება უნდა შეიცვალოს, რასაც მოჰყვება „გრანდიოზული ტრაგედია“ — დაღუპვა დედამიწაზე ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხისა და მათი შეგნების გაქრობა“.** ბოლოს ის გვარიგებს, როგორ უნდა მივაღწიოთ ამას: **„ლიტერატურა და ხელოვნება როგორ გავძარცვოთ სოციალური არსისაგან... ლიტერატურა, თეატრი, კინო — ყველაფერი ასახავს და განადიდებს ადამიანის ყველაზე „ბიწიერ გრძნობებს“. ჩვენ ყოველთვის ხელს შევუწყობთ და ავამაღლებთ იმ ე.წ. მხატვრებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერებას თავს მოახვევენ და შთაუნერგავენ სქესის კულტს, ძალადობას, სადიზმს, „დისიდენტობას“. ერთი სიტყვით, ყოველგვარ უზნეობას.**

**ალენ დალესი** ამით არ ასრულებს „მორალურ“ შეგონებას. იგი აგრძელებს: **„პატიოსნება და წესიერება გაქირდვის ობიექტი გახდება და აღარავის დასჭირდება, იქცევა წარსულის გადმონაშთად. თავხედობა, უზრდელობა, სიცრუე და მოტყუება, ლოთობა, ნარკომანია, ურთიერთის ცხოველური შიში და უსირცხვილობა... ნაციონალიზმი და ხალხთა ურთიერთდაპირისპირება — ყოველივე ამას მოხერხებულად და მალულად შთავნერგავთ. ამგვარად, ჩვენ შევარყევთ თაობიდან თაობას, ჩვენ მივხედავთ ადამიანებს ბავშვობის, ყმაწვილობის პერიოდიდან. აქცენტს ყოველთვის გავაკეთებთ ახალგაზრდობაზე, გავათახსირებთ, გავრყვნით, გავხრწნით მათ. ვაქცევთ მათ ჩვენი გავლენის აგენტებად, თავისუფალი მსოფლიოს კოსმოპოლიტებად. აი, ასე ვიქმთ ჩვენ ამას“.**

ახლა, თუ გავიხსენებთ, რომ **სოროსმა,** რომელიც მისი „ფილანთროპული“ მოღვაწეობის გამო თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნებიდან, ასე განსაჯეთ, საკუთარი სამშობლოდანაც კი გაძევებულ იქნა, საქართველოში ლაღად გაშალა ფრთები და „ღია საზოგადოება“ დღესაც ნებივრობს, ხოლო მისი იდეოლოგი შევარდნაძე და მისი გარემოცვა მართავდა ჩვენს პოლიტიკურ თუ სულიერ ცხოვრებას. ვგონებ, ზედმეტი არ იქნება, მისი „მოძღვრების“ ზოგიერთი პუნქტი გავიხსენოთ:

**1.** უნდა შექმნას საკუთარი კადრები, ყოველი კათედრა თუ ინსტიტუტი უნდა იქცეს მისი კადრების სამჭედლოდ;

**2.** ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მისი აღზრდილები უნდა იყვნენ;

**3.** მათ უნდა ილაპარაკონ და იმოქმედონ მტკიცედ, აგრესიულად, თავგზის ამბნევად, თავზარდამცემად, ატეხონ ხმაური, გამოიყენონ, რაც შეიძლება უფრო გაუგებარი და ვითომ მეცნიერული ტერმინები, მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვიან, მთავარია, როგორ იტყვიან;

**4.** ხელთ უნდა ეპყრათ პროპაგანდისა და ინფორმაციის საშუალებები: პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო. ნებისმიერი საკითხის შესახებ შექმნან ისეთი საზოგადოებრივი აზრი, მის ინსტიტუტებს რომ შეესაბამება...

**5.** იქ, სადაც ორი მოწინააღმდეგეა, ერთი მათგანი უნდა დარჩეს. იყავით ყველგან;

**6.** ... ყველა ახალგაზრდა მათი გარემოცვის მჭიდრო რკალში უნდა მოექცეს...

**7.** შეისყიდონ და გაანადგურონ ის ნაშრომები, სადაც გაშიფრულია მათი სტრატეგია და ტაქტიკა;

**8. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ურჩებსა და ჯიუტებს, ვისაც არ სურს, ქედი მოიხაროს მათი უპირატესობის წინაშე, არ სურს, იმუშაოს მათთვის. ისინი, ვისაც ჯიუტად აქვს ამოჩემებული ეროვნულობის, ღირსების იდეა, ჩანასახშივე უნდა ჩაიხშონ და ჩაიფერფლონ.** ნებისმიერი საბაბით ამხილეთ ამგვარი ურჩები და სახელი გაუტეხეთ, ხმები დაუყარეთ, საეჭვო რეპუტაცია შეუქმენით. არ უნდა მისცეთ ეფექტური მუშაობის საშუალება... უნდა მოაქციოთ იზოლაციაში, აუმხედროთ ბრბო;

**9.** მთავარია, ბრალი დასდოთ. თუ თავს იმართლებს, არაფერია, რადგანაც, ვინც თავს იმართლებს, უკვე ნახევრად დამნაშავეა.

ახლა, თუ თვალს გადავავლებთ სამშობლოს ცნებას, რაც ჩვენი აზროვნების საყრდენი უნდა იყოს და არ დავივიწყებთ, როგორ თავხედურად მოქმედებენ მიშას დაზრდილი ნაციონალები, შეიძლება მათი ეს მომეტებული სურვილი მსოფლიოს მოქალაქეობისა, მოვნათლოთ არა როგორც უცხო ქვეყნის აგენტებად ან რადიკალურ ოპოზიციონერობად, **არამედ პირდაპირ ვუწოდოთ მათ საქართველოს დაუძინებელი მტრები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა ქართველი ერი გაანადგურონ, ქართველობა, როგორც ეროვნება, მოსპონ, არსებული დღევანდელი ხელისუფლება დაამხონ და ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება, რათა ბოლომდე მიიყვანონ თავისი ბოროტი ზრახვები!..**

თუ არ დავიზარებთ და გავიხსენებთ ზემორე მოხმობილი **დალესისა და სოროსის** ეროვნულობის გადაგვარების შეგონებებსა და გეგმას, მაშინ არ გაგვიჭირდება, დავასკვნათ, რომ დღევანდელი ე.წ. თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდები და ნაცები ზემორე ხსენებულ გეგმას პირწმინდად ასრულებენ. მათ, უპირველესად, დაიწყეს ქართული განათლებისა და მეცნიერების დანგრევა, რადგან მათი შთამაგონებლები უწყოდნენ, რომ მეცნიერებისა და განათლების გარეშე ხალხი ვერ შეინარჩუნებს თვითმყოფადობას. **მერე დაშალეს, დააქუცმაცეს და მიწასთან გაასწორეს ქართული მწერლობა, რომელიც ოდითგანვე ჩვენი სულიერებისა და მორალის საფუძველი იყო. სანაცვლოდ წინ წამოსწიეს და ნაძირალა ხაზარაძის დაფინანსებით შემოიღეს „საბას“ პრემია, რომლითაც ჯილდოვდებოდნენ ის მწერლები, ვინც თავის ნაჯღაბნში, ე.წ. მოთხრობებსა და ლექსებში წინ წამოსწევდნენ სექსის კულტს, რაც იმ დონემდე დაეცა, რომ შვილი თავის დედასთან სქესობრივ ცხოვრებას წარმოიდგენდა და ამას აღწერდა; უწმაწური სიტყვების მოჭარბებით და ჩვენი დიდი წინაპრების გინებით იწონებდნენ თავს და აბუჩად იგდებდნენ ჩვენს დიდ კლასიკოსებს.**

გასაკვირია, **ხაზარი ხაზარაძე,** მთელი ჩვენი მოსახლეობა კრედიტის მეშვეობით რომ „დაიმორჩილა“, დღესაც ძველებურად მოქმედებს. **მერე მოსდგნენ და შეუტიეს ქრისტიანობას, ჩვენს რწმენას, რაც დღემდე მოგვიტანია, ეროვნულ თვითმყოფადობას.** ჩვენს უწმინდესს ისეთი სიტყვებით ლანძღავენ, რომ ამის გამო ჩაქოლვის ღირსნი არიან. **დასასრულს მოადგნენ ქართულ ოჯახს, ერთმანეთში არიეს კაცის და ქალის ფუნქცია და კაცი ქალად გამოაცხადეს და ქალი — კაცად.** მთელი ქართველობის „ელგებეტეს“ რკალში მოქცევა სურთ და ამას იაზრებენ, ვითარცა ჭეშმარიტი დემოკრატიის ნაყოფს და ბავშვებისათვის იმის შთანერგვას ცდილობენ, რომ ბიჭი და გოგო ურთიერთისგან არ განსხვავდება. **აქ ყოველივეს ვერ ჩამოთვლი! ამ ნაძირალების ნამოქმედარის სრულად ასაწერად ტომებია საჭირო!**

ახლა დააკვირდით ნაცების ქალების, თუკი ქალებად მივიჩნევთ, ბიწიერებით და თავხედობით გაჟღენთილ საუბარს და მათ ქცევას, მერე თვალი შეავლეთ, როგორ ბჟუტურებენ ნამუსგარეცხილი ქონდრისკაცები, ხელისუფლების დამხობისკენ რომ მოუწოდებენ ქართველ ხალხს და მიხვდებით, თუ რა ნაყოფი გამოიღო **დალესის და სოროსის** „პედაგოგიურმა მოღვაწეობამ“.

**ყველა, ვისაც გონება უჭრის და ოდნავ მაინც უყვარს სამშობლო, ხვდება, როგორ ბეწვზე ჰკიდია ჩვენი ერის არსებობა, რადგან უტევენ და მისი განადგურება სწადია როგორც გარე ძალებს, ასევე შინაურ, ე.წ. ოპოზიციას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს გამოკვეთილი მტერია.**

კი მაგრამ, ბუნებრივად ისმის კითხვა — **როგორ მოვიქცეთ?!** მომავლის განჭვრეტის ღვთით მონიჭებულ ნიჭზე პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ჩემს აზრს მაინც მოგახსენებთ:

**უპირველეს ყოვლისა, მთელი ქართველი ხალხი გვერდში უნდა დაუდგეს დღევანდელ ხელისუფლებას, რომლის პოლიტიკური მრწამსი თავადვე განაცხადეს რამდენიმე სიტყვით — „ჩვენ ვიქმთ იმას, რაც ქართველ ხალხს, ქართველ ერს და საქართველოს სიკეთეს მოუტანს“.** რახანია, ამ სიტყვების გაგონებას ვნატრობდი და **ზვიად გამსახურდიას** შემდეგ პირველად დღევანდელმა ხელისუფლებამ განაცხადა და ამას მხოლოდ სიტყვით კი არა, საქმით აკეთებს!

დღევანდელი ხელისუფლების მეორე თეზისი ის არის, რომ რუსეთმა და ამერიკამ შეიგნოს — ჩვენ რაღაც „კუნძულიკა“ კი არა ვართ, არამედ მზისკენ აღმავალი ქვეყანა. ასე რომ, ჩვენი გადადგმული ნაბიჯები ეროვნულ გზას არ არის აცდენილი. **ეს არის ერთადერთი მართებული პოზიცია, რომელიც ჩვენს ერს გადაარჩენს, მისი უგულებელყოფა და უარის თქმა ქართველ ერს არარსებობის ხრამში გადაჩეხს.**

ჩვენი ხელისუფლების ჭარბი დემოკრატიულობა და ტოლერანტობა ათამამებს, უფრო სწორედ, ათავხედებს ნაცების სექტას, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, დაამხოს არსებული ხელისუფლება და ხელთ იგდოს ძალაუფლება, ავტოკრატიითა და დესპოტიზმით გაანადგუროს საქართველოს სახელმწიფო.

**ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა განახორციელონ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილება, რომელიც ასე ჟღერს:** აეკრძალოთ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის დაკავება და საჯარო სამსახურში დასაქმება იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით ცნობილი არიან დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441, 1442 და 1443 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში **(წამება, წამების მუქარა ანდა დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ჩადენა).**

ახლა მათი რომელიმე ქომაგი მეტყვის, რომ ეს დანაშაული არ ჩაუდენიათ! მაგრამ ნაცების უმეტესობა, მიშა სააკაშვილის თაოსნობით, ამ წამების ორგანიზატორები და მონაწილენი არიან და ახლად წამოჩიტებულ ნაცებს ამ სისხლში ხელი თუ არ ურევიათ, თავის მამა-მარჩენალის წესს არ უღალატებენ და, როგორც კი მიიღებენ რაიმე თანამდებობას, გამოუსწორებელ დანაშაულს ჩაიდენენ!

მეორე, ე.წ. არასამთავრობოები — **„სირცხვილია“, „დროა“** და მრავალი სხვა, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან, სინამდვილეში არიან უცხო ქვეყნის აგენტები და მიზანი ერთი აქვთ — **არსებული ხელისუფლების დამხობა. მათ უნდა გადავუკეტოთ დაფინანსების არხი და მაშინვე დამუნჯდებიან!**

ის ტელეარხები, რომლებიც ასევე უცხოეთიდან ფინანსდებიან და გონებას ურევენ ხალხს, **ბოროტებისა და უზნეობის ქადაგებით და თეთრს შავად აცხადებენ, გნებავთ, თავად ამერიკული დემოკრატიით, ისე უნდა დაჯარიმდნენ, რომ წელში ველარ გასწორდნენ და იმ ე.წ. ჟურნალისტებს, ენა რომ აქვთ წაგდებული და შუბლის ძარღვი გაწყვეტილი, თავისი კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოთ.**

**მეოთხე** — ყველა სამეცნიერო, სასწავლო, პოლიტიკური თუ საჯარო დაწესებულება უნდა განიწმინდოს იმ ჟანგისაგან, ნაციონალების თუ ფაშისტების სულით რომ აყროლებს წმინდათაწმიდა ქართულ მიწას.

**ვიცი, ყოველივე ამის თქმა ჩრდილს მიაყენებს ქართულ სახელმწიფოს, ე.წ. დემოკრატიას და მავანი უცხოელი „მეგობრის“ რისხვას დაიმსახურებს, მაგრამ ამით საქართველოს დამოუკიდებულებისა და თავისთავადობის ცაზე მზე გამოანათებს, რასაც სიხარულით და აღტაცებით შეხვდება ჭეშმარიტი ქართველი ხალხი!**

***ვერიცა ოზრენოვიჩმა, რომელსაც „სერბ ვანგას“, ხანაც, „სერბ ნოსტრადამუსს“ ეძახდნენ, მთელი ცხოვრება მთავრობასთან და სამხედროებთან თანამშრომლობაში გაატარა. ნათელმხილველის პროგნოზები ეხებოდა როგორც მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებს, ასევე სტიქიურ უბედურებებს და ეს პროგნოზები დღემდე უდიდესი სიზუსტით ცხადდება!***

წინასწარმეტყველის გვარი **ოზრენოვიჩი** — სერბეთის თავადთა დინასტიას ეკუთვნის. ბოლო წარმომადგენელი გახლდათ მეფე **ალექსანდრე ოზრენოვიჩი,** რომელიც სერბეთს 1889 წლიდან 1903 წლამდე მართავდა.

**ვერიცას** პირადი ცხოვრების შესახებ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი, რადგან **ოზრენოვიჩი** იუგოსლავიის არმიის გენერალური შტაბის წევრი ბრძანდებოდა. ამავე მიზეზით, მისი წინასწარმეტყველებები, ბიოგრაფია და ფოტოებიც კი — მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და საზოგადოებამდე ვერ აღწევდა. **მხოლოდ 2010 წლის შემდეგ აეხსნა ტაბუ წინასწარმეტყველებათა მცირე ნაწილს და ესეც კი საკმარისი გახდა ხალხის გასაოგნებლად.**

**ვერიცა ოზრენოვიჩი,** ჯერ იუგოსლავიის, შემდეგ კი სერბი უმაღლესი ჩინოვნიკების თხოვნით, წინასწარმეტყველებდა მოვლენებს, რის საფუძველზეც, თანამდებობის პირები პოლიტიკურ ვექტორებს აგებდნენ. ამგვარად, ვერიცამ იწინასწარმეტყველა **სლობოდან მილოშევიჩზე** თავდასხმა, ასევე კოსოვოში იხილა „ყვითელი სახლი“, სადაც ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა მიმდინარეობდა.

2015 წელს **ვერიცა ოზრენოვიჩმა დიდი სიზუსტით იწინასწარმეტყველა სერბულ არმიასთან კოსოვოელი ალბანელების სამხედრო შეჯახება; ასევე ჩერნოგორიელების** (მონტენეგროელების) **და ალბანელების ომი. მიაჩნდა, რომ ალბანელებთან სერბების კონფლიქტის შემდეგ მაკედონია სერბეთს შეუერთდებოდა.**

სერბი ნათელმხილველის წინასწარმეტყველებები მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც შეეხო. მაგალითად, **ვერიცა ოზრენოვიჩმა** ჯერ კიდევ 2012 წელს იწინასწარმეტყველა, რომ **რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტი ომამდე მივიდოდა და განვითარდებოდა იმავე სცენარით, რაც იუგოსლავიაში განხორციელდა.** ნათელმხილველმა წინასწარ იხილა 2014 წლის **„ყირიმის გაზაფხული“ და ვიქტორ იანუკოვიჩის** მოსკოვში გაქცევა. მანვე ზუსტად განსაზღვრა დოლარის დევალვაციის ფონზე **რუსეთს, ინდოეთსა და ჩინეთს** შორის ურთიერთობის განმტკიცება.

ნათელმხილველმა არამხოლოდ რუსეთსა და სერბიაში, არამედ 2016-2030 წლებში მთელ მსოფლიოში მოსალოდნელი მოვლენებიც წინასწარ აღწერა.

## ვერიცა ოზრენოვიჩის წინასწარმეტყველების მიხედვით, ევროკავშირი და ნატო ძალიან მალე დაიშლებიან. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ირანი და ისრაელი, ასევე – აშშ და ჩრდილოეთ კორეა. მისი ხილვების თანახმად, ნაკუნ დაიშლება დიდი ბრიტანეთი, იტალია და ესპანეთი.

ვერიცა ობრენოვიჩის წინასწარმეტყველებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საფრანგეთში 2023 წელს მოსალოდნელ მასობრივ არეულობას, რაც დიდი სიზუსტით ახდა კიდეც.

**ოზრენოვიჩი თვლიდა, რომ რუსეთი ჩრდილოეთ კვიპროსს ომით გამოიხსნის თურქეთისგან და საბერძნეთს გადასცემს; რომ ჩერნოგორიელი (მონტენეგროელი) პოლიტიკოსი მილო ჯუკანოვიჩი თავს მოიკლავს; ვატიკანი კი დაეცემა.**

ვნახოთ...

პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, ვერიცამ ბუნების კატაკლიზმებიც იწინასწარმეტყველა. მაგალითად, **2007 წელს ოზრენოვიჩმა იწინასწარმეტყველა აზიაში ტრაგიკული მოვლენები: მისი სიტყვებით, ჩინეთში მოხდება კატასტროფა, რის შედეგადაც მრავალი ადამიანი დაიღუპება და სამდღიანი გლოვა გამოცხადდება; ხოლო იაპონიას თავს დაატყდება ცუნამი და ელექტროსადგურზე ავარია.** ერთი წლის შემდეგ ჩინეთში, სეჩუანის პროვინციაში, დამანგრეველმა მიწისძვრამ მართლაც ათეულათასობით ადგილობრივი მოსახლე შეიწირა, ხოლო 2011 წელს მიწისქვეშა ბიძგებით გამოწვეულმა ცუნამმა იაპონიაში „ფუკუსიმა-1“ ატომურ ელექტროსადგურზე კატასტროფული სიტუაცია შექმნა.

მისი ზოგიერთი პროგნოზი ჯერ არ ასრულებულა. მაგალითად, მას სჯეროდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში — იელოუსტოუნის ეროვნულ პარკში, ასევე იტალიაში, ეტნას მთაზე, სუპერვულკანები ამოიფრქვევა; ხოლო სკანდინავიის ქვეყნებს მიწის პირისგან აღგვის წყალდიდობა.

სამაგიეროდ, **2016 წელს წინასწარმეტყველმა ისაუბრა 2021 წელს კალიფორნიაში მოსალოდნელი ტყის ხანძრების შესახებ, რაც აცხადდა!**

## „კოვიდ-19“-ის გამოჩენამდე ათი წლით ადრე, ვერიცამ ლაბორატორიაში ვირუსის შექმნაზეც მიანიშნა, რომელიც პლანეტაზე მასობრივ ბიოლოგიურ ომს დაუდებდა საფუძველს.

**ესეც, ფაქტობრივად, აცხადდა!**

ქალმა ასევე იწინასწარმეტყველა, რომ 2015 წელს მსოფლიო შეიტყობდა მომაკვდინებელი ვირუსის შესახებ, რომელსაც შეუძლია სისხლძარღვოვანი სისტემის დაზიანება. ვირუსი ლაბორატორიების კედლებიდან გაეპარებათ, ლეიკემიაზე ბევრად უარესი აღმოჩნდება, ვიდრე რუსები მის წამალს გამოიგონებენ...

**„სერბმა ვანგამ“ ჯერ კიდევ 2012 წელს ძალიან ზუსტად აღწერა ყველა მოვლენა, რომელიც 2020 წლამდე უნდა მომხდარიყო.**

## ის ირწმუნებოდა, რომ „რუსეთი მოიგებს ომს, ვინაიდან გააჩნია უნიკალური იარაღი; რომ რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის წინაშეც დანარჩენი ქვეყნები ქედს მოიხრიან...“

**ვერიცა ოზრენოვიჩის** ერთ-ერთი წინასწარმეტყველების თანახმად, მთელი სამყარო რამდენიმე დღის განმავლობაში უკუნეთში დაინთქმება. **მზე აღარ გამოჩნდება, აცივდება და დადგება მცირე გამყინვარება. ეს წინასწარმეტყველება გარკვეულწილად, წმიდა წერილში ნაწინასწარმეტყველევ მოვლენებსაც შეგვახსენებს. ჯერჯერობით არავინ იცის, უწერია თუ არა აღსრულება...**

ნათელმხილველი ხედავდა ავიაკატასტროფებს და სხვა მრავალ უბედურებას. იწინასწარმეტყველა, რომ წყლის მოწამვლის გამო ადამიანები მიატოვებენ მშობლიურ ქალაქებს, გადასახლდებიან სოფლებში და მხოლოდ ამგვარად გადარჩებიან.

**ამ პერიოდში რუსეთის ფედერაციაში ახალი ლიდერი გამოჩნდება, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან დაიხსნის.**

წინასწარმეტყველი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ დასავლეთი მიზანმიმართულად აბინძურებს საჰაერო სივრცეს, მიანიშნებდა ქიმიურ დაბინძურებაზეც.

**ნათელმხილველს მიუჩინეს პირადი ოპერატორი ალექსანდრე მიტროვიჩი, რომელიც მის ყველა პროგნოზს ვიდეოფირზე იწერდა. სპეცსამსახურები ჩანაწერებს მკაცრად ასაიდუმლოებდნენ.** ათწლეულების განმავლობაში ერთობლივი მუშაობის პროცესში ოპერატორი დაუახლოვდა არამხოლოდ **ვერიცას,** არამედ მის მეუღლეს და ოჯახსაც. სერბმა წინასწარმეტყველმა სწორედ ეს ოპერატორი **ალექსანდრე** აქცია თავის მოსწავლედ და მემკვიდრედ. **ალექსანდრემ შეძლო, თავისი მასწავლებლის და მენტორის ზოგიერთი წინასწარმეტყველება მისი სიკვდილის შემდეგ გაესაჯაროებინა. ალექსანდრე მიტროვიჩი 2023 წლის ზაფხულში რუსეთის ტელეარხ „РОССИЯ-1“-ზე მიმდინარე თოქ-შოუს „პირდაპირი ეთერი“ სტუმრად ეწვია და ვერიცას ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდზე, ასევე ზოგიერთი წინასწარმეტყველების შესახებ ისაუბრა.**

**ვერიცა ოზრენოვიჩი** 2019 წლის 22 ივლისს გარდაიცვალა. ამის შესახებ იუწყებოდა სოციალური ქსელი „ფეისბუქი“, თუმცა, სიკვდილის მიზეზი არ გასაჯაროებულა. ნეკროლოგის კომენტარებში მომხმარებლები წერდნენ, რომ **სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ობრენოვიჩმა ტრავმა მიიღო.**

სერბი წინასწარმეტყველი ვერიცა ობრენოვიჩი ბელგრადში, ორლოვიცას სასაფლაოზეა დაკრძალული.



## ოზრენოვიჩის წინასწარმეტყველებების ნაწილი დიდი სიზუსტით ახდა, ზოგიერთი პროგნოზი კი აღსრულების მოლოდინშია!

# ვერიცა ოზრენოვიჩის წინასწარმეტყველებანი

### 2012 წელს:

**რუსეთი მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი ქვეყანაა! მას აქვს იმგვარი იარაღი, რაც არ გააჩნიათ არც ჩინელებს, არც ამერიკელებს და რისგანაც ამერიკელებს აცახცახებთ!**

**ყირიმი გამოეყოფა უკრაინას და შეუერთდება რუსეთს!**

**უკრაინასა და რუსეთს შორის იქნება ომი, რისთვისაც რუსეთი უნდა მოემზადოს.**

უკრაინა რუსეთის შემადგენლობაში შევა. ვხედავ, ომის შემდეგ რუსული და უკრაინული ბაირაღების ქნევით როგორ ეგებება უკრაინელი ხალხი რუსებს.

**თანდათან ბელარუსიც დაუახლოვდება რუსეთს.**

**რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტი გარდაუვალია. უკრაინელები ამ ომს წააგებენ. ომისგან გასარიდებლად მრავალი უკრაინელი ან რუსეთში, ან დასავლეთში გაემგზავრება.**

რუსეთი მსოფლიოში ერთადერთ იმპერიად იქცევა, რომელსაც სხვა ქვეყნები ქედს მოუხრიან!

### 2015 წელს:

**ირანი „ბრიქსის“ ქვეყნებს შეუერთდება, რომელშიც გაერთიანებულები იქნებიან რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი. ირანი, გამოექომაგება რა, პალესტინელებს, თავს დაესხმება ისრაელს, მაგრამ ამ ომს გამარჯვებული არ ეყოლება!**

მსოფლიოს ცენტრი გახდება **ინდოეთი, ჩინეთი და რუსეთი.** სწორედ ეს ქვეყნები შეუდგებიან მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას.

**ბრიტანეთი დაიშლება ინგლისად და შოტლანდიად. ესპანეთი გაიყოფა. იტალიაც გაიყოფა სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად. დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში ტერორისტული აქტები მოხდება. ვხედავ სატრანსპორტო კატასტროფებსაც. საფრანგეთს პროტესტის ტალღა და ქუჩებში შეტაკებები მოიცავს.**

**შვედეთი** წყლის ქვეშ აღმოჩნდება. წყალდიდობებს ვხედავ **სკანდინავიის ქვეყნებშიც.** ისინი ყინულეთის დნობის შედეგად აღმოჩნდებიან წყალქვეშ. ეს ეხება ჰოლანდიას, ნორვეგიას, ფინეთს, შვედეთს, დანიას. ისინი წყალქვეშ აღმოჩნდებიან და შეიძლება ითქვას — არსებობას შეწყვეტენ.

**ამერიკის ეკონომიკა ჩამოიშლება. რუსეთის და ჩინეთის გავლენით, ამერიკული დოლარი დაკარგავს ფასს და „მსოფლიო ვალუტის“ სტატუსს, ხოლო რუსული რუბლი გამყარდება. ამერიკა აღარ იქნება მსოფლიოსთვის საფრთხის მომტანი და, აღარც დომინანტი იქნება. ეს ქვეყანა ვეღარ შეძლებს ომების წარმოებას.**

ნავთობზე ფასები დაეცემა.

### 2016 წელს:

ამერიკას და კანადას წყალდიდობა და მიწისძვრები გაანადგურებს! ამერიკის ერთ სანაპიროს — კალიფორნიას ხანძარი მოიცავს; მეორე სანაპიროს წყალდიდობები გაანადგურებს. იქნება უზარმაზარი ტალღები და სხვადასხვა სიძლიერის გრიგალი. ვხედავ: ირხევა პალმები და ინგრევა სახლები. ზოგიერთი ქალაქი და შტატიც კი მიწის პირისგან აღიგვება.

### ვერიცა ოზრენოვიჩის პროგნოზების თანახმად, 2016-2030 წლებში მსოფლიოში მოსალოდნელია ეს მოვლენები:

რუსეთი და „ბრიქსის“ ქვეყნების ჯგუფი მსოფლიოს არენაზე ამერიკას შეცვლიან.

**ევროკავშირი დაიშლება და მის ადგილზე ახალი ევროკავშირი შეიქმნება. სერბეთი ამ ახალ ევროკავშირს მიუერთდება, მაგრამ იქ ძველი წევრების ნაწილი, მაგალითად, ხორვატია და სლოვენია აღარ გაერთიანდება.** ამ ქვეყნებში კრიზისი დაისადგურებს. საკვების შეძენას კრედიტით შეუდგებიან...

ნატოს დატოვებს წევრი ქვეყნების უმრავლესობა. ალიანსი დაიშლება და იგი მხოლოდ ამერიკაში დარჩება.

**ზოგიერთი ქვეყანა რუსეთს თავად შეეხვეწება, მათ ქვეყანაში სამხედრო ბაზები განათავსოს. მაგალითად, ჩეხეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი მოისურვებენ, მათ ქვეყნებში რუსული ბაზები ჩადგნენ.**

**ესტონეთი, ლიტვა და ლატვია რუსეთს საკუთარი ნებით შეუერთდებიან, როცა რუსეთი თავის საზღვრებს ევროპისკენ გაიფართოვებს.**

**ჩინეთი, რუსეთი და ინდოეთი** — მსოფლიოს ცენტრად იქცევიან. სწორედ ისინი დაიწყებენ, მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას!

**აზიაში შეტაკებები გაგრძელდება, მაგრამ ამერიკა სამხრეთ კორეიდან ჯარებს გაიყვანს, რაც სიტუაციის ესკალაციას შეასუსტებს.**

ვხედავ, ჰაერში ერთმანეთს ეჯახება **ამერიკული და ჩრდილოკორეული რაკეტები.** ჩინეთიც და რუსეთიც უნდა შეემზადონ ამ ორი ქვეყნის კონფლიქტისთვის!

**იტალიაში ვულკანი ეტნა გაიღვიძებს. ვხედავ ლავის ამოფრქვევას და ქვათაცვენას. იტალიაში მიწისძვრები დაიწყება. ვულკან ეტნას მახლობლად მცხოვრები პანიკაში მყოფი მოსახლეობა საცხოვრებელი კერებიდან გადაიხვეწება...**

*მოამზადა* **ზაზა დავითაია**

# მიხეილ ცაგარელი:

# ასტროლოგია და ლითონები



***— რა იქნა გამოყენებული 1950 წელს გამოკვლევების თანახმად აშშ-ში დაბინძურებულ წყლებში მცურავ გემებზე, როგორც ბაქტერიოციდი წყალგამწმენდ სისტემებში ანდა მერილენდის უნივერსიტეტის საცურაო აუზში წყლის გასაწმენდად რა გამოიყენეს და როგორი იყო შედეგი? ამჟამად მსოფლიოს წამყვანი ავიაკომპანიები რატომ იყენებენ იმავე მიზნით ვერცხლის ფილტრებს ან მაღალი ხარისხის საყოფაცხოვრებო წყლის გამწმენდ სისტემებში იონურ გამწმენდთან ერთად ვერცხლის მილებს, ანდა ბოლო ხანებში რატომ გაიზარდა ინტერესი კოლოიდური ვერცხლის მიმართ? პლანეტა მერკურსა და ვერცხლისწყალს რა და რა საერთო თვისებები გააჩნიათ? მითოლოგიაში მერკური, იგივე ჰერმესი, ვის მფარველად ითვლებოდა ანდა ეგვიპტურ ვარიანტში როგორ იყო მოხსენიებული? „ამალგამას“ როგორ ხსნარს უწოდებენ და ამ ტერმინს ფართოდ კიდევ სად იყენებენ? რა არის ვერცხლისწყლის უმთავრესი თვისება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— განვაგრძოთ საუბარი ლითონებისა და ციური სხეულების ურთიერთკავშირის შესახებ. როგორც აღნიშნეთ, ამა თუ იმ ლითონის ბუნება, ფერი თუ დამახასიათებელი თვისება, ძალიან ახლოსაა იმ ციური სხეულის ბუნებასთან, რომელსაც ის შეესაბამება. ამ მიმართებით მთვარისა და ვერცხლის ურთიერთმსგავსებაზე გვესაუბრებოდით.**

— როგორც მოგახსენეთ, **ვერცხლის მარაგის უდიდესი ნაწილი ოკეანეშია გაბნეული. ნალექების რაოდენობა ისევე, როგორც ოკეანეებში წყლის მიქცევ-მოქცევა, მთვარის ფაზებზეა დამოკიდებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1950 წელს იონური ვერცხლი ნახშირბადის გრანულებზე დანალექის სახით, როგორც ბაქტერიოციდი გამოყენებული იქნა წყალგამწმენდ სისტემაში. აშშ-ის** სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ გამოკლევები ჩატარდა იმ გემებზე, რომლებიც დაბინძურებულ წყლებში ცურავდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ მილიარდ წილ წყალზე, 10 წილი ვერცხლის კონცენტრაციისას, ეს წყალი სასმელად უვნებელი ხდებოდა. **ამ თანაფარდობას ჰომეოპათიაში ეწოდება D8.** ეს მეთოდი დღეს სანაოსნო სავაჭრო გემებზე ფართოდ გამოიყენება. ასევე დიდი ხანია, ცნობილია, რომ ვერცხლის ჭურჭელში წყალი კარგა ხანს არ ფუჭდება, ამიტომაც უწინ წყლის გასასუფთავებლად წყლიან ჭიქაში ღამიდან დილამდე ვერცხლის კოვზებს ტოვებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მაგალითად, **მერილენდის შტატში ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში** საცურაო აუზში წყლის სისუფთავეს მეცნიერები ინარჩუნებენ მხოლოდ ვერცხლისა და ნახშირის გამწმენდი ფილტრის მეშვეობით. ამ საცურაო აუზის მოხსენებით ბარათში წერია, რომ ამგვარი ფილტრის გამოყენების შემდეგ არცერთხელ არ დაფიქსირებულა თვალის ან ყურის გაღიზიანები ან ინფექციის შემთხვევა. ადამიანები სიამოვნებით დაცურავენ ამ კრისტალურად სუფთა, ვერცხლით გაწმენდილ წყალში, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული ქლორის საშუალებით არ იწმინდება და თვალის გაღიზიანებას არ იწვევს. ამავდროულად, საცურაო კოსტიუმიც არ ხუნდება და არ უხეშდება და არ ფუჭდება ადამიანის თმაც. წყლის ხარისხისა და სისუფთავის ამგვარი შენარჩუნება კი **მთვარის ლითონის ვერცხლის** ანტიბაქტერიული ეფექტის კიდევ ერთი დასტურია. ასევე უნდა ითქვას, რომ დღეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ავიაკომპანიები წყლის გასასუფთავებლად ვერცხლის ფილტრებს იყენებენ. მაღალი ხარისხის საყოფაცხოვრებო წყლის გამწმენდ სისტემებში, იონურ გამწმენდთან ერთად აუცილებლად ბაქტერიოციდული წმენდისთვის დაყენებულია ვერცხლის მილიც. გარდა ამისა, ბოლო ხანს ინტერესი გაიზარდა **კოლოიდური ვერცხლის** მიმართ, რომელიც საუკეთესო ბუნებრივი ანტიბიოტიკური თვისებების მქონე აღმოჩნდა. **მას უდიდესი ფუნგიციდური და ანტიბაქტერიული თვისებები გააჩნია და წარმატებით გამოიყენება რამდენიმე ასეული დაავადების სამკურნალოდ.** კოლოიდურში ამ შემთხვევაში იგულისხმება ძალიან კარგად გახსნილი ხსნარი, რომელშიც ნალექი არ ჩნდება. იგი სრულიად უვნებელია და გვერდითი ეფექტი არ გააჩნია, სამაგიეროდ, დაზიანებული ქსოვილების აღდგენა ძალუძს.

**— როგორც აღნიშნეთ, გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკურის შესაბამისია თხევადი ლითონი ვერცხლისწყალი. რა მსგავსება შეინიშნება მათ შორის?**

— **მერკური მზესთან ყველაზე ახლოს მყოფი, მცირე ზომის ყველაზე სწრაფი პლანეტაა. იგი განაგებს აზროვნებას, კომუნიკაციის უნარს, ინფორმაციას, ვაჭრობას, ახლო მანძილზე გადაადგილებებს, საკომუნიკაციო საშუალებებს, გზებს, რეკლამას, დამწერლობასა და ა.შ. სწორედ ეს თვისებები შეიძლება გავაიგივოთ მის შესაბამის ვერცხლისწყალთან.** ასე, მაგალითად, აზროვნების პროცესს მშვენივრად აღწერს გამონათქვამი „ვერცხლისწყალივით გონება“. ამ თხევადი ლითონის მბზინავი ბურთულები ადამიანის აზრივით სწრაფად იცვლიან ფორმას. მითოლოგიის თანახმად, **მერკური,** იგივე **ჰერმესი** ერთადერთი ღვთაება იყო, რომელსაც სამივე სამყაროში მოძრაობა შეეძლო: ზეცაშიც, დედამიწაზეც და ქვესკნელშიც, **ვერცხლისწყლის ნახვა** ჩვეულებრივ პირობებში სამი სახით არის შესაძლებელი. დღის განათების ფლუორესცენციულ ნათურებში იგი აირის სახითაა; სამედიცინო თერმომეტრებში — მეტალური სახით, ხოლო სახის კოსმეტიკურ ლოსიონებში — თხევადი სახით. ნიშანდობლივია, რომ **ჰერმესი** ეგვიპტურ ვარიანტში მოიხსენიებოდა როგორც „სამმაგად აღმატებული“ (ტრისმეგისი) და ალქიმიის მფარველად ითვლებოდა, სადაც ვერცხლისწყალს უმთავრესი ადგილი ეკავა. ალქიმიკოსებიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ ოქროს სხვა ნივთიერებებიდან მიიღებდნენ, ყველა გარდაქმნას ვერცხლისწყლიდან იწყებდნენ (მენდელეევის ელემენტთა პერიოდულ სისტემაშიც ხომ ვერცხლისწყალი ოქროსთან ყველაზე ახლოს მდებარეობს). გარდა ამისა, **მერკური, მოგეხსენებათ, ღმერთების შიკრიკი იყო, ამიტომ მერკურიანელებს უადვილდებათ სხვებთან კონტაქტების დამყარება. იგივე თვისება გააჩნია ვერცხლისწყალსაც. ლითონები ადვილად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, თუ მათ წინასწარ ვერცხლისწყალში გავხსნით. ის მეტალების მშვენიერი გამხსნელია.** ასეთ ხსნარებს **„ამალგამას“** უწოდებენ. ტერმინი „ამალგამა“ ქიმიის გარდა კომერციაშიც ფართოდ გამოიყენება და ორი ფირმის გაერთიანებას ნიშნავს. ესეც, გარკვეულწილად, მერკურისეული პროცესია, რამეთუ **ჰერმესი ვაჭრობის ღმერთიც იყო.** უნდა აღინიშნოს, რომ **ვერცხლისწყლის უმთავრესი თვისება ურთიერთქმედებაა. იგი ყველაზე უჩვეულო რეაქციებში მონაწილეობს. მაგალითად, ურთიერთქმედებს აზოტთან და ნახშირბადთან, რომელთანაც სხვა ლითონები ვერ ურთიერთქმედებენ.** გარდა ამისა, **ვერცხლისწყალი** წარმოქმნის მეტალურ მარილებს და რთულ ორგანულ ნაერთებს, რომლებიც ფარმაკოლოგიაში ფართოდ გამოიყენება. **ვერცხლისწყალისგან** ასევე მზადდება ასაფეთქებელი ნივთიერებები, რომლებიც ოდნავი შეხებით ამოქმედდებიან. იგი სხვა მეტალებთან ამალგამირების დროს მაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს.

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 20-26 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)

**გააქტიურდებით, მიზანდასახულობა და თვითკონტროლი წარმატების საწინდარი იქნება. სიცოცხლისუნარიანობა იმატებს, რაც განწყობას გაგიუმჯობესებთ და კომუნიკაბელურობას შეგმატებთ. შესაძლოა, საქმიან ან საქორწინო კავშირებზე წარმოდგენა შეიცვალოთ, ახალი მიზნები და გეგმები დასახოთ და მათი განხორციელება დაიწყოთ. ახლობლებთან ერთად დაწყებული პროექტი მომავალში კარგ შემოსავალს გიქადით. მოგზაურობაც მშვიდად ჩაივლის.**

**კურო** (21.04-20.05)

**ენერგიის კლების მიუხედავად, კარგ განწყობას შეინარჩუნებთ და ბევრი ახალი იდეა დაგებადებათ. ახალი საქმის დაწყების შემთხვევაში დახმარებისთვის ახლობლებსა და მეგობრებს მიმართეთ. როგორც შემოქმედებით დარგებში, ისე პრაგმატულ დისციპლინებში წარმატება გელით. თუ სასიკეთო შემთხვევას გამოიყენებთ, ფინანსურ საკითხებშიც წარმატებას იოლად მიაღწევთ. თვალსაწიერი გაიფართოვეთ და სხვათა გამოცდილებაც გამოიყენეთ, რათა თქვენი საქმიანობა უფრო პერსპექტიული და მომგებიანი გახადოთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)

**იმატებს კონტაქტების, პირადი და საქმიანი საუბრებისა და მოლაპარაკებების რაოდენობა. მეგობრებისა და კოლეგების მიერ გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა მომავალში კარგ შემოსავალს გპირდებათ. ინტუიცია მოგემატებათ და ადვილად ამოიცნობთ სარფიან საქმეს. ოჯახის წევრები და შეყვარებული ყოველმხრივ დაგეხმარებიან. კარგი ფსიქოემოციური განწყობაც სტაბილური ჯანმრთელობის საწინდარი გახდება.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)

**ბევრი ადამიანი დაგეხმარებათ ახალი იდეების განხორციელებაში. საინტერესო პროექტები და აქტიური საქმიანობა მომავალში კარგ შემოსავალს გიქადით. საზოგადოებრივი ღონისძიებები და ბავშვებთან ურთიერთობა მეტად სახალისო და დასამახსოვრებელი იქნება. ოჯახში დაძაბული საუბრები და გულგრილი დამოკიდებულება გაიძულებთ, კონფლიქტს თავი აარიდოთ და მეტი დრო მეგობრების გარემოცვაში დაყოთ. ეცადეთ, არ გადაიღალოთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ.**

**ლომი** (23.07-23.08)

**თავს სტაბილურად იგრძნობთ. ქმედითუნარიანობა და იდეებიც იმატებს. კარგი პერიოდია ხელოვნების სფეროში და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საკუთარი ნიჭის დემონსტრირებისთვის. ეცადეთ, წინააღმდეგობებს ყურადღება არ მიაქციოთ და დასახული გეგმის მიხედვით იმოქმედოთ. პირად საკითხში სიახლეებსა და ხშირ შეხვედრებს საქმეების სიუხვე ხელს შეუშლის. მოგზაურობა და მივლინებები დადებითად ჩაივლის.**

**ქალწული** (24.08-23.09)

**საქმეებში წარმატება კარგი განწყობისა და სულიერი სიმშვიდის საწინდარი გახდება. ახალი კონტაქტების დამყარებასთან ერთად ახალი მნიშვნელოვანი მფარველები გაგიჩნდებათ, მოლაპარაკებები და შეხვედრები, რაც არ უნდა დამღლელად მოგეჩვენოთ, მათზე უარი არ თქვათ, რადგან ეს კარიერულ აღმასვლასა და ფინანსური წარმატების მოპოვებაში დაგეხმარებათ. ეჭვიანობაც კი შესაძლოა, პირადი ურთიერთობის მიზეზი გახდეს. მოგზაურობა და დამატებითი განათლების მიღება მომავლის კარს გაგიხსნით.**

## 20-26 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)

**პირადი ინტერესების დასაცავად, შესაძლოა, ფარული დიპლომატია გამოიყენოთ. ინტუიციას უსმინეთ, რათა მოწინააღმდეგეებს და კონკურენტებს გაუმკლავდეთ. ფინანსურ საკითხში პრაგმატულად იაზროვნეთ. ახალი საქმიანობა მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ. ამ კვირაში ადვილი იქნება შეყვარებულთან ურთიერთობის გაუმჯობესება და არსებული პრობლემების მშვიდად მოგვარება. მოგზაურობისას უცნობებს ნუ მიენდობით და საეჭვო ადგილებსაც მოერიდეთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)

**თუ თავდაჯერებულად იმოქმედებთ, ძველი ჩანაფიქრების რეალიზებას ადვილად შეძლებთ. ადრე დაგეგმილი, კარგად გააზრებული და ამ კვირაში დაწყებული ახალი საქმე მომავალში წარმატებული და მომგებიანი აღმოჩნდება. უცხოელებისაგან შესაძლოა, საჩუქრები მიიღოთ. სასიყვარულო ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა რჩეული არ აეჭვიანოთ და ყურადღება არ გაამახვილოს იმ საკითხებზე, რაც დაცილების მიზეზიც შესაძლოა, გახდეს.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)

**თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა და შრომისუნარიანობა გაუმჯობესდება. საქმეში წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მოისურვებთ დამატებითი ცოდნის მიღებას და მის პრაქტიკაში გამოყენებას. მეგობრები და ახლობლები მიზნის მიღწევაში დაგეხმარებიან. კარგი პერიოდია გადაადგილებებისთვის, ახალი კავშირების დასამყარებლად და საკუთარი პოზიციების ხმამაღლა დასაფიქსირებლად. შეყვარებულთან მიმართებით ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.**

**თხის რქა** (22.12-19.01)

**წვრილმანი პრობლემების მიუხედავად, მუშაობა და საქმეში მიზნის მიღწევა გაადვილდება. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება იდეების განხორციელებასა და ახალ შემოთავაზებებს დაუკავშირდება. ადამიანებთან ურთიერთობა და მათი მართვა გაგიადვილდებათ. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებასაც იოლად მიიზიდავთ. სამსახურში ცვლილებანი თქვენს მდგომარეობას გააუმჯობესებს. მოგზაურობაც საკმაოდ შედეგიანი იქნება, ოღონდ ხარჯი აკონტროლეთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)

**სასიცოცხლო ენერგია საგრძნობლად იმატებს და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში ახლობლები დაგეხმარებიან, ოღონდ ამისათვის დაუფარავად უნდა გაუმხილოთ თქვენი მიზნები. ფარულ მეთოდებსა და საიდუმლო ხერხების გამოყენებას მოერიდეთ. კარგი პერიოდია დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად. მოგზაურობისას ახალ გაცნობილებს ნუ მიენდობით და მეტი პრაგმატულობაც გამოიჩინეთ.**

**თევზები** (19.02-20.03)

**თავს სანაქებოდ იგრძნობთ და ახალი მწვერვალების დაპყრობას მოისურვებთ. შესაძლოა, საკუთარი საქმეც წამოიწყოთ, მისი მომავალი წარმატება მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული. იდეისა და ჩანაფიქრის რეალიზება გაგიადვილდებათ ძველი პარტნიორების დახმარებით. კარგი პერიოდია ახალი ნაცნობობისა და ახლო მანძილზე მოგზაურობისთვის. სასიყვარულო ურთიერთობა სიამოვნებას მოგიტანთ და თავდაჯერებას შეგმატებთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**20, 21, 24 და 26 ნოემბერი**

**13 ნოემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 13.27 საათზე;**
**27 ნოემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 13.17 საათზე.**

## 20 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.56 საათზე, ჩადის 17.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.28) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 14.11 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 15.29 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.50 საათიდან 18.29 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** იაქტიურეთ. იმ საქმეს, რაც დღეს შეგიძლიათ შეასრულოთ, ხვალისთვის ნუ გადადებთ. შესაძლებელია ძველი ვალდებულებისაგან გათავისუფლება. კარგი დღეა საზოგადოებრივი და რეფორმატორული საქმიანობისთვის, კომპიუტერული ტექნიკის, აირ და ელექტროაპარატურის შესაძენად, სარემონტო სამუშაოებისთვის, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, ლითონებით და მინერალებით ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, დიდხანს ფეხზე დგომა, ალკოჰოლური სასმელებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება. საიდუმლო მეგობრების წრეშიც არ დაიმალება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული და ლიმფური სისტემა, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი. **საღამოს** მარგალიტი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 21 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.57 საათზე, ჩადის 178.36 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 14.38 საათზე, ჩადის 22 ნოემბერს 00.39 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 15.38 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** აქტიურად იმოქმედეთ! დილას რაც შეგიძლიათ, გააკეთოთ, საღამოსთვის ნუ გადადებთ. დღეს და ხვალ ფეხით ნაკლები იარეთ. გახსოვდეთ, რომ დღეს ჩადენილი საქციელი შემდგომ ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდებათ. გააკონტროლეთ ურთიერთობისას ემოციები, ზედმეტი წყენა და ეჭვი. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის, იურისტებთან კონტაქტისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება-გაცემა, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლოს გამხელა ანდა საიდუმლოდ საქმიანობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 22 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (18.04) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.58 საათზე, ჩადის 17.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.22) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 15.01 საათზე, ჩადის 23 ნოემბერს 01.54 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 15.44 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.09 საათიდან 21.22 საათამდე. **ტენდენციები:** მზე გადაინაცვლებს მშვილდოსნის ზოდიაქოში და უახლოესი ერთი თვის მანძილზე გააძლიერებს ენერგიულობას, ოპტიმიზმს, ლიდერულ და ორგანიზატორულ თვისებებს, კომუნიკაბელურობას, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას, ინტუიციას, გონებამახვილობას და ასევე სულსწრაფობას, უყაირათობას, დიქტატორობას, ეგოიზმს, სარკასტულობას. დღეს ეცადეთ, არ იკამათოთ, განსაკუთრებით საღამოს. აკონტროლეთ ემოცია და აგრესიულობა. კარგი დღეა ქველმოქმედებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ნაწლავებისა და კუჭქვეშა ჯირკვლის სამკურნალოდ. არ არის სასურველი სულიერად და ფიზიკურად გადაღლა, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება ან გაცემა, საიდუმლო საქმის წარმოება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ლიმფური სისტემა, თავი, ტერფები, სისხლძარღვები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, გიშერი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 23 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.59 საათზე, ჩადის 17.35 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 15.24 საათზე, ჩადის 24 ნოემბერს 03.08 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 15.51 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები: გიორგობას გილოცავთ!** დღეს ფრთხილი და გააზრებული მოქმედება წარმატებული იქნება. ენერგია იმატებს. სამყარო თქვენი განზრახვის სისწორესა და მართებულობას შეამოწმებს. მეტი დრო საოჯახო ურთიერთობებს დაუთმეთ. ფიზიკურად და ემოციურად ნუ გადაიღლებით. მზად იყავით წინასწარ განუსაზღვრელი სიტუაციებისთვის. ტრავმულ-ავარიული დღეა. მეტი ყურადღება გმართებთ. ეფექტური იქნება კანისა და თირკმლების მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად. არ არის სასურველი, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ალკოჰოლისა და ზედმეტი მარილის, ტკბილეულის მიღება, ხელშეკრულების დადება. სასიკეთოა ტერფის წერტილოვანი მასაჟი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 24 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.00 საათზე, ჩადის 17.35 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 15.47 საათზე, ჩადის 25 ნოემბერს 04.22 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 15.58 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 21.40 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა მარსი გადაინაცვლებს მშვილდოსნის ზოდიაქოში, რაც მოქმედებისას გააძლიერებს აქტიურობას, ენთუზიაზმს, ოპტიმიზმს, კონტაქტურობას, მოგზაურობისკენ, სპორტული ღონისძიებისკენ, ვარჯიშებისკენ მიდრეკილებას, მებრძოლ სულისკვეთებას და ასევე გაამახვილებს სულსწრაფობას, სარკაზმს, საკუთარი აზრის თავსმოხვევის სურვილს, უყაირათობასაც. დღეს ტრავმულ-ავარიული დღეა, ყურადღება გმართებთ! ემოციები აკონტროლეთ, სულიერი სიმშვიდე შეინარჩუნეთ. მოერიდეთ ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, სხვათა განკითხვასა და ჭორაობას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, სერდოლიკი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 25 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.01 საათზე, ჩადის 17.34 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (00.27) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 16.12 საათზე, ჩადის 26 ნოემბერს 05.36 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 16.08 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ნუ იჩქარებთ, პრაგმატულად იმოქმედეთ, ძალისმიერად პრობლემებს ნუ გადაწყვეტთ. შესაძლებელია ბრძნული რჩევის მიღება. კარგი დღეა ხელის სათხოვნელად, ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერიის შესაძენად, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ეფექტური იქნება შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფობა, ცივი და გაზიანი სასმელების მიღება, კისრის მკვეთრად მოძრაობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 26 ნოემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.03 საათზე, ჩადის 17.34 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 16.42 საათზე, ჩადის 27 ნოემბერს 06.51 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 16.21 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებს, ახალგაზრდებს. მათთან ერთად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა, მათ შორის, საოჯახო-ყოფითი საკითხების გარკვევა. წვრილმანებზე დროს ნუ დახარჯავთ. ასევე შესაძლებელი იქნება პარტნიორთან რთული საკითხების გადაწყვეტა. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, სახის კანის მოვლისთვის, ქორწინებისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერიის შესაძენად, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ახალი ნაცნობობისთვის. არ არის სასურველი ყვირილი, სარისკო ქმედება, სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **20 ნოემბერი. ორშაბათი.** მელიტინელ 33-თა მოწამეთა: იერონისა, ისიხისა, ნიკანდრესი, ათანასესი, მამანტისა, ბარაქისა, კალინიკესი, თეაგენესი, ნიკონისა, ლონგინოზისა, თეოდორესი, ვალერისა, ქსანთესი, თეოდულესი, კალიმაქესი, ევგენისა, თეოდოქესი, ოტრიქისა, ეპიფანესი, მაქსიმიანესი, დუკიტესი, კლავდიანესი, თეოფილესი, გიგანტისა, დოროთესი, თეოდოტესი, კასტრიკისა, ანიკიტესი, თემელისა, ევტიქისა, ილარიონისა, დიოდოტესი და ამონიტესი; ღირსისა ლაზარე გალისიელისა, სასწაულმოქმედისა; მოწამისა თეოდოტესი; მოწამეთა: მელასიპესი და კასინიასი და ძისა მათისა ანტონინესი; მოწამეთა: ავქტისა, ტავრიონისა და თესალონიკიასი.

✝ **21 ნოემბერი. სამშაბათი. კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და გაბრიელისა და სხვათა წმიდათა უხორცოთა ზეცისა ძალთა.** მთავარანგელოზთა: რაფაელისა, ურიელისა, სელაფიელისა, იეგუდიელისა, ვარახიელისა და იერომიელისა. მთავარანგელოზების ეკლესიების დღესასწაული: ქუთაისის მწვანეყვავილას, მენჯის, ალგეთის, ჯუმათის, დიმის, ერკეთის, გრემის, შუამთის. **მთავარანგელოზობა.**



**23 ნოემბერი – დღესასწაული წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისა**

✝ **22 ნოემბერი. ოთხშაბათი.** მოწამეთა ონისიფორესი და პორფირისა; ღირსისა მატრონასი; ღირსისა თეოქტისტასი; მოწამისა ალექსანდრე თესალონიკელისა; მოწამისა ანტონისა; ღირსისა იოანე კოლოვისა; ღირსთა ევსტოლიასი და სოსიპატრასი; ნექტარისა, პენტაპოლელი მიტროპოლიტისა, ეგინაზე მოღვაწე სასწაულმოქმედისა; **დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „მსწრაფლშემსმენელი“.**

✝ **23 ნოემბერი. ხუთშაბათი. წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა, რაჟამს დაჰკრეს ურმის თვალსა;** დიდმოწამისა კოსტანტი კახისა, ქართველთა მთავრისა; მოციქულთა: ერასტისა, ოლიმპისა, როდიონისა, სოსიპატრესი, კუარტისა და ტერტისა, 70-თაგანთა; მოწამისა ორესტი მკურნალისა; მღვდელმოწამისა მილისა, სპარსელი ეპისკოპოსისა და ორთა მოწაფეთა მისთა; ღირსისა არსენი კაპადოკიელისა.

✝ **24 ნოემბერი. პარასკევი. დიდმოწამისა მინასი;** მოწამეთა ბიქტორისა და სტეფანიდასი; ღირსისა თეოდორე სტუდიელისა, აღმსარებელისა; მოწამისა სტეფანე დეჩანელისა.

✝ **25 ნოემბერი. შაბათი. იოანე მოწყალისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა;** ღირსისა ნილოს მმარხველისა; წინასწარმეტყველისა აქიასი; ღირსისა ნილოს მირონმდინარისა, ათონელისა.

✝ **26 ნოემბერი. კვირა. იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა;** მოწამეთა: ანტონინესი, ნიკიფორესი და გერმანესი; მოწამისა მანეფასი.


საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა



GIDMEDI GEORGIA · ISRAEL JOINT CLINIC

გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



## მადლობა დინარა ლაზარაშვილს!

*დინარა ლაზარაშვილის პრაქტიკაში უამრავია შემთხვევა, როცა უმძიმესი დიაგნოზით ადამიანები განიკურნენ და დღემდე შრომისუნარიანები არიან. დაავადებას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, პაციენტმა პირველივე სეანსიდან იგრძნოს შვება.* ● *პაციენტი მ.ს.: კოვიდმა დამიტოვა ნევროზულ ფონზე განვითარებული* ***გულის რითმის დარღვევა-ამოვარდნა, უძილობა, სისუსტე, დაღლილობა, უმადობა, წნევის ცვალებადობა, ხელების დაბუჟება, მუხლ-სახსრისა და წელის აუტანელი ტკივილი, ყურებში აუტანელი შუილი.*** *წელიწადზე მეტი ამაოდ ვმკურნალობდი პოსტკოვიდის კვლევის პროტოკოლზე დაყრდნობით დანიშნული მედიკამენტებით. 4 თვის წინ პაციენტ რუსუდან ლ.-ს რჩევით, რომელიც მწვავე ნევროზისგან განიკურნა, მოვხვდი* ***დინარა ლაზარაშვილთან.*** *მე-5 სეანსიდან ტკივილის გარეშე შევძელი გადაადგილება, მომეხსნა* ***შინაგანი შფოთი და გულის აჩქარება, დამირეგულირდა წნევა. მომიწესრიგდა ძილი, მადიანად შევექცევი.*** *ჩავიტარე სრული კურსი. ქალბატონ დინარას უვნებელი მკურნალობის შედეგად დღეს ვარ სრულიად პროდუქტიული, ჩვეულ რიტმში განვაგრძობ მუშაობასა და ცხოვრებას.* ● ***პაციენტი დ.თ.:*** *— ვუჩიოდი* ***ორივე თვალზე გლაუკომას და კატარაქტას. დაზიანებული იყო მხედველობის ნერვის ბოჭკოები,*** *რის გამოც ორივე თვალზე მხედველობის ფუნქცია დარღვეული მქონდა, გუგები შევიწროებული, თვალები ჩაცვენილი, უარი ვთქვი ოპერაციაზე. აქტიური ცხოვრება თანდათან აუტანელი გახდა. ერთ-ერთი განკურნებული პაციენტის რეკომენდაციით, მეც უდიდესი რწმენით დავიწყე მკურნალობა* ***ქალბატონ დინარასთან.*** *ყოველი სეანსის მერე თვალშისაცემი ხდებოდა დადებითი დინამიკა,* ***მეწმინდებოდა თვალები, თანდათან გამიუმჯობესდა და აღმიდგა მხედველობა.*** *დღეს უკვე შორიდან შემიძლია დანახვა. სეანსებმა ასევე იმოქმედა* ***ოსტეოქონდროზზე,*** *რომლის გამო მქონდა მუდმივი ტკივილი კისრისა და ზურგის არეში. ქალბატონ დინარას სეანსებმა რამდენიმე წლით გამაახალგაზრდავა. მადლობა მკურნალს!*

დინარა ლაზარაშვილთან მიღება წინასწარი ჩაწერით, დარეკეთ: 555-73-24-62



იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კასკადიორი; 8. მიკადო; 11. დროზერა; 12. ლანკასტერი; 13. რიბოკი; 14. ლუიზიტი; 15. აპოკალიფსი; 16. ფელინი; 17. ანაფორა; 18. კრიმინალი; 23. თხემი; 25. გრიფიტი; 29. ასტრონომია; 30. სირმა; 31. ლიმონათი; 32. სემირამიდა; 37. ქეიფი; 39. გვირილა; 42. ფაზენდა. 43. კინო; 44. დრამატიზაცია; 45. ალაბამა; 49. ემოცია; 51. ლიტანია; 54. ოპერაცია; 55. მზიური; 56. მანდარინი; 58. პარიტეტი; 59. მიტრა.

შვეულად: 1. კოლბა; 2. სენიორი; 3. ალაყაფი; 4. ინტრიგა; 5. იდილია; 6. მოჰიკანი; 7. მესიდორი; 8. მარიფათი; 9. კაბალიე; 10. დიკენსი; 19. რასპე; 20. მარტი; 21. ნენია; 22. ლამბი; 24. მარსი; 25. გალა; 26. ფთორი; 27. ტყავი; 28. დასი; 30. სიქა; 32. სოფია; 33. მაზდა; 34. რანდა; 35. მჭადა; 36. დოლაბი; 38. ფინტი; 39. გრაცია; 40. რაზდანი; 41. ლიცეუმი; 43. კაოლინი; 46. ლეპრა; 47. ბურლი; 48. მაცნე; 50. ატილა; 51. ლამი; 52. ტონა; 53. ნიაზ. 57. ნუ.

**სკალამარიაჟიგოლონებიერატომარანიხრიკივიალი**
**სველიახვიჩამიჩიგანიმედიუმიაკინიასალისტილი**

| დანაყოფებიანი სახაზავი ხელსაწყოში | ქორწილი (ფრ.) | ანჟელიკას თავგადასავლების ავტორი და-ძმა | ლირიკული პოეზიის მუზა (ბერძ.) | ღვინის შესანახი ადგილი | ოინი | იტალიელი ექსფეხბურთელი |
|---|---|---|---|---|---|---|

| საფუძველი | ნაყოფიერების ქალღვთაება (ქართ. მით.) | დაქირავებული კავალერი | შორენას შვლის ნუკრი | ქსოვილის სათავსი | ტარიფი | უფროსი ფრინველი | ცეცხლის ანადენი |
|---|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. რთული ტრიუკების შემსრულებელი მსახიობის დუბლიორი; 8. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 11. მწერიჭამია მცენარე; 12. ამერიკელი მსახიობი ბერტ ...; 13. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 14. საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერება; 15. ახალი აღთქმის ბოლოს დართული წიგნი — შეიცავს წინასწარმეტყველებას ქვეყნის დასასრულზე; 16. იტალიელი კინორეჟისორი; 17. მღვდლის სამოსი; 18. სისხლის სამართლის დანაშაული; 23. თავის უკანა მხარე; 25. ამერიკელი მსახიობი ქალი მელანი ...; 29. ცის სხეულების შემსწავლელი მეცნიერება; 30. ოქრომკედი; 31. ტკბილი, ხილის გაზიანი სასმელი; 32. სირიის ლეგენდარული დედოფალი ე.წ. დაკიდული ბაღების მომწყობი; 37. ნადიმი, დროის ტარება; 39. „სამკითხაო" ყვავილი; 42. ბრაზილიური რანჩო; 43. ხელოვნების დარგი; 44. რისამე დრამატიზმის დაძაბულობის გაძლიერება; 45. აშშ-ის შტატი; 49. ადამიანის გრძნობა, სულიერი მღელვარება; 51. საყოველთაო ლოცვა; 54. ქირურგიული ჩარევა სამკურნალოდ; 55. ქართველ გოგონათა ყოფილი ანსამბლი; 56. ციტრუსი; 58. მხარეთა თანასწორობის პრინციპი; 59. უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქმელი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ლაბორატორიული ჭურჭელი; 2. ესპანეთში ბატონი; 3. იგივეა, რაც ჭიშკარი; 4. ფარული საძრახისი მოქმედება, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად; 5. უშფოთველი ცხოვრება; 6. ფენიმორ კუპერი — „უკანასკნელი ..."; 7. ფრანგული რევოლუციური კალენდრის მიხედვით მეათე თვე; 8. შნო, მოხერხება; 9. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 10. ინგლისელი მწერალი; 19. გერმანელი მწერალი; 20. გაზაფხულის თვე; 21. მიცვალებულის დასატირებელი სიმღერა; 22. იგივეა, რაც ბლანდი; 24. მარიხი (პლანეტა); 25. დიდი კონცერტი; 26. ქიმიური ელემენტი, აირი; 27. ბალზაკი — „შაგრენის ..."; 28. თეატრალური კოლექტივი; 30. არაქათი, ძალა; 32. ბულგარეთის დედაქალაქი; 33. იაპონური ავტომობილი; 34. გრძელი შალაშინი; 35. სოკოს სახეობა; 36. წისქვილის ქვა; 38. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 39. ყანის ჩიტი; 40. სტადიონი ერევანში; 41. საშუალო სასწავლებელი; 43. თეთრი ცეცხლგამძლე თიხა; 46. კეთრი; 47. სახვრეტი იარაღი; 48. ამბის მომტანი, შიკრიკი; 50. ჭუნების ბელადი; 51. სოფელი მცხეთის რაიონში; 52. 1000 კგ.; 53. მუსიკოსი ... დიასამიძე; 57. ნოდარ დუმბაძე — „... გეშინია დედა".

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| „მერე რა რომ ..., სველი იასამანი" | კვარაცხელია | აშშ-ის შტატი | ქალის სასიმღერო ხმის შუათანა რეგისტრი | სახ.პოეტი-მომღერალი შუა აზიაში | ცხენის საზურგე ქსოვილი | წელთაღრიცხვის სისტემა |
|---|---|---|---|---|---|---|

| ბედი | მდინარე საქართველოში | ქიშმიში | ზევსის მერიქიფე | ვეშაპზე სანადირო ნავი | ტბა მოზამბიკში | უნგრელი კომპოზიტორი | ბრიუს ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 20 — 26 ნოემბერი №50 (1514)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**


გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**



THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol